პასპორტებთან ერთად - ძალოვანი სტრუქტურების მონმობებიც A3

ბორჯომის ხეობაში ნავთობსადენის გავლა რუსეთს აძლევს ხელს A6

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 21 იანვარი, 2003 წელი. №19 (231)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### 2003 წლის ბიუჯეტი და დეპუტატთა მანევრები

ორი ცდა დასჭირდა იმას, რომ საქართველოს პარლამენტს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პირველი მოსმენით მიეღო. 28 დეკემბრიდან 17 იანვრამდე ძირითადი ეკონომიკური კანონპროექტის მიმართ თავისი დამოკიდებულება 23 დეპუტატმა შეცვალა.

A3

## უცხოეთი

### ჩრდილოეთ კორეა: კრიზისი გრძელდება

მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი სახელმწიფოს დიპლომატები ფხენიანთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ, რათა აღმოსავლეთ აზიაში ბირთვული კატასტროფა აიცილონ თავიდან.

A4

## ეკონომიკა

### "სახელმწიფო დაზღვევის" ირგვლივ ატეხილ სკანდალს ბოლო არ უჩანს

"24 საათი" უკვე წერდა იმის შესახებ, თუ როგორ დააყადაღა 19 დეკემბერს როტერდამის სასამართლომ საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშები და საქართველოს მოსთხოვა 325 მილიონი აშშ დოლარის გადახდა...

A6

## სამართალი

### ტაბაღუას მკვლელობას მესამე პირიც შეესწრო?

ერთადერთი საბუთი, რომლის მიხედვითაც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამეურნეო-ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსის მკვლელობაში ბრალდებულ მიხეილ კერესელიძეს გამოძიება მკვლელობის განზრახ ჩადენაში ადანაშაულებს, თავად მიხეილ კერესელიძის ჩვენებაა. თუმცა, მისი აღიარებითი ჩვენება განზრახ მკვლელობის სურათს არ იძლევა.

A7

## თვალსაზრისი

### რა მოხდება 10 დღეში?!

მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში შარაძე - სააკაშვილის პროცესად მონათლული საქმის განხილვა დაიწყო. მოსამართლე ყაჭიშვილმა ჯერ მხოლოდ მოსამზადებელი სხდომა ჩაატარა, მაგრამ დაპირისპირებულ მხარეთა სიძლიერეში უკვე დარწმუნდა.

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 5 | |
| ქუთაისი | 9 | |
| ბათუმი | 11 | |
| სოხუმი | 9 | |
| ფოთი | 11 | |
| თელავი | 5 | |
| ზუგდიდი | 10 | |
| გორი | 3 | |
| ახმეტა | 4 | |
| ჭიათურა | 6 | |
| ბაგრა | 9 | |
| სამტრედია | 9 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1900 |
| ევრო | 2.3262 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5266 |
| რუბლი | 0.0688 |

# ნინო ბურჯანაძე: "იმედი მაქვს, რომ მოსკოვში ჩვენს არგუმენტებს შეისმენენ"

რეპორტაჟი მოსკოვიდან



"მრგვალი მაგიდა" რუსეთის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკური საბჭოს ოფისში.

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

ვნუკოვოს სამთავრობო აეროპორტი. სადეპუტატო დარბაზში ყვავილების უზარმაზარი თაიგულებით შემოდიან რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრ ტორშინი და პარლამენტის საერთაშორისო კავშირების სამმართველოს მრჩეველი სერგეი კისილიოვი. ასაფრენი ბილიკის გამოსასვლელთან ადგილს იკავებენ რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის წამყვანი არხები, ფოტოკორესპონდენტები. საქართველოს ელჩი და საელჩოს დელეგაცია ასაფრენი ბილიკის დასაწყისში საპატიო სტუმრებისათვის განკუთვნილ გადახურულ ტრაპს მიჰყვებიან. ნინო ბურჯანაძეს ტორშევი და კისილიოვი თბილად ხვდებიან.

აეროპორტში იმართება სახელდახელო ინტერვიუ. ნინო ბურჯანაძე ჟურნალისტებს უხსნის ჩამოსვლის მიზეზს. რუსი ჟურნალისტები ბურჯანაძეს, ჩვეულებისამებრ, არ ეკამათებიან. სამაგიეროდ, მოგვიანებით კერძო საუბრებში აკონკრეტებენ, რომ ტყუილად გვწყდება გული ადლერიდან

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჟვანიას და სააკაშვილის გზები ისევ გადაიკვეთა

### პარლამენტში ახალი ინტერფრაქციული ჯგუფი იქმნება

ნანა ლოლაძე

**"ხელისუფლება ამზადებს სცენარს, რომ აფხაზეთში ახალი სამხედრო ავანტიურა განხორციელდეს. პროვოკაციები არ არის გამორიცხული სამეგრელოშიც, ამ ტალღაზე კი არჩევნების ჩაშლა ადვილი იქნება,"** – განაცხადეს მიხეილ სააკაშვილმა და ზურაბ ჟვანიამ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

"ნაციონალური მოძრაობისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერების ერთად გამოჩენა დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა. მათ შორის ურთიერთობები ბოლო პერიოდში შესამჩნევად დათბა და ის დაძაბულობაც ნაწილობრივ მოიხსნა, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში მუდმივად იგრძნობოდა.

გამორიცხული არ არის, რომ საპარლამენტო არჩევნებში "ნაციონალურმა მოძრაობამ" და "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" ერთიანი სიით იყარონ კენჭი, თუმცა პარტიათა ლიდერები ჯერჯერობით ასე შორს არ მიდიან და მხოლოდ გარკვეულ საკითხებში თანამოაზრეობაზე საუბრობენ.

ერთ-ერთი ასეთი საკითხი გუშინდელი პრესკონფერენციის თემაც გახდა. **"ჩვენ გვინდა, ხაზი გავუსვათ, რომ პირველად ათი წლის განმავლობაში აფხაზეთის პრობლემაში მკვეთრად უარყოფითი შემობრუნება იწყება,"** – განაცხადა ჟვანიამ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რა მოხდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე - დივერსია თუ ჩვეულებრივი ქურდობა

თამარ კაციტაძე

ორი დღის წინ, გორის რაიონის სოფელ სვენეთში ბაქო-სუფსის ნავთობსადენის დაზიანებამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. მეორე დღესვე შემთხვევის ადგილზე ჩასული საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის (GIOC) პრეზიდენტი გია ჭანტურია და სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსი სულხან პაპაშვილი ამტკიცებდნენ, ნავთობსადენის დაზიანება სერიოზული დივერსიაა, რომელიც მიმართულია არა მარტო ბაქო-სუფსის ნავთობსადენის, არამედ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დიდი მილსადენის წინააღმდეგაც.

მილსადენის დაზიანებასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში სხვადასხვა მოსაზრებები გავრცელდა. ერთ-ერთი ვერსიით, საქართველოზე გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ობიექტი ჩეჩენმა ტერორისტებმა დააზიანეს. იმავე წყაროს ცნობით, ჩეჩნეთში სპეციალურ მომზადებას გადიან კამიკაძეები, რომლებმაც საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ნავთობსადენსა და გაზსადენზე დივერსიები უნდა განახორციელონ. ყოველივე ეს კი, თურმე, ტერორისტული ორგანიზაცია "ალ ქაიდას" ინტერესებს ემსახურება, რომელიც ცდილობს, ხელი შეუშალოს კასპიის რეგიონში აშშ-ს მხარდაჭერით განხორციელებულ ენერგეტიკულ პროექტებს. აღნიშნულ ინფორმაციას გამოეხმაურა ჩეჩნეთის (იჩქერიის) რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი ახმედ ზაკაევი, რომელმაც კატეგორიულად უარყო ჩეჩნების აღნიშნულ

გაგრძელება A7 გვერდზე

# რას ნიშნავს ბალტიისა და შავი ზღვების უსაფრთხოების სისტემათა გაერთიანება

*კადრების მთავარ სამჭედლოდ მონათლული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამდივნო, რომლის ახალი სტრუქტურა საქართველოს პრეზიდენტმა გასული წლის მიწურულს დაამტკიცა, პარალელურად საინტერესო იდეათა გენერატორის ფუნქციასაც იძენს. გასულ კვირაში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ "ბალტიისა და შავი ზღვის უსაფრთხოების სისტემათა გაერთიანების იდეა" წამოაყენა. მიუხედავად იმისა, რომ შავი და ბალტიის ზღვები ერთმანეთს პირდაპირ არ უკავშირდებიან, ეროვნული უშიშროების საბჭოში აცხადებენ, რომ გეოგრაფიულად დაშორებულ უსაფრთხოებათა სისტემებს შორის მაინც ღრმა შინაგანი კავშირი არსებობს.*

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

დამოუკიდებლობის პირველი წლებიდან მოყოლებული, საქართველო საკუთარი უსაფრთხოების გარანტიების ძიებაშია. ამ ძიებამ იგი, თავდაპირველად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიური უსაფრთხოების უპერსპექტივო ხელშეკრულებამდე მიიყვანა, შემდეგ სუუამ-ის რეგიონული ორგანიზაციის იდეა გაჩნდა, რომელმაც რუსეთის ორბიტიდან დისტანცირებული საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, მოლდოვა და აზერბაიჯანი გააერთიანა.

მიუხედავად იმისა, რომ სუუამის რეგიონული თანამშრომლობის

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჯერ არც გაზია და არც ამ გაზის შესაძენად აუცილებელი ფული

*მინიმუმ ერთი კვირა თბილისს დენი გრაფიკით ექნება. გაზის მოწოდების საკითხი კი, ჯერჯერობით, გაურკვეველი რჩება. უცნობია, თუ როდის აღმოიფხვრება მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი ავარიის შედეგები. აღდგენითი სამუშაოების დასრულების შემდეგ მილსადენის გაზით შევსებას სამი დღე მაინც დასჭირდება. "იტერასათვის" დეკემბერში მოხმარებული გაზის საფასური გადახდილი ისევ არ არის. სახელმწიფო მინისტრი მიიჩნევს, რომ ეს თანხა მერიამ უნდა გადაიხადოს. მერია კი ფულის გადახდას მანამ არ აპირებს, სანამ მთავრობა თბილისის დაფინანსებას არ გაზრდის.*

მაია ურუშაძე

მთავრობა "ეი-ი-ეს თელასს" ელექტროენერგიის შესყიდვას "РАО ЕЭС РОССИИ"-სგან სთხოვს. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გათვლებით, საამისოდ მას აქვს სახსრების თავმოყრის საშუალება, რადგან დღემდე "ეი-ი-ეს თელასი" ყოველდღიურად 70 ათას დოლარს მეცხრე ენერგობლოკისთვის გაზის შესაძენად, 70 ათასს კი ელექტროენერგიის შესაძენად ხარჯავდა. "ახლა მას შეუძლია, რომ ეს თანხა მთლიანად რუსეთიდან ელექტროენერგიის შემოტანას მოახმაროს," – აცხადებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა. როგორც ჩანს, "ეი-ი-ეს თელასს" რუსულ კომპანია "ვინგფილდთან" ხელშეკრულების განახლება მოუწევს. ძველი კონტრაქტი ძალაში აღარ არის. ელექტროენერგიის ის რაოდენობა, რომლის საფასურიც საახალწლოდ "ეი-ი-ეს თელასმა" რუსეთს წინასწარ გადაუხადა, უკვე დიდი ხანია, რაც დაიხარჯა.

გაგრძელება A6 გვერდზე

# თუ ჰუსეინი გადადგება, ვაშინგტონი მას ხელშეუხებლობას ჰპირდება

*ერაყის ირგვლივ შექმნილი საერთაშორისო კრიზისი კვლავ გრძელდება. 27 იანვარს ერაყში მოქმედმა სამხედრო ინსპექტორთა მისიამ გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს გაწეული მუშაობის შესახებ საბოლოო დასკვნა უნდა წარუდგინოს. მანამდე კი აშშ და გაერო ოფიციალურ ბაღდადს სამხედრო ექსპერტებთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ და შეახსენებენ, რომ ერაყს ამ თანამშრომლობისათვის ძალზე მცირე დრო რჩება. ამასობაში ვაშინგტონი ახალი ინიციატივით გამოდის და სადამ ჰუსეინს, გადადგომის შემთხვევაში, ხელშეუხებლობას ჰპირდება. მიუხედავად ამისა, სპარსეთის ყურეში ამერიკული და ბრიტანული შეიარაღებული ძალების გადასროლა კვლავ გრძელდება.*

ლევან ღირსიაშვილი

თავის მხრივ, საკუთარი სიმართლის დამტკიცებას ბაღდადიც ცდილობს. ინსპექტორთა მისიის ხელმძღვანელის ჰანს ბლიქსის განცხადებით, ერაყელებმა ინსპექტორთა მისიას თავად აცნობეს კიდევ ოთხი ერთეული ცარიელი სარაკეტო ქობინის აღმოჩენის შესახებ. ამ ქობინების გამოყენება შესაძლებელია ქიმიური იარაღის შორ მანძილზე გადასატანად. თეთრი სახლის წარმომადგენელი სკოტ სტენზელი კი აცხადებს, რომ ერაყის ხელისუფლების ეს ნაბიჯი არ შეიძლება, აღვიქვათ, როგორც გაერო-სთან გულწრფელი თანამშრომლობისთვის მზადყოფნა. როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ გაერო-ს ინსპექტორებმა ერაყში ათი ერთეული ასეთი ქობინა აღმოაჩინეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ყველაფერი "ოქროს გლობუსის" შესახებ




მერილ სტრიპი და ნიკოლ კიდმანი.

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 პოლიტიკა A5 რეკლამა A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**ნიუ-იორკი.** გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გუშინ საქართველოს მოუწოდა კიდევ ექვსი თვით გაუხანგრძლივოს სამშვიდობო მანდატი საქართველოში გაერო-ს მეთვალყურეთა მისიას. კოფი ანანმა აღნიშნა, რომ არ არის პროგრესი აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე. თქვა, რომ მოლაპარაკებები ისევ უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ (ანუ ე.წ. ბოდენის) დოკუმენტის შესაბამისად უნდა გაგრძელდეს. კოფი ანანმა აფხაზურ და ქართულ მხარეებს შეახსენა, რომ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა გაერო-ს სამხედრო მეთვალყურეთა უსაფრთხოებაზე. მისიას ვადა 31 იანვარს ეწურება. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად უარყო გავრცელებული ინფორმაცია ბირთვული გამოკვლევების სფეროში ირანისა და საქართველოს თანამშრომლობის შესახებ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკი და რუსეთის ცენტრალური ბანკი ტექნიკური ხასიათის ხელშეკრულებაზე მუშაობენ, რომლის ხელმოწერის შემდეგაც, საქართველოში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზებზე ხელფასებს ლარებში მიიღებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მის წერილს და პასუხად საქართველოს პრეზიდენტმა "ძალზე საყურადღებო და შინაარსიანი წერილი მიიღო". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ დსთ-ს მშვიდობის მხარდამჭერი კონტინგენტის ჩანაცვლების გეგმა მოამზადა, იმ შემთხვევისათვის თუ ოფიციალური თბილისი რუს სამშვიდობოთა მანდატის გაგრძელებაზე უარს იტყვის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ორშაბათს განაცხადა, რომ "სომეხმა მეგობრებმა" არაერთგზის სთხოვეს აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, რომელიც 1992-1993 წლების შეიარაღებული დაპირისპირების გამო შეწყდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობის ადგილობრივი მოსახლეობის დაჯგუფების წარმომადგენლებმა ჩეჩნეთიდან დევნილი სასტიკად სცემეს. ამის შესახებ ორშაბათს განუცხადა პრაიმ-ნიუსს ადამიანის უფლებათა დაცვის ჩეჩნეთის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ ასლანბეკ აბდურზაკოვმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის მოთხოვნით თბილისში რუსეთის საელჩოს შენობასთან გასული კვირიდან მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილე ერთ-ერთი მოშიმშილე ორშაბათს ორგანიზმის გამოფიტვის დიაგნოზით სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების შტაბში ჯერჯერობით არ მიუღიათ არანაირი ოფიციალური შეტყობინება ქართული მხრისგან სატრანსპორტო და საკომუნიკაციო მომსახურების შესაძლო შეწყვეტის შესახებ, რაც მოსალოდნელია ადლერი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საპასუხოდ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "აფხაზეთის მიმართულებით ყოველდღიურად 150 სომეხი ეროვნების მოქალაქე გადადის და უკან მხოლოდ 30-40 ბრუნდება. ისინი რუსეთის პასპორტის მისაღებად აფხაზეთში მაცხოვრებლებად ეწერებიან" - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გალის გამგებლის მოადგილემ დავით შენგელიამ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ნიუ-იორკი.** აფხაზეთისა და სამშვიდობო ძალების გაყვანის თემა უმთავრესი იყო გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის რევაზ ადამიასა და გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის დირექტორის ჟან-მარი გიენოს შეხვედრაზე.

ადამიამ გიენოს გააცნო საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიცია სოჭსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასა და აფხაზეთის მცხოვრებლებისთვის რუსული პასპორტების გაცემასთან დაკავშირებით. ადამიას თქმით, ყოველივე ამით მშვიდობისმყოფელებისათვის მანდატის გაგრძელების საკითხი შეიძლება გართულდეს.

გიენოს განცხადებით, ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს, ვინაიდან, დსთ-ს სამშვიდობო ძალები უზრუნველყოფენ კონფლიქტის ზონაში გაერო-ს მისიის უსაფრთხოებას. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 21-24 იანვარს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში გაიმართება ნატო-ს მრავალეროვნული სწავლებების "მედქერი"-ს და "რესქვერის"-ს წინასწარი დაგეგმარების კონფერენცია. კონფერენციას დაესწრება სწავლებებში მონაწილე ქვეყნების 50 ოფიცერი. **კავკას-პრესი.**




# ჟვანიას და სააკაშვილის გზები ისევ გადაიკვეთა

პირველი გვერდიდან

ორშაბათის რადიოინტერვიუში პრეზიდენტის მიერ გაკეთებული შეფასება, რომ სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენა პროვოკაციაა და მეტი არაფერი, ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა ხელისუფლების უსუსურობად მონათლეს და შევარდნაძე რუსეთთან არათანმიმდევრულ პოლიტიკაში, არაადეკვატური ნაბიჯების გადადგმასა და დიპლომატიური არხების არასრულყოფილ გამოყენებაში დაადანაშაულეს.

**"იმ მომენტს, როცა ამერიკის ადმინისტრაციის მთელი ყურადღება ერაყთან ომზეა გადატანილი, რუსეთი თავის სასარგებლოდ იყენებს. ასეთ დროს საქართველოს ხელისუფლებას გაათკეცებული ყურადღება და ძალისხმევა სჭირდება იმისათვის, რომ გაარღვიოს იზოლაცია, რომელშიც აღმოჩნდა და ყველას გააგებინოს, რომ საქმე გვაქვს აფხაზეთის ტოტალურ ანექსიასთან,"** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

გუშინვე გახდა ცნობილი, რომ პარლამენტში "დემოკრატები" და "ნაციონალები" ინტერფრაქციულ ჯგუფს ქმნიან, რომელიც აფხაზეთის თემაზე იმუშავებს. ლიდერების განცხადებით, ინტერფრაქციული ჯგუფი აქტიურად ითანამშრომლებს ენგურის ხიდზე მოწყობილი აქციების ორგანიზატორებთან.

ბაზებისა და სამშვიდობოების გაყვანა, რუსეთისათვის საჰაერო სივრცის დაკეტვა, პარტიზანული მოძრაობის მხარდაჭერა და რუსეთთან მკაცრი პოლიტიკის გატარება – ასე ჩამოაყალიბეს ჟვანიამ და სააკაშვილმა ის ალტერნატიული წინადადებები, რომლის გატარებასაც ისინი ამ ეტაპზე აუცილებლად მიიჩნევენ.



ერთობლივი პრესკონფერენცია "24 საათის" რედაქციაში.

მათი განცხადებით, ხელისუფლება დღეს შეგნებულად არაფერს აკეთებს აფახაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად, რადგან უნდა, რომ ეს სიტუაცია ახალი სამხედრო ავანტიურისთვის გამოიყენოს, არჩევნები ჩაშალოს და ამით საკუთარი არსებობა გაიხანგრძლივოს.

**"ახალი სამხედრო ოპერაციის დაწყება მაშინ, როცა ჯარი მთლიანად დეზორგანიზებული და კორუმპირებულია, საბოლოოდ დაგვაკარგვინებს აფხაზეთს,"** –აღნიშნა სააკაშვილმა.

საგულისხმოა, რომ განცხადებაში - **"ჩვენ არ გვინდა იმ ხელისუფლებაში მოვიდეთ, რომელსაც არ ექნება აფხაზეთის დაბრუნების თეორიული შანსიც კი"** - "ნაციონალური მოძრაობისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერებმა განსაკუთრებული აქცენტი სიტყვა "ჩვენ"-ზე გააკეთეს, რითიც კიდევ ერთხელ მიანიშნეს, რომ ხელისუფლებაში მოსასვლელად ერთად იბრძოლებენ.

# ნინო ბურჯანაძე: "იმედი მაქვს, რომ მოსკოვში ჩვენს არგუმენტებს შეისმენენ"

პირველი გვერდიდან

სოხუმში ელექტრომატარებლის გაშვებაზე. აფხაზეთი საქართველოს ომამდეც აღარ ეკუთვნოდაო.

ხანმოკლე ინტერვიუს შემდეგ ბურჯანაძე და მისი რუსი კოლეგები საქართველოსა და რუსეთის დროშებით მორთულ ესკორტში სხდებიან და მოსკოვისკენ მიემართებიან.

ფედერაციათა საბჭოს პრეს-სამსახურის ფოტოკორესპონდენტი ნატალია ბოლშაკოვა მეუბნება: "ბურჯანაძე ნამდვილი კამიკაძეა". ალბათ ასეა, რადგანაც ზუსტად დილით ცნობილი ხდება ქართველებისათვის განკუთვნილი მორიგი სიურპრიზი - აფხაზეთთან სატელეფონო კავშირის სპეციალური საკომუნიკაციო ანძების დამონტაჟების ამბავი.

■ ■ ■

"პრეზიდენტ-ოტელი". თქმა არ უნდა, საქართველოს პარლამენტის დელეგაციას რუსები მაღალ დონეზე დახვდნენ, მაგრამ ჩვენი ჟურნალისტები მაინც ჩივიან, რომ უზომოდ გადატვირთული და არაორგანიზებული დღის წესრიგია, რასაც განაპირობებს აუტანელი საცობები მოსკოვის ქუჩებში, ავარიები მოყინულ გზებზე.

პირველი ოფიციალური შეხვედრა მაცხოვრის ტაძარში შედგა, სადაც სოლნეჩნოგორსკის მიტროპოლიტი სერგეი, ჟურნალისტების გარეშე ესაუბრა ნინო ბურჯანაძეს. მიტროპოლიტის პოზიცია ასეთი იყო: **"ჩვენ პოლიტიკოსები არ ვართ, მაგრამ ურთიერთბრალდებები და გაუცხოება კარგს არაფერს მოიტანს".** მიტროპოლიტი, რუსეთის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საქრთველოს პარლამენტის სპიკერს მოთმინებისა და შემწყნარებლობისაკენ მოუწოდებს, რის შემდეგაც ქართული დელეგაცია დუბროვკაზე გაეშურა - იმ ადგილისაკენ, სადაც გასული წლის ოქტომბრის თვეში, მოსკოვის ტერაქტის დროს, ასზე მეტი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა.

ისე მოხდა, რომ პრესამ ოფიციალურ დელეგაციას მისვლა დაასწრო. უკვე მსოფლიოში ცნობილი თეატრალური დარბაზის ფოიეში სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა, სპეციალური დანადგარებით, საგულდაგულოდ შეამოწმეს ჟურნალისტები და ვიდეოკამერები. და ეს იმ ადგილას, სადაც ორიოდე თვის წინ კბილებამდე შეიარაღებული ტერორისტების მიკროავტობუსი უპრობლემოდ დაიცალა...

"ნორდ-ოსტის" ტრაგედიის ადგილი საბრალო სანახავია. თეატრალური ცენტრის წინ, ყვავილებისათვის განკუთვნილ ამაღლებულ ადგილას რამდენიმე გაყინული მიხაკი და ხელოვნური ყვავილების თაიგული დევს. საქართველოს დელეგაცია ცოცხალი ყვავილების თაიგულებს აწყობს თეატრალური ცენტრის წინ და ყველას ცხრა აპრილი ახსენდება. დარბაზის ფოიე, იმის მიუხედავად, რომ შენობას რემონტი ჩაუტარდა, მაინც დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ტოვებს. იგრძნობა, რომ, მუშებთან ერთად, იქ სპეცორგანოების თანამშრომლებიც მუშაობენ. ნინო ბურჯანაძეს იმ დარბაზისაკენ, სადაც მძევლთა გათავისუფლების დრამა დატრიალდა, მიუძღვებიან "ნორდ-ოსტის" პროექტის დირექტორი ალექსანდრ ივაშჩენკო და ვადიმ ვასილიევი. წითელი ხავერდის სავარძლების პირი ცისფერი ქსოვილით შეუცვლიათ, ორკესტრის ორმო უწინდებურად დარბეულია; ჰაერში კი რაღაც სპეციფიური სუნი მაინც იგრძნობა. ნინო ბურჯანაძე მიუზიკლის ხელმძღვანელებს ეუბნება, რომ დუბროვკაზე ტერაქტის დღეებში საქართველოში არც ერთ ოჯახში ტელევიზორი არ გამორთულა და საქართველოს პარლამენტმა პირველმა გამოუგზავნა თანაგრძნობის წერილი რუს კოლეგებს.

ნინო ბურჯანაძე: **"ჩვენთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო იმ დეზინფორმაციის მოსმენა, თითქოს ამ დარბაზში ტერაქტის პირველ წუთებში ქართული დროშები გამოფინეს."**

ალექსანდრ ივაშჩენკო: **"მთავარია, ბანდიტებს არ მივცეთ გაბოროტების საფუძველი. ის, რომ დღეს რეპეტიციები გრძელდება და მუსიკოსები თავიანთ საქმეს აგრძელებენ, იმაზე მეტყველებს, რომ სიკეთე მუდამ გაიმარჯვებს."**

იქვე ერთი რუსი ჟურნალისტი ბურჯანაძეს ეკითხება: **"რატომ გააკეთეთ ასე დაგვიანებით განცხადება პანკისში "ალ ქაიდას" წევრების არსებობაზე?"**

ნინო ბურჯანაძე: **"ჩვენ, ალბათ, ადრე უნდა მოგვეხდინა ამაზე რეაგირება, მაგრამ ის, რაც პანკისის ირგვლივ რუსულ პრესაში ხდება, ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია. ამაში პანკისში ყოფნამ დამარწმუნა, ამ თორმეტკილომეტრიან ზოლზე რუსულ პრესაში ზედმეტი აჟიოტაჟი ატყდა... ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც გავათავისუფლეთ ეს ხეობა ტერორისტებისაგან. იმედია, სიტუაცია მალე გამოსწორდება..."**

დუბროვკის თეატრალური ცენტრის ფოიეში გროვდებიან რუსეთის წამყვანი სააგენტოების - "ინტერფაქსის", რია-ნოვოსტის" კორესპონდენტები და ქართველ სპიკერს ეკითხებიან აფხაზეთის მიმართულებით რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით ქართული პარლამენტის პოზიციის თაობაზე. სპიკერი აკრიტიკებს რუსეთის "ჰუმანიტარულ" აქციას და მას პოლიტიკურ პრობლემას არქმევს; აკრიტიკებს მოსკოვს რკინიგზის გახსნის თბილისთან შეუთანხმებლობის გამო; საუბრობს აფხაზეთიდან დევნილ 350 ათას კაცზე. ბურჯანაძე, უკვე დაღლილი, ვინ იცის, მერამდენედ უსვამს კონტრშეკითხვას ჟურნალისტებს იმის თაობაზე, თუ საიდან გაჩნდნენ პანკისის ხეობაში ტერორისტები.

ნინო ბურჯანაძე: **"თუ ჩვენ მეგობრობა და კეთილმეზობლობა გვსურს, ერთმანეთთან მისასვლელი გზები უნდა ვეძებოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნება ის, რაც დღეს გვაქვს – დღეს კი ჩვენს ურთიერთობაში ნამდვილი ჩიხია. იმედი მაქვს, რომ მოსკოვში ყოფნისას ჩვენს არგუმენტებს შეისმენენ და რომ რუსეთის ინტერესებში არ შედის საქართველოს დაქუცმაცება".**

■ ■ ■

დღის მეორე ნახევარში ქართული დელეგაცია მოსკოვის ცენტრში მდებარე საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკური საბჭოს ოფისში გაემგზავრა, საბჭოს თავმჯდომარესთან, პოლიტოლოგ სერგეი კარაგანოვთან შესახვედრად. საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე კარაგანოვის ცენტრში მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომელზეც, სამწუხაროდ, პრესა არ დაასწრეს.

მსჯელობის მთავარი თემა იყო პასუხი კითხვაზე - რა სურს რუსეთს საქართველოსაგან და როგორ წარიმართება ორი ქვეყნის შემდგომი ურთიერთობა.

ცნობილია, რომ სერგეი კარაგანოვის საბჭომ, რუსეთის პრეზიდენტად ვლადიმირ პუტინის არჩევის პარალელურად, დაამუშავა რუსეთის დასავლეთ სტრუქტურებში ინტეგრაციის, მინიმუმ, სამ საპრეზიდენტო ვადაზე გათვლილი პროგრამა, რომელსაც დღეს რუსეთში დასავლური ორიენტაციის მქონე ცნობილი პოლიტოლოგებისა და პოლიტიკოსების მთელი არმია ახორციელებს. ეს არმია ნინო ბურჯანაძის მოსასმენად მზადაა. აი, მათი სახელები, ვინც ამიერკავკასიაში დღეს კრემლის ახალი კონცეფციის მოდელირებას ახდენენ: სერგეი ოზნობიშჩევი - სტრატეგიული შეფასებების ცენტრის დირექტორი; ფონდ "პოლიტიკის" პრეზიდენტი ვიაჩესლავ ნიკონოვი; რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ევგენი კოჟოკინი; გლებ პავლოვსკი - ეფექტური პოლიტიკის ფონდის დირექტორი; ალექსანდრ სკაკოვი - რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დსთ-ს პრობლემების განყოფილების უფროსი; დსთ-ს ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინ ზატულინი; რუსეთის თავდაცვითი საწარმოების ლიგის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმირ რუბანოვი; ვლადიმირ რიჟკოვი – დეპუტატი; ფეოდორ ლუკიანოვი – ჟურნალ "რუსეთი - გლობალურ პოლიტიკაში" რედაქტორი; იური კობალაძე - სააქციო საზოგადოება "რენესანს კაპიტალის" დირექტორი; ვიაჩესლავ ტრეტიაკოვი - "ნეზავისიმაია გაზეტას" ყოფილი რედაქტორი; "იტერა-ჰოლდინგის" მმართველობის უფროსი ვიაჩესლავ ნაზაროვი; ვაგიფ გუსეინოვი - სტრატეგიული ანალიზისა და შეფასებების ცენტრის დირექტორი და სხვები...

ნინო ბურჯანაძის მკვეთრი სიტყვა დერეფანშიც ისმის. ქართველი სპიკერი ზატულინსა და დანარჩენებს მწვავედ უტევს:

**"თქვენ აფხაზეთში ისე იქცევით, როგორც საკუთარ ტერიტორიაზე!.."**

**"საიდან მოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენი ბანდიტები?!"**

საქართველოს პარლამენტის სპიკერთან დისკუსია ზატულინსაც კი უჭირს, ერთობ გაწონასწორებული გლებ პავლოვსკი მთელ რიგ პრინციპულ საკითხებზე საერთოდ გაჩუმებას ამჯობინებს.

**"მე ვიცი, რომ თქვენმა სპეცსამსახურებმა მოაცილეს საქართველოს საზღვრამდე ბანდიტი გელაევი,"** - ამბობს საქართველოს დელეგაციის ერთ-ერთი წევრი.

სიტყვით გამოდის ირაკლი ბათიაშვილი: **"თქვენი ლოგიკით, აფხაზეთში პარტიზანები აღარ უნდა დარჩნენ - ეს ის ხალხია, ვისაც შინ დაბრუნება სწყურია. რუსეთი დიდი ქვეყანაა და ნდობის აღსადგენად მან პირველმა უნდა გადმოდგას კეთილი ნების პირველი ნაბიჯი საქართველოსაკენ. რუსეთმა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას."**

რუსი პოლიტოლოგები, ქართველ კოლეგებთან ერთად, ეძებენ გამოსავალს – რა არის რუსეთის კონკრეტული მიზნები საქართველოში; რატომ აღიზიანებს მოსკოვს ასე თბილისის მხრიდან ნატო-ს ხსენება...

ზატულინი ხუმრობს, მე აფხაზეთის ანექსიაში ვმონაწილეობდიო.

ქართველებს "იტერას" წარმომადგენელი ახსენებს იაფ რუსულ გაზსა და ელექტროენერგიას, ავლებენ პარალელს ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის.

კარაგანოვი შეხვედრას აჯამებს (აეროპორტში აგვიანდება, ევროპაში მიფრინავს): **"მართალია, მწარე დიალოგი გამოგვივიდა, მაგრამ, ვფიქრობ, მოვხაზეთ ურთიერთშეხების წერტილები, რაზეც დღეიდან დაყრდნობა შეგვიძლია."** წერტილებს კარაგანოვი არ აკონკრეტებს.

დისკუსიის შემდეგ ნინო ბურჯანაძე რუსი ჟურნალისტებისათვის ბრიფინგს მართავს, სადაც ამბობს: **"თუ რუსეთი არ შეწყვეტს პრეტენზიულ განცხადებებს, რომ მან საქართველო და კავკასია უნდა აკონტროლოს, მაშინ არაფერი გამოგვივა."** ჩვენი სპიკერი ჟურნალისტებს ეუბნება, რომ უნდა შეიცვალოს რუსეთის პოლიტიკა საქართველოში. მისი აზრით, დღევანდელი შეხვედრა იმ ხალხთან, ვინც რუსეთის პოლიტიკურ ამინდს ქმნის, სასარგებლო გახლდათ. ეს იყო რეალისტური შეხვედრა. შეკითხვაზე - რას თავაზობს მოსკოვი თბილისს, ნინო ბურჯანაძე პასუხობს: "უნდა დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებზე საქართველოში." ბურჯანაძე აცხადებს, რომ რუსეთი და საქართველო განწირულნი არიან თანამშრომლობისათვის და მოსკოვში მისი ყოფნის პირველ დღეს ორი ქვეყნის დაახლოებას კარგი ფონი შეექმნა.

პირველი დღის მიწურულს ქართული დელეგაციის ყველა წევრი ამ აზრს არ იზიარებდა: პოლიტიკოსები ერთს ლაპარაკობენ, აფხაზეთში კი ქარავანი (ანუ მატარებელი) მაინც თავისი გზით მიდისო.

მოსკოვში ქართველი პოლიტიკოსების ვიზიტის ყველაზე საპასუხისმგებლო და დაძაბული დღეები ჯერ კიდევ წინაა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# „ლეიბორისტების ლიდერი, პოლიტკომიტეტის ნაცვლად, ცოლის რჩევებს ითვალისწინებს!"

## ნათელაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესი წააგო

ვერიკო თევზაძე

*"შალვა ნათელაშვილი პარტიაში გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებს. "მე ასე მინდა!" - ბევრჯერ შემოურტყამს მუხლზე ხელი. თუ დასჭირდა, მაგიდაზე მუშტის დაბრახუნებაც ეხერხება. იგი, პოლიტკომიტეტის ნაცვლად, ცოლის რჩევებს ითვალისწინებს, თავისი მეუღლის მონაა. ცოლის ნათესავებს დაურიგა თანამდებობები, ხოლო ადამიანები, რომლებმაც პარტიას გამარჯვება მოუტანეს, არაფრად ჩააგდო. ამიტომაც არის, რომ ლეიბორისტულ პარტიას ხშირად ტოვებენ ესა თუ ის პიროვნებები," – ერთ-ერთი ყოფილი ლეიბორისტის ამ მოსაზრებას "24 საათთან" საუბარში ათამდე ადამიანი დაეთანხმა. მათ შორის რამდენიმე დღესაც ირიცხება პარტიის რიგებში.*



*საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ლეიბორისტულ პარტიაში დისციპლინის განმტკიცებას ხელს არ შეუწყობს.*

გუშინ საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შრომის პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის სარჩელი, რომელიც თაბახის ხუთ ფურცელზე იყო ჩამოყალიბებული. ნათელაშვილი მოითხოვდა, არაკონსტიტუციურად ეცნოთ "ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტი. ნათელაშვილის აზრით, უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ საკრებულოს წევრს, კონსტიტუციის გვერდის ავლით, მიანიჭა თავისუფალი მანდატი. პარლამენტის გარდა, შალვა ნათელაშვილი იმ ორ თანაპარტიელსაც (ბერდია გველებიანსა და რეზო უმფრიანს) უჩიოდა, რომლებმაც ურჩობა გამოიჩინეს და არ შეასრულეს პარტიის დავალება, თბილისის მთავრობის დამტკიცებისას დარბაზი დაეტოვებინათ.

**"ნათელაშვილმა მშვენივრად იცოდა, რომ მისი ამჟამინდელი მოთხოვნა ისეთივე აბსურდული იყო, როგორიც სტრასბურგის ყბადაღებული სარჩელი, რომლითაც ოთხ წელიწადს ატყუებდა პარტიასაც და ამომრჩეველსაც. ნათელაშვილს ჩემდამი შურისძიება ამოძრავებს. პირად საუბარში მითხრა კიდეც, რომ ყველანაირი ბინძური ხერხით ეცდება ჩემს საკრებულოდან გამოწვევას, ეშმაკსაც კი შეეკვრება, ოღონდ ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანოს",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ყოფილმა ლეიბორისტმა ბერდია გველებიანმა.

გველებიანის განმარტებით, ნათელაშვილთან ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია იმან, რომ პარტიის ლიდერი გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებდა. **"საკრებულოში მან, გამარჯვებული პარტიის თავმჯდომარემ, მთელი ხელისუფლება "ნაციონალებს" გადააბარა. მთავრობის დამტკიცებისას ათი ლეიბორისტის დარბაზიდან გაყვანა მიზნად ისახავდა კვორუმის ხელოვნურად შემცირებასა და მთავრობის დამტკიცებისთვის ხელის შეწყობას, ანუ ვანო ზოდელავასთვის მხარდაჭერას."** შეგახსენებთ, რომ ზურაბ ჟვანიას საკრებულოს მდივნად არჩევის შემდეგ, ლეიბორისტების ფრაქციის წევრებმა ჟურნალისტებთან პირად საუბარში განაცხადეს, რომ ამის შესახებ მათ სამი წუთით ადრე შეიტყეს.

ასევე პირად საუბრებში პარტიის ზოგიერთი წევრი წყენას ვერ ფარავს ნათელაშვილის არჩევანის გამო, რომელიც ინჯიას გალეიბორისტებას უკავშირდება. **"სამშობლოში დაბრუნებულმა ინჯიამ ჯერ კიდევ სარფის საბაჟოსთან ცალსახად განაცხადა, რომ არც ერთი პარტიის წევრი არ არის. ორ ივნისს დასრულდა არჩევნები, ინჯია ოთხში მობრძანდა პარტიაში და მისი პრივატიზება მოახდინა. ინჯიას იმუნიტეტი სჭირდება, რომ არ დაიჭირონ, შალვას კი - ფული. ინჯიას წყალობით, ნათელაშვილმა ისე მოიწყო კაბინეტი, სიგარეტსაც კი არ გვაწევინებს, სუნი მაწუხებსო..."**

ოპონენტები შალვა ნათელაშვილს კუთხური სეპარატიზმის გაღვივებაშიც სდებენ ბრალს, რაც გამოიხატება შრომის პარტიის ლიდერის განცხდებაში, რომ სვანები მის ფიზიკურ განადგურებას აპირებენ. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ ნათელაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი ჯორბენაძის იმედად შეიტანა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. კულუარული ინფორმაციით, ნათელაშვილს ისიც აღიზიანებს, რომ მისი ყოფილი თანაპარტიელები (ბერდია გველებიანი, რეზო უმფრიანი, ზაზა ბეგაშვილი) "ნაციონალურ მოძრაობას" შეუერთდნენ. სანდო წყაროს თქმით, ნათელაშვილმა ერთ-ერთ "განდგომილ სვანს" შეუთვალა, ოღონდ "ნაციონალებთან" ნუ წახვალ და რაც გინდა, ის ჰქენიო. გველებიანმა და უმფრიანმა ამ ფაქტზე კომენტარისგან თავი შეიკავეს.

არსებობს ინფორმაცია, თითქოს ნათელაშვილი ძალოვან სტრუქტურებს მიმართავს იმის გამო, რომ სვანები მის განადგურებას აპირებენ. ამ ვერსიის დასაზუსტებლად თავად ბატონ შალვასთან დაკავშირებას შევეცადეთ, მაგრამ ჩვენი მცდელობა, შრომის პარტიის ლიდერის "მოუცლელობის" გამო, უშედეგო აღმოჩნდა. ამდენად, ჩვენთვის და საზოგადოებისთვისაც, ჯერჯერობით, გაურკვეველი რჩება, მართლა უჩივის თუ არა სვანებს ბატონი შალვა ძალოვნებთან.

# პასპორტებთან ერთად - ძალოვანი სტრუქტურების მოწმობებიც

გუშინ, "იტარ-ტასზე" დაყრდნობით, გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, "ვესელოე-ავტოდოროჟნოეს" საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დააკავეს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების ფედერალური სამსახურის მოწმობების დიდი პარტია. კვირას რუსეთიდან აფხაზეთში მიმავალ ავტომანქანა "ვოლგაში" მესაზღვრეებმა აღმოაჩინეს ბეჭედდასმული ბლანკებისა და მოწმობების დასტები. მანქანის მძღოლი დაკავებულია. მიმდინარეობს ძიება.

ანონიმი ექსპერტები, "იტარ-ტასისთვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ აფხაზეთში მიმავალი ეს ტვირთი, ან განკუთვნილი იყო სოხუმის რეჟიმის უმაღლესი მმართველობისთვის, ან ტერორისტებისთვის და მძარცველებისთვის, რომლებიც ამ მოწმობებითა და ბლანკებით დაუბრკოლებლად შეაღწევდნენ რუსეთის ტერიტორიაზე, როგორც რუსეთის მოქალაქეები.

საქართველოს ხელისუფლება, რომელიც მუდმივად ადანაშაულებს რუსეთს აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის არაოფიციალურ მხარდაჭერაში, ალბათ ამჯერადაც უსაყვედურებს მოსკოვს. როდესაც ასეთი პრეტენზიები გაისმა აფხაზებისთვის პასპორტების დარიგებაზე და სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე, კრემლმა საერთოდ დაიბანა ხელები და ყველაფერი კერძო სტრუქტურებს გადააბრალა. ამიტომ თბილისისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს, თუკი ამჯერადაც გამოცხადდება, რომ რუსმა მესაზღვრეებმა კერძო სტრუქტურის ინიციატივა აღკვეთეს.

ასეთ ვითარებაში საკითხავი ერთი რამ რჩება - როდემდე დაიჯერებს თბილისი ამ ზღაპრებს.

# 2003 წლის ბიუჯეტი და დეპუტატთა მანევრები

*ორი ცდა დასჭირდა იმას, რომ საქართველოს პარლამენტს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პირველი მოსმენით მიეღო. კენჭისყრებს შორის არსებულ 20-დღიან შუალედში ქვეყანაში რაიმე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა არ მომხდარა - საახალწლო და საშობაო დღესასწაულები ამის "საშუალებას არ იძლეოდა". მიუხედავად ამისა, 28 დეკემბრიდან 17 იანვრამდე ძირითადი ეკონომიკური კანონპროექტის მიმართ თავისი დამოკიდებულება 23 დეპუტატმა შეცვალა: ხუთი მათგანი ბიუჯეტის მომხრეებიდან მოწინააღმდეგეთა რიგებში გადავიდა, 18 კი პირიქით მოიქცა - პირველი კენჭისყრისგან განსხვავებით, მეორედ უკვე ბიუჯეტის პროექტს დაუჭირა მხარი. ამ "მანევრების" წყალობით, კვორუმი გადაილახა, "ბიუჯეტისტების" რაოდენობა 116-დან 129-მდე გაიზარდა და პროსახელისუფლებო ძალებმაც შვებით ამოისუნთქეს.*

გიორგი ასანიშვილი

როდესაც ბიუჯეტის მომხრეთა დანაკლისზე (ხუთი დეპუტატი) ვსაუბრობთ, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი კლება ნამდვილად ჯდება "ტექნიკური დანაკარგების" ფარგლებში: იოსებ ხარატიშვილი მართლაც მხოლოდ ტექნიკური მიზეზის გამო აღმოჩნდა "საბიუჯეტო ბორტს მიღმა". ყოველ შემთხვევაში, კენჭისყრის მეორე დღეს ყვარლის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი დაბეჯითებით არწმუნებდა დანარჩენ პარლამენტარებს, რომ ბიუჯეტის პროექტს ხმა მისცა და უბრალოდ, პულტმა არ იმუშავა.

"თემატურ უმრავლესობას" ვერც დიმიტრი ჯაიანთან ექნება პრეტენზია: ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ფრაქცია "აფხაზეთის" წარმომადგენელი კენჭისყრის დროს სხდომათა დარბაზში ნამდვილად ვერ იქნებოდა.

რაც შეეხება "კვინტეტის" კიდევ ორ წევრს - რევაზ მიშველაძესა და თედო პაატაშვილს, მათ შემთხვევაში გაკვირვებას უფრო ის იწვევს, ოპოზიციური ფრაქციების ("XXI საუკუნე" და "ტრადიციონალისტები") წარმომადგენლები თავდაპირველად, 28 დეკემბერს, როგორ აღმოჩნდნენ ბიუჯეტის მხარდამჭერთა შორის.

რევაზ მიშველაძის განმარტებით, პირველი კენჭისყრისას მან იმ პირობით მისცა ხმა ბიუჯეტის პროექტს, რომ გათვალისწინებული იქნებოდა რამდენიმე მოთხოვნა: ბიუჯეტიდან დაფინანსებისას გამონაკლისი მხოლოდ თამაზ წივწივაძის მწერალთა კავშირისთვის არ გაკეთდეს და ყველა შემოქმედებითი კავშირი ერთნაირ პირობებში ჩააყენონ, ანუ, ან ყველა დაფინანსდეს, ან - არავინ; ქობულეთის სანაპირო ზოლის გასამაგრებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყოს გარკვეული სახსრები; ისევე, როგორც შევარდნაძის სხვა რწმუნებულებს, ასლან აბაშიძესაც, პრეზიდენტის დავალებების შესასრულებლად, თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყოს. ვინაიდან "XXI საუკუნელის" ულტიმატუმს მთავრობამ ყური არ ათხოვა, დეპუტატმაც, პროტესტის ნიშნად, ბიუჯეტის პროექტის წინააღმდეგ მისცა ხმა.

**"მეორე მოსმენის დროს, ამ მოთხოვნებიდან ერთი მაინც თუ იქნება დაკმაყოფილებული, მივცემ ხმას ბიუჯეტს, თუ არა და - არა,"** - შედარებით მოლბა მიშველაძე მას შემდეგ, რაც დაინახა, რომ ხელისუფლებამ ბიუჯეტის პროექტი, პირველი მოსმენით, მისი მხარდაჭერის გარეშეც გაატარა.

მართლაც, "თემატური უმრავლესობისთვის" ახლა უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია, მეორე მოსმენის დროს როგორ პოზიციას დაიკავებს "მეამბოხე ხუთეული" - დამატებითი 18 ხმის გადაქაჩვით, სახელისუფლებო ძალებმა უკვე სოლიდური რეზერვი შეიქმნეს.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ 18-დან ცხრა მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატია. პარლამენტართა ეს კატეგორია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის იყო და რჩება პრეზიდენტ შევარდნაძის მორჩილ მხარდამჭერად. პირველი კენჭისყრის შემდეგ, პარლამენტის საოქმო ჩანაწერში, მათი გვარების გასწვრივ ამოიკითხავდით არა "ხმა არ მისცა"-ს ან "წინააღმდეგ"-ს, არამედ - "არ ესწრებოდა"-ს. გადამწყვეტ, კრიტიკულ მომენტში კი, როგორც ჩანს, ახმეტის, ფოთის, სიღნაღის, გარდაბნის, წალკისა და რიგი სხვა რაიონების მაჟორიტარებს ყველა საქმე გადაადებინეს და პარლამენტში მიიყვანეს.

იმ მაჟორიტარებს შორის, რომლებმაც ხმა მისცეს 2003 წლის ბიუჯეტის პროექტს, ცალკე აღნიშვნის ღირსია თეთრი წყაროს მაჟორიტარი დეპუტატი დავით ბეჟუაშვილი - თავის დროზე "საქგაზის" დამფუძნებელი, რომელსაც ბოლო პერიოდში ხელისუფლება ძალიან შემოსწყრა. მიხეილ სააკაშვილთან მეგობრობითა და ბიზნესში თავისი მოღვაწეობით მან საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე პრეზიდენტის რისხვა დაიმსახურა. შევარდნაძის აღშფოთებას კი სამართალდამცავი ორგანოები რეაგირების გარეშე არასდროს ტოვებენ - ბეჟუაშვილის მიმართ გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. აქედან გამომდინარე, სავსებით "ბუნებრივია", რომ თეთრი წყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა "კაპიტულაცია" გამოაცხადა - 17 იანვარს ის უკვე დაესწრო პარლამენტის რიგგარეშე სესიას და ბიუჯეტის პროექტს ხმაც მისცა. თუმცა, თავად ბეჟუაშვილი კატეგორიულად უარყოფს, რომ მასზე ვინმემ რაიმე სახის ზეწოლა მოახდინა.

**"მე ის პიროვნება არა ვარ, რომელზეც ვინმეს ზეწოლის მოხდენა შეუძლია. 28 დეკემბრის სხდომაზე რომ ვყოფილიყავი, ბიუჯეტის პროექტს მაშინაც მივცემდი ხმას. როგორც მაჟორიტარ დეპუტატს, ჩემი რაიონის პრობლემების გადაწყვეტაზე ზრუნვა უფრო მაინტერესებს, ვიდრე პოლიტიკური თამაშები",** - აცხადებს ბეჟუაშვილი.

აღსანიშნავია, რომ "თემატურ უმრავლესობაში" ხმების გადაქაჩვისას კარგად იქნა გამოყენებული თანამდებობრივი "მარყუჟიც" - მათ შორის, ვინც ძირითად ეკონომიკურ კანონს მხარი დაუჭირა, ერთი ვიცე-სპიკერია (ვახტანგ ყოლბაია), ორი - საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე (ბათიაშვილი და გიორხელიძე), შვიდი - ქვეკომიტეტის თავმჯდომარე.

თავის ნაბიჯს ირაკლი ბათიაშვილი იმით ხსნის, რომ **"ვინაიდან ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია სამხედრო უწყების დაფინანსების გაზრდა 67 მილიონ ლარამდე, ის, როგორც შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, ვალდებული იყო კანონპროექტისთვის ხმა მიეცა".** თუმცა, ბათიაშვილის ქმედება მის ფრაქციაში მაინც არასწორად მიაჩნიათ - 2003 წელს თავდაცვის სამინისტროსთვის 80 მილიონი ლარი უნდა გამოყოფილიყო და რადგან ასე არ მოხდა, რაიმე ვალდებულებაზე ლაპარაკი ზედმეტია. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, "ახალი მემარჯვენეების" პოლიტიკური საბჭო აპირებს, ბათიაშვილის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საგანგებოდ იმსჯელოს.

ხმების მოკრეფის პროცესში "თემატიკოსებმა" პარტიული "განხრითაც" იმუშავეს - "გადაბირებულთა" შორის "ახალი მემარჯვენეებიდან", ირაკლი ბათიაშვილის გარდა, არის დოდო შელია, აგრეთვე "ნაციონალი" გიორგი კოხრეიძე, მაჟორიტარი-"მრეწველი" ლევან პირველი, ვლადიმერ ქარსელაძე - ფრაქცია "აფხაზეთიდან", დემურ გიორხელიძე - "ახალი აფხაზეთიდან" და მიხეილ ნანეიშვილი - ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე...

პირველი კენჭისყრისას ბიუჯეტის პროექტის ჩავარდნის შემდეგ პროსახელისუფლებო ფრაქციათა ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა "ორგანიზაციული ხასიათის შეცდომებს" და რომ ასეთი რამ მომავალში აღარ გამეორდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ მათი შეფასება და პროგნოზი მთლიანად გამართლდა: გასულ პარასკევს "მობილიზაცია" სრულყოფილად ჩატარდა და ადამიანური რესურსების მხრივ, 28 დეკემბრისგან განსხვავებით, უმრავლესობას პრობლემა აღარ ჰქონია.

სხვა საკითხია, რა მეთოდებით ხდებოდა "ყულაბის შევსება". თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, ეს მეთოდები ხშირად არც თუ კანონიერი იყო: საუბრობენ გადახდილ და შეპირებულ რამდენიმე ათას დოლარზე, ჰესების პრივატიზებისას გარკვეულ "შეღავათებზე", პოლიტიკურ ზეწოლაზე... თუმცა, ეს ყველაფერი მაინც "მოარული ხმებია" და სხვა არაფერი. როგორც რუსები ამბობენ, "Не поиман, не вор".

# როლანდ მგალობლიშვილს თავი მაინც ქუდში აქვს

*მას შემდეგ, რაც პარლამენტმა სცნო რუსთაველი როლანდ მგალობლიშვილის სადეპუტატო უფლებამილება, საეჭვოა, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ რაიმე შეცვალოს და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რუსთავის არჩევნებში აღმოჩენილი დარღვევები განსაკუთრებული მსჯელობის საგნად აქციოს.*

თამარ მჭედლიშვილი

ყველა ნიშნის მიხედვით, ცესკო მხოლოდ ფორმალურად აღასრულებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას და ამ საკითხს რამდენიმეწუთიან სხდომას მიუძღვნის. თუმცა, კომისიაში უკვე დღეს აცხადებენ, რომ **"ამით არაფერი შეიცვლება და ცენტრალური საარჩევნო კომისია თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლის".**

ამის მიუხედავად, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია "სამართლიანი არჩევნებისთვის" შეეცდება, ცესკო-ს კიდევ ერთხელ დაუსაბუთოს, რომ რუსთავში არჩევნები, ფაქტობრივად, არც კი გამართულა, რადგან მასში მონაწილეობა არ მიუღია ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთ მესამედს. თუმცა, ეს არაფერს შეცვლის – გარიგება შედგა. და არა მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. მგალობლიშვილის კავშირებმა (და, ალბათ, საკმაოდ სერიოზულმა ფინანსებმა) პარლამენტარებზეც კი მოახდინა გავლენა. შედეგად კი, 140 დეპუტატი "მოულოდნელად დარწმუნდა", რომ მგალობლიშვლმა რუსთავში არჩევნები მოიგო.

ერთი სიტყვით, მთელ ამ ისტორიაში როლანდ მგალობლიშვილს დისკომფორტს მხოლოდ ერთი გარემოება უქმნის. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მაინც შესასრულებელია, თუნდაც, ფორმალურად. მაგრამ მას დამშვიდების საფუძველიც აქვს - ჯერჯერობით გაურკვეველია, როდის მოიწვევს კომისიის ხელმძღვანელობა ამ "ისტორიულ" სხდომას.

გუშინ "24 საათი" დაუკავშირდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს გია ზესაშვილს, რომელმაც განაცხადა, **"რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების არც სარეზოლუციო და არც სამოტივაციო ნაწილი კომისიის კანცელარიაში ჯერ არ შესულა".**

უკეთეს შემთხვევაში, უზენაესი სასამართლო ცესკო-ს მიმდინარე კვირის ბოლოს თუ მიაწვდენს ხმას. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი სხდომის დანიშვნა.

სხვათა შორის, არსებობს სხდომის მუდმივად გადადების ერთი, და თანაც, საკმაოდ მარტივი ხერხი, რომლისთვისაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არაერთგზის მიუმართავს. ეს კვორუმის არარსებობაა. ამ ეშმაკობის არსი კი შემდეგში მდგომარეობს: კომისიის ხელმძღვანელობა ნიშნავს სხდომას, მაგრამ კომისიის წევრები მასზე არ ცხადდებიან. შედეგად სხდომა, ავტომატურად, ჩაშლილად ცხადდება. ინიშნება სხდომის გამართვის ახალი თარიღი, მაგრამ კვორუმი ისევ არ დგება და ასე დაუსრულებლად.

ნამდვილად არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ როლანდ მგალობლიშვილის შემთხვევაში ცესკო, თავის დასაზღვევად, სწორედ ამ მექანიზმს აამუშავებს და დროს მაქსიმალურად გაწელავს. მით უფრო, რომ განტევების ვაცად ყოფნა მას არ სურს. განსაკუთრებით ახლა, როცა პოლიტიკური გადაწყვეტილება არა მხოლოდ კომისიამ, არამედ ჩვენმა სანაქებო პარლამენტმაც მიიღო.

# რას ნიშნავს ბალტიისა და შავი ზღვების უსაფრთხოების სისტემათა გაერთიანება

პირველი გვერდიდან

იდეას სულს უბერავს ამერიკის შეერთებული შტატები, სხვადასხვა შინაგანი წინააღმდეგობების გამო, მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობაზე ხან მოლდოვა ითრევს ფეხს, ხან უზბეკეთი. შედარებით მოგვიანებით კი, მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ საქართველოს კიდევ ერთ გაერთიანებაში, "ბლექ სი ფორსში" მონაწილეობის შესაძლებლობა მისცა. ამჯერად თანამშრომლობის ასპარეზი გახდა შავი ზღვა, ხოლო წარმმართველ ამოცანებად - ზღვაზე სამაშველო ოპერაციები და ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, საქართველომ "ბლექ სი ფორსში" გაწევრიანების საერთაშორისო ხელშეკრულებას 2001 წელს მოაწერა ხელი და ეს ინიციატივა შავ ზღვაზე მოქმედი ყველა ქვეყნის საზღვაო ძალებს შორის ურთიერთქმედების უზრუნველყოფას ითვალისწინებს. ამ მიზნით, "ბლექ სი ფორსში" გაერთიანებულ ქვეყნებს, როტაციის პრინციპით, შექმნილი აქვთ ფლოტილია და როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, **"საქართველო ემზადება იმისთვის, რომ ამ გაერთიანების ეგიდით დაგეგმილი წვრთნებს და სხვადასხვა ღონისძიებებს თავად უხელმძღვანელოს."**

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ნატო-ს პრაღის სამიტზე ალიანსის გაფართოების შემდეგ, საქართველოს შავი ზღვით დაუკავშირდა უკვე ნატო-ს სამი წევრი ქვეყანა, რომლებიც "ბლექ სი ფორსშიც" აქტიურად მონაწილეობენ. იმავე სამიტზე, როდესაც საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სურვილის შესახებ განცხადებას აკეთებდა, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შავი ზღვის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობაზეც ილაპარაკა. მაგრამ, ამის გათვალიწინებითაც კი, იდეა "ბალტიისა და შავი ზღვის უსაფრთხოების სისტემათა გაერთიანების " შესახებ, რომელიც ეროვნული უშიშროების საბჭოს კედლებში იშვა და ნატო-სთან საქართველოს დაახლოების საშუალებად გამოცხადდა, დაზუსტებას საჭიროებს.

**"ნატო-ში გაწევრიანების პროცესს რომ იწყებდნენ, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა იმ სახელმწიფოების გამოცდილებით იხელმძღვანელეს, რომლებიც წინა ტალღაში გაწევრიანდნენ, ანუ ვისაც ჰქონდა ამ ტრანსფორმაციის გამოცდილება (ძირითადად, პოლონეთის) და ამ სქემამ წარმატებით იმუშავა. შესაბამისად, ეს ლოგიკა ჩვენს შემთხვევას რომ მივუსადაგოთ, რაკი ჩვენ და უკრაინასაც პერსპექტივაში ნატო-ში გაწევრიანება გვაქვს ჩაფიქრებული, მიზანშეწონილია, რომ ჩვენ ბალტიისპირეთთან ვითანამშრომლოთ."** ზოგადად ასე განსაზღვრავს ამ იდეას საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე და არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ, დეტალური შესწავლის შემდეგ, ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფმა იდეამ მრავალმხრივი განზომილება შეიძინოს.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამდივნო, რომელიც ახლო წარსულში, ძირითადად, ადმინისტრაციული კადრების მომაზადებით იყო დაკავებული, ახალ სტრუქტურაზე გადასვლის შემდეგ, საქართველოსთვის უსაფრთხოების სხვადასხვა მოდელებს ამუშავებს. პირველი წარმატებული იდეა, რომელიც უშიშროების საბჭოს კედლებში იშვა, გახლდათ გეოპოლიტიკური სამკუთხედის (ვაშინგტონი-თბილისი-მოსკოვი) ფარგლებში თანამშრომლობა, რაც, ექსპერტთა შეფასებით, პოზიტიურად აისახა პანკისის პრობლემის მოგვარებაზე. ძნელი სათქმელია, რამდენად იმუშავებს ეს ახალი იდეა, მაგრამ მას, უდავოდ, აქვს ძლიერი მხარეები.

ცნობისთვის: თუ გეოპოლიტიკური სამკუთხედის შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ტერორიზმის პრობლემის წინააღმდეგ ამერიკისა და რუსეთის შეხედულებათა თანხვედრამ ითამაშა, "ბალტიისა და შავი ზღვის უსაფრთხოების სისტემათა" დაახლოების პროცესში აქცენტი რუსეთსა და ნატო-ს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობებზე კეთდება. ის, რომ მოსკოვი აღარ განიხილავს ტრანსფორმირებულ ჩრდილოეთატლანტიკურ ალიანსს მტრულ ბლოკად და აფართოებს მასთან თანამშრომლობას, გარკვეული აზრით უკვე ნიშნავს, რომ უასფრთხოებათა სისტემების დაახლოების პროცესი მიმდინარეობს.

თუმცა, ამ იდეას აქვს ერთი სუსტი წერტილიც - ერთადერთი შავიზღვისპირა სახელმწიფო, რომელთანაც საქართველოს მუდმივად ექმნება პრობლემები - რუსეთია. მაგრამ ბალტიის ქვეყნების მიერ განვლილი გზა, რის გამეორებასაც საქართველოც ესწრაფვის, სწორედ იმის ნათელი მაგალითია, რომ უსაფრთხოების სისტემით, ბალტიის ზღვაზე იქნება თუ შავ ზღვაზე, საბოლოოდ ყველა მოგებული რჩება.

## კვიპროსელი თურქების ლიდერი კვიპროსის გაერთიანების წინააღმდეგია

კვიპროსელი თურქების ლიდერმა რაუფ დენკტაშმა განაცხადა, რომ იგი თანამდებობიდან გადადგომას არჩევს გაერო-ს გეგმაზე ხელის მოწერას, რომელიც კვიპროსის გაერთიანებას გულისხმობს.

თურქულ გაზეთ "მილიეთისათვის" მიცემულ ინტერვიუში დენკტაშმა აღნიშნა, რომ ამჟამინდელი ფორმით წარმოდგენილი გეგმა კვიპროსელი თურქების ინტერესებს არ შეესაბამება.

მის განსაკუთრებულ გაღიზიანებას ახალი სახელმწიფოს კონსტიტუციური სტრუქტურა იწვევს. მისი თქმით, ორ საზოგადოებას (ბერძნულსა და თურქულს) შორის არ არსებობს იმდენი ნდობა, რომ ერთად იცხოვრონ.

დენკტაშსა და მის ბერძენ კოლეგაზე - გლაფკოს კლერიდისზე საერთაშორისო თანამეგობრობა დიდ ზეწოლას ახდენს, რათა თებერვლის ბოლომდე მათ გაერო-ს მიერ წარმოდგენილ გეგმას ხელი მოაწერონ.

ევროკავშირი კვიპროსის გაწევრიანებას 2004 წელს გეგმავს. თუმცა, თუ ბერძნული და თურქული მხარეები არ გაერთიანდებიან, მაშინ გაერთიანებაში მხოლოდ ბერძნული ნაწილი შევა.

"გეგმას ამ სახით ხელს არ მოვაწერ", - გადაჭრით აღნიშნა დენკტაშმა ყოველდღიურ გაზეთთან ინტერვიუში.

"მე იმგვარი მშვიდობა მსურს, რომელიც კვიპროსელ თურქებს არსებობის, უსაფრთხოების, მომავლისა და თანასწორობის გარანტიას მისცემს. ეს გეგმა კი ამას არ ითვალისწინებს", - თქვა მან.

კვიპროსელი თურქების ლიდერმა კლერიდისთან მოლაპარაკებები გასულ კვირას მას შემდეგ განაახლა, რაც ათი ათასობით კვიპროსელმა თურქმა გაერო-ს გეგმის მხარდასაჭერად დემონსტრაცია მოაწყო.

"მე ლახვარი ჩამცეს ზურგში. - განაცხადა დენკტაშმა საპროტესტო გამოსვლის შესახებ საუბრისას, - როდესაც კლერიდისი ამას ხედავს, ჰგონია, რომ მე სხვა გზა აღარ მაქვს, გარდა იმისა, რომ გეგმას დავეთანხმო".

დენკტაშის განცხადებით, თუ მასზე ძალზე დიდ ზეწოლას მოახდენენ, მაშინ ის რეფერენდუმს დანიშნავს.

"თუ ჩემს ხალხს ამ გეგმის მიღება სურს, მაშინ მე ვთხოვ პარლამენტს, რომ მასზე ხელმოსაწერად ვინმე სხვა აირჩიონ", - აღნიშნა მან.

დენკტაშმა გაერო-ც გაკიცხა და გენერალურ მდივანს კოფი ანანს ბერძნული მხარის მიმართ მიკერძოებაში დასდო ბრალი.

"ჩემთვის ძალიან რთულია ამ პირობებში მოლაპარაკებების წარმოება", - განუცხადა მან "მილიეთის" ჟურნალისტს.

თუმცა, იმის მიუხედავად, რომ დენკტაშის წინააღმდეგ გამოსვლები დაიწყო, კვიპროსელი თურქების ლიდერს თურქული არმიის იმედი აქვს. ამჟამად, კვიპროსში, დაახლოებით, 40 000 თურქი ჯარისკაცი იმყოფება. თურქეთი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც 1974 წელს შექმნილი ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის სუვერენიტეტს ცნობს.

ცხადია, რომ, თურქული არმიის მხარდაჭერის შემთხვევაში, კვიპროსელი თურქების ლიდერზე შიდა პოლიტიკური ზეწოლა შემცირდება. თურქეთის არმიას კი, ჯერჯერობით, ანკარის ერთგული დენკტაშის საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

## მოკლედ

### გამოქვეყნდა ბინ ლადენის მორიგი მიმართვა

ბინ-ლადენმა თავის მომხრეებს მორიგი მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც მუსულმანებს ერთმანეთთან ბრძოლის შეწყვეტა და ურჯულოთა წინააღმდეგ გაერთიანება მოსთხოვა.

"ასოშეიტედ პრესის" ცნობით, 26-გვერდიანი მიმართვა ლონდონში გამომავალ არაბულენოვან გაზეთ "აშარყ ალ-ავსატს" გაუგზავნა პაკისტანის ისლამური კვლევების ცენტრთან დაახლოებულმა პიროვნებამ. ამბობენ, ამ ცენტრს კავშირი აქვს "ალ ქაიდასთან".

2001 წლის დეკემბრის შემდეგ ბინ ლადენის ადგილსამყოფელი უცნობია. იგი რამდენჯერმე გამოაცხადეს დაღუპულად, მაგრამ მისი სიკვდილის შესახებ ცნობები არც ერთხელ არ დადასტურდა. მას შემდეგ, რაც ერაყი საერთაშორისო მიმომხილველთათვის წამყვანი თემა გახდა, ბინ ლადენის მიმართ ინტერესმა საგრძნობლად იკლო. "ალ ქაიდა", როგორც ამბობენ, წელშია გატეხილი.

### ლონდონის პოლიციამ მეჩეთი გაჩხრიკა

20 იანვარს ლონდონის პოლიციამ გაჩხრიკა ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე მეჩეთი და შვიდი ადამიანი დააპატიმრა. მათგან ექვსი ჩრდილოეთ აფრიკიდანაა, ხოლო ერთი – აღმოსავლეთ ევროპიდან. პოლიციის განცხადებით, ჩხრეკა უკავშირდება ორი კვირის წინ ქალაქში მომწამვლელი ნივთიერება "რიცინის" აღმოჩენას.

ამ მეჩეთში მოღვაწეობს წინააღმდეგობრივი მუსულმანი მქადაგებელი აბუ ჰამზა ალ-მასრი. უხელო და ცალთვალა მქადაგებელი აცხადებს, რომ თალიბანისა და "ალ ქაიდას" შეხედულებებს იზიარებს.

პოლიცია აცხადებს, რომ მათი ქმედება მიმართული იყო მხოლოდ მეჩეთში მყოფი და ტერორიზმში ეჭვმიტანელი პირებისა და არა მეჩეთის, ან მუსულმან მორწმუნეთა წინააღმდეგ. მეჩეთში "რიცინის" კვალი არ აღმოჩნდა.

თავად ალ-მასრიმ განაცხადა, რომ ეს ოპერაცია ტონი ბლერის მიერ მუსულმანთა წინააღმდეგ გამოცხადებული ომის ნაწილია.

### რუსეთმა ინდოეთს სტრატეგიული ბომბდამშენები მიაქირავა

რუსეთმა ინდოეთთან ახალი, სამმილიარდიანი სამხედრო კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმების პირობების თანახმად, მოსკოვი დელის "მიაქირავებს" ოთხ ტუ-22 მ3 ტიპის ბომბდამშენსა და ორ "აკულას" კლასის ატომურ წყალქვეშა ნავს. როგორც საჰაერო, ისე წყალქვეშა ხომალდებს შეუძლიათ ბირთვული იარაღის გადატანა. ისინი, როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზნით იქნებიან გამოყენებულნი.

ინდოეთს, როგორც ცნობილია, თავის "მოსისხლე მტერზე," პაკისტანზე, უფრო მეტი ატომური ბომბი გააჩნია, მაგრამ მათი გადატანის საშუალებებში მოიკოჭლებს. ახალი თვითმფრინავებით კი მას შეუძლია ბომბები არა მხოლოდ პაკისტანის მთელ ტერიტორიაზე, არამედ ცენტრალურ ჩინეთამდეც კი მიიტანოს.

მხარეები ამზადებენ კიდევ ერთ ხელშეკრულებას, რომელიც შეეხება ინდოეთისთვის მოძველებული რუსული ავიამზიდის – "ადმირალ გორშკოვის" გადაცემას. ინდოეთი მზადაა, რომ დაზიანებული ავიამზიდის აღდგენისათვის რუსეთს 600 მილიონი დოლარი გადაუხადოს. ასევე მზადდება პროექტი ზესწრაფი რაკეტების ერთობლივი წარმოების შესახებ.

## თუ ჰუსეინი გადადგება, ვაშინგტონი მას ხელშეუხებლობას ჰპირდება

პირველი გვერდიდან

ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები, ქობინებთან ერთად, აქცენტს ლაზერული ტექნოლოგიების შესახებ 3000-გვერდიანი დოკუმენტის პოვნაზეც აკეთებენ, რომელიც ერთ-ერთი ერაყელი მეცნიერის სახლში აღმოაჩინეს. ეს მასალა (დოკუმენტი შეიცავს საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც შეიძლება ატომური იარაღის დასამზადებლად იქნას გამოყენებული) ბაღდადის ხელისუფლების მიერ გაერო-ს უშიშროების საბჭოსთვის მომზადებულ 12-ათას გვერდიან დოკუმენტში არ ფიგურირებდა. ამდენად, ხელშესახები საბაბი ბრალდებისათვის, რომ ჰუსეინის ხელისუფლება გაერო-სთან გულწრფელად არ თანამშრომლობს, უკვე არსებობს. ყველაფერი კი 27 იანვრის შემდეგ გაირკვევა, როდესაც ინსპექტორთა მისია უშიშროების საბჭოს საბოლოო დასკვნას წარუდგენს. **"27 იანვარი ერაყისათვის უკანასკნელი ფაზის დასაწყისს ნიშნავს,"** - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისმა.

მანამდე კი შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი სპარსეთის ყურეში სამხედრო ძალების კონცენტრაციას განაგრძობენ. დაახლოებით თებერვლის შუა რიცხვებისთვის აშშ-ს რეგიონში უკვე 130 ათასი სამხედრო მოსამსახურე ეყოლება გადასროლილი და ერაყში შეჭრის სამზადისი, ფაქტობრივად, დასრულებული იქნება. ერაყში ომი კი არა მარტო ახლო აღმოსავლეთის რეგიონისა და თავად ერაყის მაცხოვრებლებს, არამედ მთელ დანარჩენ მსოფლიოს, უპირველეს ყოვლისა კი, ამერიკელ მოქალაქეებს აღელვებთ. შეერთებული შტატები და ევროპა ანტისაომარმა დემონსტრაციებმა მოიცვა. ამის შესახებ "24 საათის" გუშინწინდელი გამოშვება დეტალურად იუწყებოდა. ალბათ, სწორედ საერთაშორისო პროტესტი გახდა იმის მიზეზი, რომ კვირას აშშ-ს ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებმა თითქმის ერთხმად განაცხადეს ვაშინგტონის ახალი ინიციატივის შესახებ, რომლის თანახმადაც თეთრი სახლი სადამ ჰუსეინის თავისი ნებით წასვლასა და სხვა რომელიმე ქვეყანაში თავშესაფრის მოძებნას მიესალმება. ამასთანავე ოფიციალური ვაშინგტონი ჰუსეინსა და მის გარემოცვაზე "ნადირობას" არ დაიწყებს და მათზე ამნისტია გამოცხადდება. პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის პოზიციის თანახმად, მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი რეგიონში სამხედრო კამპანიის თავიდან აცილება.



"აშშ-ს თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი ტელეკომპანია "ფოქსის" ეთერში"

ტელეკომპანია "ფოქსთან" ინტერვიუში აშშ-ს თავდაცვის მდივანმა დონალდ რამსფელდმა აღნიშნა, რომ მეზობელი არაბული სახელმწიფოები სადამ ჰუსეინს გადადგომისაკენ მოუწოდებენ, რათა ამით თავიდან აიცილონ ომი. უკვე რამდენიმე კვირაა, ვრცელდება ინფორმაციები, რომ ერაყის მეზობლები ბაღდადში უსისხლო გადატრიალებას ამზადებენ. **"მთელი მსოფლიოსათვის კარგი იქნება, თუკი ის წავა,"** - განაცხადა რამსფელდმა.

უკანასკნელ ხანებში მსოფლიოს მასმედიაში მუსირებს აზრი, რომ ჰუსეინს არ სურს სლობოდან მილოშევიჩის ბედის გაზიარება და თავიდანვე მოითხოვს მისთვის იმუნიტეტის მინიჭებას. ამასთან დაკავშირებით პენტაგონის შეფმა განაცხადა: **"ომის თავიდან ასაცილებლად, პირადად მე გავუწევ რეკომენდაციას, რათა ერაყის უმაღლესმა ხელისუფლებამ და მათმა ოჯახებმა რომელიმე სხვა ქვეყანაში მიიღონ თავშესაფარი."** ამასთანავე მან დასძინა, რომ სადამისა და მისი მთავრობის წევრების ამნისტირების საკითხი თეთრმა სახლმა ან აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტმა უნდა გადაწყვიტოს. თავად რამსფელდს კი საწინააღმდეგო არაფერი ექნება, თუ ჰუსეინს თავად ერაყელები დაამხობენ. **"ომი - ეს უკიდურესი ნაბიჯია. მე აღფრთოვანებული დავრჩები, თუკი სადამ ჰუსეინი თეთრ დროშას გადმოკიდებს და იტყვის: "თამაში წაგებულია, საერთაშორისო თანამეგობრობამ ჩიხში მიმიმწყვდია, მოდით, მე, უბრალოდ, წავალ...."** - ამბობს დონალდ რამსფელდი.

სადამ ჰუსეინის ნებით გადადგომისა და მისი ამნისტირების იდეას აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწე კონდოლიზა რაისიც მისალმა, თუმცა იგი მოვლენების ამგვარი განვითარების შესაძლებლობას ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნევს.

და ბოლოს, ეს იდეა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმაც აიტაცა. მან განაცხადა, რომ გააჩნია დაუდასტურებელი ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს საუდის არაბეთი და თურქეთი აქტიურად მუშაობენ სადამ ჰუსეინის თანხმობის მისაღწევად ნებით გადადგომის თაობაზე. **"თუ ასეთ მცდელობებს მართლა აქვს ადგილი, მე ვურჩევდი სადამ ჰუსეინს, რომ ყურადღებით მოუსმინოს მათ,"** - განაცხადა პაუელმა.

გაზეთ "ვაშინგტონ პოსტის" ცნობით, ასეთი იდეა საუდის არაბეთის პრინც აბდულასა და ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს შორის ერ-რიადში გამართულ მოლაპარაკებებზე წარმოიშვა. როგორც ცნობილი გახდა, ეს იდეა ოფიციალურ დონეზე ანკარაში გაჟღერდება, სადაც ამ დღეებში არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ერაყის რეგიონში ომის აცილების შესაძლებლობებს განიხილავენ.

უნდა ითქვას, რომ, სადამ ჰუსეინის გადადგომის შემთხვევაში, მისი ხელშეუხებლობის იდეის ინიციატორები უკვე ასახელებენ იმ სავარაუდო ქვეყნებს, სადაც შესაძლოა ერაყელმა დიქტატორმა და მისმა გარემოცვამ თავშესაფარი იპოვოს. ასეთ სახელმწიფოებად ლიბიას, ალჟირს, მავრიკიას, სირიას, რუსეთსა და ბელორუსს განიხილავენ. თუმცა, რუსეთი, ისევე როგორც ამ სიაში დასახელებული ქვეყნების დიდი ნაწილი, ჰუსეინისათვის თავშესაფრის მიცემის მიმართ ინტერესს არ გამოხატავს და ამგვარი სურვილის არსებობას მთლიანად გამორიცხავს. და ბოლოს, ამ იდეასთან დაკავშირებით უკვე ცნობილი გახდა ოფიციალური ბაღდადის პოზიციაც. ერაყის ხელისუფლების წარმომადგენელმა ვაშინგტონის ინიციატივას ერაყის წინააღმდეგ წარმოებული **"ფსიქოლოგიური ომის შემადგენელი ნაწილი"** უწოდა.

ამ სცენარს ბევრი ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნევს. მათი თქმით, სადამი წყლისა და ჰაერის გარეშე უფრო გაძლებს, ვიდრე ხელისუფლების. სადამის ძველმა კოლეგამ მუამარ კადაფიმ ჰუსეინის შესაძლო ტაქტიკის შესახებ ასეთი ვარაუდი გამოთქვა: "ის კუთხეშია მიმწყვდეული და ისღა დარჩენია, ბოლომდე იბრძოლოს".

ვრცელდება მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც იმუნიტეტი უნდა გავრცელდეს არა სადამზე, არამედ მის უახლოეს გარემოცვაზე, რათა მათ დაამხონ პრეზიდენტი და მსოფლიოსთან ურთიერთობა ნულიდან დაიწყონ.

## კუბელებმა ახალი პარლამენტი აირჩიეს

კუბაში საკანონმდებლო ორგანოს - ეროვნული ასამბლეის არჩევნები გაიმართა. 609-ადგილიან პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატთა რიცხვიც, რაც არ უნდა საოცარი იყოს, ზუსტად 609-ს შეადგენდა. ერთ-ერთ საარჩევნო უბანში სიტყვით გამოსვლისას კუბის უკვდავმა ლიდერმა ფიდელ კასტრომ არჩევნების დღეს კუბის დემოკრატიის ზეიმი უწოდა. კუბელმა დისიდენტებმა კი არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს და მას პოლიტიკური ფარსი უწოდეს.

კუბის საარჩევნო კომისიის წევრებმა, რომლებიც ყველა საარჩევნო უბანში იყვნენ წარმოდგენილები, თავის მხრივ ამომრჩეველთა მაღალი აქტივობის შესახებ განაცხადეს. ხელისუფლებამ ამომრჩევლების ასეთი შესაშური აქტიურობა იმით ახსნა, რომ კუბელები კვლავ რევოლუციის ერთგულები არიან. დისიდენტები კი ირწმუნებიან, რომ მოსახლეობის არჩევნებში მონაწილეობა რეპრესიების შიშით არის განპირობებული.

ერთი შეხედვით, კუბაში ჩატარებული კენჭისყრის პროცესი დემოკრატიულ სახელმწიფოებში გამართული არჩევნებისგან არაფრით განსხვავდებოდა. ხმის მისაცემი ბიულეტენები საგულდაგულოდ იყო მომზადებული, ხმის მიცემა ფარულად ტარდებოდა, რისთვისაც სპეციალური კაბინებიც არსებობდა. მაგრამ არ იყო ყველაზე მთავარი – ოპოზიცია, თუნდაც ფორმალური. დეპუტატობის აბსოლუტურად ყველა კანდიდატი ხელისუფლებას წარმოადგენდა.

არჩევნებში მონაწილეობა თავად პრეზიდენტმა კასტრომაც მიიღო, რის შემდეგაც ის შეკრებილი ხალხის წინაშე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა. მისი მტკიცებით, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, კუბაში დეპუტატობის კანდიდატებს არჩევნებში ფულის ხარჯვა არ უწევთ და კუბელი ხალხის რჩეულები საზოგადოებას უანგაროდ ემსახურებიან.

## ჩრდილოეთ კორეა: კრიზისი გრძელდება

*მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი სახელმწიფოს დიპლომატები ფხენიანთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ, რათა აღმოსავლეთ აზიაში ბირთვული კატასტროფა აიცილონ თავიდან.*

რევაზ ბახტაძე

გუშინ შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეასთან ურთიერთობებში "გარკვეული პროგრესი" შეინიშნება.

პაუელის თქმით, კრიზისის მოსაგვარებელი დიპლომატიური საშუალებები ჯერ არ ამოწურულა, მაგრამ ვაშინგტონი უშიშროების საბჭოსათვის ჩრდილოეთ კორეის საკითხის განსახილველად გადაცემას მაინც განიხილავს.

მოვლენების ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში, ფხენიანს, სავარაუდოდ, ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებენ.

კვირას შეერთებულმა შტატებმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მზად არის, ჩრდილოეთ კორეას ეკონომიკური დახმარება შესთავაზოს, თუ ფხენიანი ბირთვულ პროგრამებს შეაჩერებს.

"სი-ენ-ენ-ისათვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ ვაშინგტონს სურს, კრიზისი გაერო-ს ეგიდით მოგვარდეს: "საკითხი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ განიხილება და იმედი მაქვს, რომ ორგანიზაციის საგანგებო სხდომა უახლოეს მომავალში შედგება. სწორედ ამ სხდომაზე გადაწყდება, გადაეცემა საკითხი უშიშროების საბჭოს, თუ არა".

პაუელს არ დაუკონკრეტებია, რა სახის გადაწყვეტილებას ელის ვაშინგტონი უშიშროების საბჭოსაგან. მანამდე ფხენიანმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეაზე სანქციების დაწესება ომის გამოცხადების ტოლფასი იქნება.

პრეზიდენტ ბუშის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისმა გადაჭრით უარყო ჩრდილოეთ კორეაში აშშ-ს შესაძლო სამხედრო ინტერვენციის შესაძლებლობა.

"პრეზიდენტი დღემდე ყველა ალტერნატივას განიხილავს, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ ამ პრობლემის მოგვარება ყველაზე კარგად დიპლომატიური გზით არის შესაძლებელი", - განაცხადა რაისმა.

ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკა სენატში დემოკრატების ლიდერმა ტომ დეშლმა მკაცრად გააკრიტიკა. მისი თქმით, ამგვარი არათანმიმდევრული პოლიტიკა ცუდ მაგალითს აძლევს არა მარტო კორეას, არამედ ყველა სახელმწიფოს მსოფლიოში.

"მე ვფიქრობ, რომ სრულიად გაურკვეველია, რა პოზიცია აქვს ადმინისტრაციას", - განაცხადა დეშლმა "სი-ენ-ენით" გამოსვლისას.

პაუელის გამოსვლის პარალელურად, სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯონ ბოლტონმა მოლაპარაკებები დაიწყო ფხენიანის უახლოეს მოკავშირესთან - ჩინეთთან, რათა პეკინმა ჩრდილოეთ კორეას ბირთვული პროგრამის განხორციელებაზე ხელი ააღებინოს.

შეერთებულ შტატებში ჩინეთის ელჩმა იან ძიეჩიმ ამერიკულ "ფოქს ნიუზ სანდეისთან" საუბრისას აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა ამერიკასა და ჩრდილოეთ კორეას პეკინში შეხვედრის მოწყობას სთავაზობს.

"ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას შორის მოლაპარაკებები მალე შედგება, - თქვა ელჩმა, - თუმცა, დღემდე ამ წინადადებას არავინ გამოხმაურებია".

დიპლომატიურ ფრონტზე აქტიურობს ჩრდილოეთ კორეის კიდევ ერთი მოკავშირე - რუსეთი. კრემლმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ლოსიუკინის მეთაურობით, ფხენიანში საგანგებო ელჩობა მიავლინა. რუსმა დიპლომატმა ჩრდილოეთ კორეის ლიდერს კიმ ჩენ ირს კრიზისის განეიტრალების გეგმა წარუდგინა.

გეგმის თანახმად, ბირთვული პროგრამების შეჩერების სანაცვლოდ, ჩრდილოეთ კორეა უსაფრთხოების გარანტიებსა და ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას მიიღებს.

"ჩრდილოეთ კორეულმა მხარემ ყურადღებით მოისმინა რუსეთის წინადადება", - აღნიშნა რუსმა დიპლომატმა. კიმ ჩენ ირთან შეხვედრის გარდა, ლოსიუკოვი იო მიონ როკსაც შეხვდა. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო "სინხუას" ცნობით, იგი რანგით მეორე პირია ჩრდილოეთ კორეის ერთმილიონიან არმიაში.

ჩრდილოეთ კორეულ სააგენტოს ლოსიუკოვთან შეხვედრიდან ერთ-ერთი კორეელი დიპლომატის სიტყვები მოჰყავს: "კორეის ნახევარკუნძულზე ბირთვული პრობლემა შეერთებულმა შტატებმა შექმნა და მანვე უნდა მოაგვაროს დიალოგის გზით".

საყურადღებოა კორეელი დიპლომატის რი ტო სოპის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ "თუ აშშ იერიშს მოიტანს, ჩვენ მხოლოდ უშუალოდ ჩვენს მტერს გავუსწორდებით".

"ჩვენ და სამხრეთ კორეას ერთი და იგივე ქვეყანა გვაქვს, საერთო ენა და კულტურა გაგვაჩნია. არანაირი საფუძველი არ არსებობს, ურთიერთობები გავიფუჭოთ სამხრეთ კორეასთან", - დასძინა მან. რი ტო სოპიმ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ სანქციების დაწესებას ფხენიანი ომის გამოცხადებად განიხილავს.



ჩრდილოეთ კორეელები მილიონიანი არმიის იმედზე არიან.

# იყავით ხაზზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

## ჯეოსელი გთავაზობთ 24 საათიან სააბონენტო მომსახურებას?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**




# ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: ბრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

## მოკლედ

**თბილისი**. ამ დღეებში ხელი მოეწერება შეთანხმებას ყულევში საზღვაო ტერმინალის მშენებლობის ინვესტირების შესახებ. როგორც ყულევში სამშენებლო კომპანია "ტერმინალი 2000"-ის ხელმძღვანელი სპარტაკ ერაგია აცხადებს, ერთ-ერთი ამერიკული საინვესტიციო კომპანია ქართული კომპანია "არგომარ ოილისათვის" კრედიტს გამოყოფს, რითაც სამშენებლო კომპანია "ტერმინალი 2000" შეწყვეტილ მშენებლობას დაასრულებს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკული სადაზღვევო კომპანია OPIC მზადაა, რომ ამ პროექტში ამერიკული ინვესტიციები დააზღვიოს.

საკრედიტო შეთანხმების ოფიციალურ დასკვნამდე ერაგია კრედიტის მოცულობის და საინვესტიციო კომპანიის დასახელების დაკონკრეტებისგან თავს იკავებს. სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მომავალი შეთანხმების პირობებს ამჟამად ამერიკის ადმინისტრაციასთან ათანხმებენ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** „გაერთიანებული ქართული ბანკის" 50 მეანაბრის საკასაციო სარჩელს უზენაესი სასამართლო 24 იანვარს განიხილავს. შეგახსენებთ, რომ მეანაბრეები ასაჩივრებენ თბილისის საოლქო სასამართლოს გასული წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებას. ამ გადაწყვეტილებით მეანაბრეებს უარი უთხრეს ბანკში 2000 წლის განმავლობაში შეტანილი ანაბრების დაბრუნებაზე.

ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ვანო ჩხარტიშვილის ბანკს (გქბ) მეანაბრეები სასამართლოში მილიონ ასი ათას აშშ დოლარს ედავებიან. „გაერთიანებული ქართული ბანკის" მე-7 ფილიალთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, მეანაბრეებს შეტანილი ანაბრები დარიცხული პროცენტებით უნდა მიეღოთ, თუმცა ძირითადი თანხაც არ მიუღიათ. როგორც გაირკვა, ბანკს მეანაბრეებთან გაფორმებული ხელშეკრულება რეგისტრირებული არ ჰქონდა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეიდან თბილისის მთავრობა იწყებს 2003 წლის ბიუჯეტის მუხლობრივ განხილვას. თბილისის პრემიერის გია შერაძის განცხადებით, განხილვის დაწყებამდე უნდა მოგვარდეს ორი ძირითადი პრობლემა: პირველი - 2002 წლის ბიუჯეტის ანალიზი, მეორე - ვიცე-პრემიერების მიერ სამსახურეობრივი რეორგანიზაციის, სტრუქტურული გარდაქმნის დასრულება, რაც დეცენტრალიზაციის განხორციელებას გულისხმობს. სავარაუდოდ, გამგეობებს დაუბრუნდებათ ჯანდაცვის, კულტურის, განათლების სფეროები. შერაძემ ასევე განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში უნდა მოხდეს საბინაო მეურნეობისა და მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდის გაერთიანება. პრემიერის თქმით, ეს იქნება სოლიდური სამსახური, რომელიც ბიუჯეტიდან 4 მილიონი ლარით დაფინანსდება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისთვის მილების პირველ პარტიას საქართველო ხვალ, 22 იანვარს მიიღებს. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა პროექტის ძირითადი ინვესტორი კომპანიის „ბი-პი"-ს წარმომადგენლობამ საქართველოში.

ტვირთს ბათუმის საზღვაო ნავსადგურში გერმანიის სანაოსნო კომპანია „ლოგომარის" გემი „არიელა" ჩამოიტანს. სულ ჩამოიტანენ 1 819 მილს, რომელიც წარმოებულია იაპონური კომპანია „სუმიტომო კაშიმა ფაიფმილის" მიერ, ხოლო მილებისთვის სპეციალური საფარი მალაიზიაშია დამზადებული.

14 იანვარს, ფოთში, გემმა „კალედონიამ" უკვე ჩამოიტანა 2 ათას 482 მილი. მილების ეს პარტია აზერბაიჯანისთვის იყო გამიზნული და „საქართველოს რკინიგზით" გადაიზიდა მიმღებ ქვეყანაში. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი..** ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი ლეშეკ ბალცეროვიჩის საკონსულტაციო ჯგუფის წევრებს შეხვდა. ჯგუფის წევრი იან ვოიცისჩუკი მიიჩნევს, რომ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში მიმდინარე რეფორმები სერიოზულ ძვრებს მოახდენს სისტემის გამართულ და ეფექტურ საქმიანობაში. გარდა ამისა, ვოიცისჩუკი დადებითად აფასებს საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელთა ატესტაციას, რომლის ჩატარებაც უახლოეს მომავალშია დაგეგმილი.

გუშინდელ შეხვედრაზე მინისტრმა სტუმრებს გააცნო სახელმწიფო ხაზინაში განხორციელებული და ამჟამად მიმდინარე პროცესები.

ექსპერტთა ჯგუფი საქართველოდან დღეს მიემგზავრება. ბალცეროვიჩის ჯგუფის წევრების მორიგი ვიზიტი მიმდინარე წლის 17 თებერვალს არის დაგეგმილი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილსი.** გუშინ შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში გაიხსნა კონფერენცია სახელწოდებით "პროგრესი და პრიორიტეტები გარდამავალ პერიოდში", რომელშიც მონაწილეობს დსთ-ს შვიდი ყველაზე დაბალშემოსავლიანი ქვეყანა, მათ შორის - საქართველოც. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა კონფერენციაში მონაწილეობაზე უარი თქვა. ამის მიზეზი გახდა 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მეორე მოსმენისთვის მზადების პროცესი. კონფერენციის ორგანიზატორებმა ლუცერნში სპეციალურად მიიწვიეს საქართველოს ფინანსთა ყოფილი მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც კონფერენციაზე მოხსენებით გამოსვლას გეგმავს.

გოგიაშვილმა შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში თავისი პირველი მოადგილე ზურაბ სოსელია მიავლინა. კონფერენციამ, რომელიც მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინიციატივით იმართება, მუშაობა გუშინ დაიწყო და 22 იანვრამდე გაგრძელდება. **ინტერ-პრესი.**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 15 - 21 იანვრის მდგომარეობით



**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | Euro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6221 | 0.6639 | 0.0053 |
| US$ | 1.6076 | | 1.0671 | 0.0085 |
| Euro | 1.5064 | 0.9371 | | 0.0079 |
| ¥en | 189.93 | 118.16 | 126.08 | |

### 2003 წლის 21 იანვრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.3332 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.5266 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5973 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1900 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3133 ლარი |
| იაპონური იენი | 1 | 0.1854 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0688 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4468 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3763 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1069 ლარი |

# ჯერ არც გაზია და არც ამ გაზის შესაძენად აუცილებელი ფული

პირველი გვერდიდან

ამასობაში "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორი რუსეთიდან "კავკასიონის" საშუალებით დენის იმპორტს საიმედოდ არ მიიჩნევს და ენგურჰესის დაცლისაც ეშინია. **"არ დაიცლება,"** – ამშვიდებს მირცხულავა. **"ყოფილა შემთხვევები, როცა ჩვენ რუს პარტნიორებს ელექტროენერგიის საფასური წინასწარ გადავურიცხეთ, რუსეთმა კი, გაურკვეველი მიზეზებით, ვალდებულება არ შეასრულა,"** - აცხადებს ირიბარენი და კანცელარიას რუსეთთან ურთიერთობაში მხარდაჭერას სთხოვს. ის რუსეთიდან დენის იმპორტზე თანახმაა, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ **"ელექტროენერგიის შესასყიდად თანხების მოძიება უფრო გაიოლდებოდა, მოსახლეობა რომ მის საფასურს კარგად იხდიდეს."**

სხვათა შორის, მიმდინარე პრობლემებთან ერთად, "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურ დირექტორს სემეკსა და ხელისუფლებასთან ურთიერთობის საკითხიც აღელვებს. **"ჩვენ სემეკში ახალ ტარიფზე განაცხადს არ შევიტანთ, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს ეს ჩვენთვის არ უბრძანებია. ეს საკითხი სემეკისა და სახელმწიფოს დასარეგულირებელია,"** – განაცხადა "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურმა დირექტორმა. **"რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე მოთხოვნას უმრიცხველო აბონენტების შესახებ, ჩვენ შევიმუშავეთ მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვის მექანიზმები,"** - აცნობა გუშინ ირიბარენმა ჯორბენაძეს. **"ისინი ახლა უფრო მეტ ფულს ამოიღებენ მათგან, ვინც ფიქსირებულ გადასახადს იხდიდა,"** – "ცეცხლზე ნავთი დაასხა" მირცხულავამ და სახელმწიფო მინისტრი "გაოცებული" დატოვა: **"მიკვირს "ეი-ი-ეს თელასის" დღევანდელი განცხადება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილი ყოფილა. როგორც ჩანს, "ეი-ი-ეს თელასმა" ისარგებლა და თავისებურად თარგმნა ეს გადაწყვეტილება."**

რაც შეეხება თბილისის ელექტრომომარაგებას, იგნასიო ირიბარენი ვარაუდობს, რომ მინიმუმ კიდევ ერთი კვირა თბილისს დენი გრაფიკით ექნება. ამ დროს კი ქალაქში ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება დიდია, ვინაიდან მოსახლეობას ბუნებრივი აირი აღარ მიეწოდება. **"როდის აღდგება გაზსადენი?"** – დაინტერესდა იგნასიო ირიბარენი და განაცხადა, რომ მას ამ საკითხზე ორი სხვადასხვა ინფორმაცია აქვს. **"ერთი ვერსიით, ძირითადი გაზსადენის აღდგენას ორი კვირა სჭირდება, ხოლო სარეზერვოს – ერთი. მეორე ვერსიით კი, სარეზერვოს შეკეთება ორ დღეში უნდა გახდეს შესაძლებელი. რომელ ვერსიას ვენდოთ?"** – ჰკითხა სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურმა დირექტორმა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მეორე ვერსიის "ავტორი" ყოფილა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მიხეილ შატალოვი, რომელიც ამ თემაზე ავთანდილ ჯორბენაძეს ორშაბათს, დილით ესაუბრა ტელეფონით.



იგნასიო ირიბარენს და ავთანდილ ჯორბენაძეს გაზმომარაგების აღდგენის სხვადასხვა ვერსია აქვთ.

გაზის მოწოდების საკითხი კი, ჯერჯერობით, გაურკვეველი რჩება. გაზსადენის აღდგენითი სამუშაოები რუსულმა კომპანია "კავკასტრანსგაზმა" უკვე დაიწყო. "გაზის ტრანსპორტირების კომპანიის" გენერალური დირექტორის ირაკლი კიზირიას ინფორმაციით, რუსები 19 იანვრის საღამომდე "ავარიის ადგილთან მისასვლელ გზებს ასუფთავებდნენ". თუმცა, როგორც გაირკვა, ამ დრომდე მუშები ავარიის ადგილს რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა არ გააკარა. ამდენად გაურკვეველია, თუ როდის აღდგება მილსადენი.

თუმცა, ავარიის შედეგების აღმოფხვრისთანავე დღის წესრიგში მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი დადგება. "იტერასათვის" დეკემბერში მოხმარებული გაზის საფასური გადახდილი ისევ არ არის. **"გაზის საფასურს ჰყავს გადამხდელი – მერია. მან უნდა იზრუნოს გაზის ფულის მობილიზაციაზე"**, – მიიჩნევს სახელმწიფო მინისტრი. მერია კი ამ თანხის გადახდას არ აპირებს. **"მთავრობა რაღაც გაურკვეველ დომინოს გვეთამაშება. მან ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა თბილისს. ქალაქის ბიუჯეტი მკვეთრად არის შემცირებული. თბილისი იმის გამო არ ფინანსდება, რომ საკრებულო ოპოზიციურია. დაგვაფინანსონ როგორც საჭიროა და გაზის ფულის გადახდა არ იქნება პრობლემა,"** – აცხადებს საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი.

სხვათა შორის, შესაძლოა, გაზის მოწოდების აღდგენის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ კიდევ ერთმა ფაქტორმა დააყენოს. საქმე ისაა, რომ "იტერას" დაეძაბა ურთიერთობა რუსეთის გაზის მაგნატ "გაზპრომთან", რომელიც იანვრის ბოლოსთვის გაზის ნაკადების გადაკეტვას უპირებს "იტერას"; ოფიციალურ მიზეზად "გაზპრომი" "იტერას" მზარდ დავალიანებებს ასახელებს. ანალიტიკოსები კი მოვლენებს სხვაგვარად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ "გაზპრომს" აინტერესებს "იტერასეული" (დსთ-ს სივრცეში არსებული) ბაზარი. ასეა თუ ისე, იანვრის ბოლოს, შესაძლოა, თავად "იტერა" აღმოჩნდეს შევიწროებული "გაზპრომის" მხრიდან. ამ ფონზე ძნელი სათქმელია, რამდენად დააცდის რუსული კომპანია ჭირვეულ "თბილგაზს" გაზის საფასურის გადახდას.

# ბორჯომის ხეობაში ნავთობსადენის გავლა რუსეთს აძლევს ხელს

**სოფო კვინტრაძე**

სახალხო დამცველის ოფისში შეკრებილმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გააპროტესტეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტი, რომელმაც ბორჯომის ხეობაში უნდა გაიაროს. არასამთავრობოები კატეგორიულად მოითხოვენ ბრიტანული კომპანია "ბი-პისაგან", რომ მან ალტერნატიული მარშრუტები ისევე დეტალურად განიხილოს და წარმოადგინოს, როგორც "ბორჯომის მარშრუტი". არასამთავრობოები ხაზგასმით მიუთითებენ ნავთობსადენის მარშრუტის "ახალქალაქის ვარიანტის" უპირატესობაზე. როგორც ცნობილია, "ახალქალაქის მარშრუტი" თავიდანვე განიხილებოდა, როგორც ერთ-ერთი რეალური ვარიანტი. თუმცა, მოგვიანებით საქართველოს მთავრობამ ახალქალაქი, პოლიტიკური თვალსაზრისით, საშიშ ზონად მიიჩნია და ამ მარშრუტზე უარი თქვა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კონფლიქტოლოგი ირაკლი კაკაბაძე ამბობს: **"ჩვენთან საუბრისას გიორგი ჭანტურიამ განაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს სხდომაზე მასზე ზეწოლა მოახდინეს გარკვეულმა პირებმა და მისი სურვილის მიუხედავად, უარის თქმა მოუხდა "ახალქალაქის მარშრუტზე". ასე რომ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს იმ პირების ვინაობა, ვინც უშიშროების საბჭოში ლობირებდა**



ირაკლი კაკაბაძე უშიშროების საბჭოს წევრების ლუსტრაციას მოითხოვს.

**ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაზე გავლას."** ირაკლი კაკაბაძე ითხოვს სხდომის ჩანაწერების გამოქვეყნებას, უშიშროების საბჭოს წევრთა ლუსტრაციას და მათი ბიოგრაფიების პრესაში დაბეჭდვას. მისი განცხადებით, საბჭოში რუსეთის ინტერესების ლობისტები არიან. არასამთავრობოები დარწმუნებულები არიან, რომ თუ ნავთობსადენი ბორჯომის ხეობაში გაივლის, რუსეთის მხრიდან შეიძლება დივერსია მოხდეს. ამას ემატება ცნობილი ამერიკული კვლევითი ცენტრის "Heritage Foundation"-ის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ტერორისტული დაჯგუფება "ალ ქაიდას" ერთ-ერთი წევრი და უსამა ბინ ლადენის მარჯვენა ხელი აიმან ალ ზავაჰირი ავრცელებს ცნობებს იმის შესახებ, რომ "ალ ქაიდას" სამიზნე გახდება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც, როგორც აშშ-ს ინტერესთა ერთ-ერთი ობიექტი მსოფლიოში.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც გუშინდელ შეხვედრას ესწრებოდნენ, აპირებენ სპეციალური ჯგუფის შექმნას და ახალქალაქში ჩასვლას, რათა ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას შეხვდნენ. ამ ინიციატივის მიზეზი გახდა მთავრობის განცხადება, რომ ახალქალაქში მცხოვრები სომეხი ეროვნების მოსახლეობა, თითქოს, წინააღმდეგია ნავთობსადენმა მათ რაიონში გაიაროს. არასამთავრობოები დარწმუნებულები არიან, რომ მთავრობამ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა.

ასე რომ, სამოქალაქო სექტორი კვლავ გააქტიურდა ბორჯომის დასაცავად. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენელი მანანა ქოჩლაძე აცხადებს, მართალია, ჯერ "ბორჯომის მარშრუტი" დამტკიცებული არ არის, მაგრამ საქართველოს მთავრობამ მასზე, ფაქტობრივად, თანხმობა განაცხადა. **"შეთანხმება ასეთი იყო, რომ "ბი-პი-ს" უნდა წარმოედგინა დამატებითი უსაფრთხოების ზომები ბორჯომთან დაკავშირებით, რაც, ჯერჯერობით, არ ჩანს,"** – აცხადებს მანანა ქოჩლაძე. მისი მტკიცებით, საქართველოს მთავრობა დამატებითი ზომების გარეშეც დათანხმდება ამ მარშრუტს. ერთადერთი იმედი, რაც არასამთავრობოებს დარჩენიათ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკია, რომლებიც პროექტის მშენებლობის 70 პროცენტს აფინანსებენ. მანანა ქოჩლაძე აცხადებს, რომ აღნიშნული ორგანიზაციები მანამ არ გასცემენ ნებართვას მშენებლობის დაწყებაზე, სანამ "ბიპი" არ წარმოადგენს დამატებით მასალებს უსაფრთხოების ზომების შესახებ.

# "სახელმწიფო დაზღვევის" ირგვლივ ატეხილ სკანდალს ბოლო არ უჩანს

*"24 საათი" უკვე წერდა იმის შესახებ, თუ როგორ დააყადაღა 19 დეკემბერს როტერდამის სასამართლომ საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშები და საქართველოს მოსთხოვა 325 მილიონი აშშ დოლარის გადახდა. ეს გადაწყვეტილება როტერდამის სასამართლომ კომპანია "საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის" გენერალური დირექტორის გია ფაცურიას მიერ აღძრული სარჩელის გამო მიიღო. ფაცურიას ინტერესებს ჰოლანდიაში ფონდი **WOBAB** იცავს. სასამართლო სარჩელის განხილვა კი როტერდამში თებერვლის ბოლომდე გასტანს.*

**მაია ურუშაძე**

"საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის" პრივატიზაციის სკანდალურ საქმეს, ჯერჯერობით, ბოლო არ უჩანს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ საგანგებოდ ამ საქმის შესასწავლად შექმნა სამუშაო ჯგუფი და ვითარებაში გარკვევა სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს გიორგი ისაკაძეს დაავალა. **"სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა ოთხშაბათისთვის დავგეგმეთ. გავერკვევით ვითარებაში და დაწვრილებით ინფორმაციას მხოლოდ ამის შემდეგ მოგაწვდით,"** – განუცხადა "24 საათს" გიორგი ისაკაძემ.

საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განმარტებით, ნიდერლანდების ბანკებში არსებულ ქართულ ანგარიშებს ყადაღა უკვე აღარ ადევს. ამსტერდამის სასამართლომ საკუთარი განჩინებით მოხსნა 2002 წლის 31 დეკემბერს ანგარიშზე დადებული ყადაღა და ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება. ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ ჰოლანდიაში დაყადაღებული ანგარიშების გათავისუფლებას ეროვნულმა ბანკმა ჰოლანდიური საადვოკატო კომპანია Houthoff Buruma-ს წყალობით მიაღწია. ეს კომპანია როტერდამში ეროვნული ბანკის ინტერესებს იცავდა და მისი მომსახურება 13 ათასი ევრო დაჯდა. ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, საადვოკატო ფირმას Houthoff Buruma-ს რეკომენდაცია გაუწიეს საქართველოს საელჩომ ბენილუქსის ქვეყნებში და საქართველოს ეროვნული ბანკის კორესპონდენტმა ბანკებმა ნიდერლანდებში.

**"არასწორია გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ, თითქოს, საქართველო ამის გამო აღმოჩნდა დეფოლტის წინაშე,** - აცხადებენ დღეს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, - **სასამართლოს გადაწყვეტილებით, 31 დეკემბრამდე დაბლოკილი იყო 10 მილიონი დოლარის ეკვივალენტი თანხა, იმ დროისათვის კი ეროვნული ბანკის საერთაშორისო სავალუტო რეზერვი 201 მილიონი დოლარი იყო."**

შეგახსენებთ, რომ ეს სკანდალი ქონების მართვის სამინისტროს მიერ გია ფაცურიასთვის "საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის" მიყიდვას მოჰყვა. ფაცურიამ ქონების მართვის სამინისტროსგან კომპანია სიმბოლურ ფასად – 1500 დოლარად შეიძინა. **"კომპანიას მოჰყვა რამდენიმე მილიონიანი ვალი, ამიტომ 1500 დოლარად მხოლოდ უზარმაზარი ვალი იყო ნაყიდი,"** – აცხადებს დღეს ფაცურია. სამაგიეროდ, ქონების მართვის სამინისტრომ კომპანიას რუსეთის სადაზღვევო ფონდიდან – "როსგოსსტრახიდან" (საბჭოთა "გოსსტრახ"-ის სამართალმემკვიდრე) - საბჭოთა კავშირის დროინდელი ქართული წილების (მაშინდელი 167,5 მილიონი რუბლის) ეკვივალენტი თანხის მოთხოვნის უფლებაც "მიაყოლა". გამოდის, რომ ამ კომპანიის შეძენისას ფაცურიას ინტერესი არა თავად მისი აქტივები, არამედ სწორედ ეს რუსული წილები გახდა. ქონების მართვის სამინისტრომ კი ამით ისარგებლა და ფაცურიას უიმედო საქმე გადააბარა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის რომან გოცირიძის ინფორმაციით, ეს საქართველოს მოსახლეობის კუთვნილი ის თანხაა, რომელიც საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ "გოსსტრახში" დარჩა. **"საქართველომ სამთავრობოთაშორისო შეთანხმებას ჯერ კიდევ 1992 წელს მოაწერა ხელი და "გოსსტრახში" არსებულ 167,5 მილიონი რუბლის ოდენობის საკუთარი რეზერვების მოთხოვნის უფლებაზე უარი თქვა,"** – რომან გოცირიძისა და გიორგი ფაცურიას განმარტებით, ასეთია დღეს რუსეთის პოზიცია. თუმცა, ამ შეთანხმებას იურიდიული ძალის მქონედ არ მიიჩნევს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე: **"ეგ დოკუმენტი არ არის რატიფიცირებული, რადგან მას მოსკოვში გაქცეულმა ომანიძემ იმ დროს მოაწერა ხელი, როცა თბილისში უკვე სხვა ხელისუფლება იჯდა."** მისი თქმით, ომანიძის ხელმოწერილ დოკუმენტს რატიფიცირებისთვის აუცილებელი პროცედურები არ გაუვლია.

მიუხედავად ამისა, ფაცურია აცხადებს, რომ ქონების მართვის სამინისტრომ ის, უბრალოდ, მოატყუა. **"თუ ეს ხელშეკრულება არ არის ძალაში, რატომ ამტკიცებს საპირისპიროს საგარეო საქმეთა სამინისტრო?"** – ამბობს "საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის" დღევანდელი მფლობელი და აფიორის საზღაურად ზარალის გასტუმრებას საქართველოს მხარეს სთხოვს.

ქონების მართვის სამინისტრო ფაცურიას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ედავება. **"მე ორი სასამართლო მოვუგე ქონების მართვის სამინისტროს,"** – აცხადებს ფაცურია და როტერდამის სასამართლოზე გამარჯვების იმედი აქვს. **"ქონების მართვის სამინისტრომ კიდეც რომ გააუქმოს პრივატიზაციის ხელშეკრულება, საქართველოსგან 325 მილიონი დოლარის მოთხოვნის უფლება ფონდ WOBAB-ს კანონიერად აქვს მიღებული და ეს საქმეს ვერ უშველის,"** - მიიჩნევს ის.

# ტაბაღუას მკვლელობას მესამე პირიც შეესწრო?

სოფიკო ჩხაიძე

*ერთადერთი საბუთი, რომლის მიხედვითაც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამეურნეო-ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსის მკვლელობაში ბრალდებულ მიხეილ კერესელიძეს გამოძიება მკვლელობის განზრახ ჩადენაში ადანაშაულებს, თავად მიხეილ კერესელიძის ჩვენებაა. თუმცა, მისი აღიარებითი ჩვენება განზრახ მკვლელობის სურათს არ იძლევა.*



*კერესელიძეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.*

გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა სონღულაშვილმა საფუძვლიანად მიიჩნია გამოძიების მოთხოვნა და სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა ლევან ტაბაღუას მკვლელობაში ბრალდებულს – ეროვნული გვარდიის საგანგებო სპეცფონდების სამსახურის უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ მიხეილ კერესელიძეს. 10 იანვრიდან 8 დღის მანძილზე უგზო-უკვლოდ დაკარგული ლევან ტაბაღუას მკვლელობა პოლიციაში მისულმა კერესელიძემ თავადვე აღიარა და გვამის ადგილ-სამყოფელიც გაამხილა. კერესელიძის ჩვენების თანახმად, ტაბაღუას მისი 50 ათასი დოლარი ემართა და ვალის დაბრუნების გამო წამოწყებულ დავას ხელჩართული ჩხუბი, შემდეგ კი სროლა მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ ტაბაღუას ჭრილობები მიყენებული აქვს საკუთარი იარაღით. კერესელიძის მტკიცებით, მან იარაღი მომხდარის შემდეგ მტკვარში გადააგდო.

**“მიხეილ კერესელიძეს ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში. გამოძიებას ამ ეტაპზე საკმარისი მტკიცებულებები გააჩნდა მისთვის ბრალის წასაყენებლად და სასამართლომაც საჭიროდ ჩათვალა მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება”**, - განაცხადა მამუკა სონღულაშვილმა დახურულ კარს მიღმა ჩატარებული პროცესის შემდეგ.

სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება კერესელიძის ადვოკატი ეკა ბესელია. თუმცა, პროცესის შემდეგ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება. ადვოკატი არ ეთანხმება გამოძიების მხრიდან კერესელიძის მიერ ჩადენილი ქმედების შეფასებასაც.

**“ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის დანაშაული კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა), რაც არასწორია. ტაბაღუას მკვლელობა წინასწარ განზრახვით ჩადენილი არ არის, რადგან ტაბაღუა საკუთარი იარაღითაა მოკლული. ამასთან ბრალდების მხარე, რომელიც კერესელიძისთვის განზრახ მკვლელობის მუხლის წაყენებისას სხვა არაფერს ეყრდნობა, თუ არა ისევ და ისევ ბრალდებულის ჩვენებას, რატომღაც არ ითვალისწინებს იმას, რომ პირველი გასროლა სწორედ კერესელიძის მიმართულებით მოახდინა ტაბაღუამ, მხოლოდ ამის შემდეგ წაართვა კერესელიძემ მას იარაღი. იარაღის წართმევისას, გაწევ-გამოწევის დროს მოხდა რამდენიმე გასროლაც, რომლებმაც ლევან ტაბაღუა იმსხვერპლა. აი, ასეთი გახლავთ კერესელიძის ჩვენების შინაარსი, რომელიც აშკარად აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის სურათს იძლევა”**, - ამბობს ეკა ბესელია.

მოსამართლე მამუკა სონღულაშვილის თქმით, ამ ეტაპზე დანაშაულის კვალიფიკაცია მთლიანად გამოძიების პრეროგატივაა და სასამართლო ამაზე ვერ იმსჯელებდა.

გამოძიება კი, რომელსაც მკვლელობის იარაღი ჯერაც ვერ უპოვნია, ისევ ტაბაღუას გვამის ექსპერტიზის შედეგებს ელოდება. ის, რომ კერესელიძის სატაბელო იარაღიდან გასროლა არ განხორციელებულა, დანამდვილებითაა ცნობილი. ახლა კი სხვადასხვა სახის ექსპერტიზამ, სხვა მრავალი დეტალის გარდა, მკვლელობის იარაღის სახეობა და ისიც უნდა დაადგინოს, აღენიშნება თუ არა გვამს იმ ჩხუბის შედეგად მიღებული დაზიანებები, რომლის შესახებაც ბრალდებული საუბრობს. თავად მიხეილ კერესელიძე გუშინვე, სასამართლო პროცესის შემდეგ წაიყვანეს თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც მის სხეულზე არსებული დაჟეჟილობების ხარისხისა და წარმომავლობის დადგენას შეეცდებიან.

გუშინვე კონფიდენციალური წყაროებით, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ფული, რომელიც კერესელიძემ ტაბაღუას ასესხა, მარტო მას არ ეკუთვნოდა. აგრეთვე, როგორც ჩვენთვის ცნობილია, გამოძიებას მოეპოვება ინფორმაცია, რომ ჩხუბისას, კერესელიძესთან და ტაბაღუასთან ერთად, მანქანაში მესამე ადამიანიც იჯდა.

# პოლიტიკური ფონი ჩეჩნების ექსტრადიციის საშიშროებას ამცირებს

*აგვისტოში გირევის საგუშაგოსთან დაკავებული ჩეჩნების ეპოპეას დასასრული ჯერ არ უჩანს.*

სოფიკო ჩხაიძე

4 და 5 აგვისტოს გირევის საგუშაგოსთან საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისთვის დაკავებული 13 ჩეჩენის ბედი სხვადასხვაგვარად წარიმართა : ხუთი ჩეჩენის მალულად ექსტრადირების გამო ატეხილი აჟიოტაჟის გაგრძელება სტრასბურგის სასამართლოში მოხდება; ორი დაკავებული საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა და მათი ექსტრადირების საკითხი ავტომატურად მოიხსნა; სამის თაობაზე რუსეთიდან გამოგზავნილი დოკუმენტები გენერალურ პროკურატურას არ აკმაყოფილებს და მათი საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია; დანარჩენი სამი - რუსლან გელოგაევი, რუსტამ ელიხაჯიევი და ხუსეინ ალხანოვი – სასამართლოდან სასამართლოში დაჰყავთ და 28 ნოემბერს გენერალური პროკურატურის მიერ შედგენილი მათი ექსტრადირების შესახებ დადგენილების სამართლიანობის დადგენას ცდილობენ.

გუშინ უკვე მეორედ დაიწყო მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში მათი საკითხის განხილვა. როგორც ცნობილია, პირველ ჯერზე ამ სასამართლოს მოსამართლემ ადვოკატების დაუსწრებლად მიიღო გადაწყვეტილება ჩეჩნების ექსტრადირების თაობაზე. უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრებამ შედეგი გამოიღო – რაიონული სასამართლოს ვერდიქტი იმ მოტივით გაუქმდა, რომ იგი პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევით იყო მიღებული. ჩეჩნების საქმე კვლავაც მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს დაუბრუნდა, შეიცვალა მხოლოდ მოსამართლე. თუმცა, ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ სხვა რამეც შეიცვალა; კერძოდ, პოლიტიკური სიტუაცია. არასამთავრობო ორგანიზაციის “ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის” ლიდერი ნანა კაკაბაძე მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დღეს არსებული პოლიტიკური სიტუაცია აღარ იძლევა ჩეჩნების ექსტრადიციის გარდაუვალობის შიშის საფუძველს.

მიუხედავად ამისა, პროკურატურის მიერ ექსტრადირებისთვის განწირულთა ადვოკატები პროცესზე მოუმზადებლად არ მოსულან. მათ გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ნორმატიული აქტების ინტერნეტ-ბაზაზე დაყრდნობით მოიპოვეს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა, რითაც რუსეთში ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეების წამების ფაქტები მტკიცდება. ასეთ ფაქტებს შეიცავს “ჰუმან რაითს ვოჩის”, “ამნისთი ინტერნეიშენალის”, “მემორისა” და სხვა ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებები, რომლებიც რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებულ კატასტროფულ სიტუაციას ეხება. მთელ ტომად შეკრული ამ მასალების ერთი პირი პროკურატურას გადაეცა, მეორე კი სასამართლოს.

ბრალდების მხარე, კერძოდ, პროკურორი ლევან დარბაიძე მიიჩნევს, რომ ინტერნეტით მტკიცებულებების მოპოვება პროცესუალურად არ არის გამართლებული და ასე ადვოკატებს ყოველ სხდომაზე ახალ-ახალი ტომების წარმოდგენა შეუძლიათ. მიუხედავად ამისა, მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა ერთკვირიანი ვადა მოითხოვა მასალების გასაცნობად და პროცესი 30 იანვრამდე გადადო.

# დაკავებულ კილერებს შეკვეთილი მკვლელობები თბილისშიც აქვთ ჩადენილი

ინგა ალავიძე

*”ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვით, რომ ქართული კრიმინალისტიკის ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი მოხდა – გადარჩა ადამიანი, კილერები დაკავებულნი არიან; შესაძლოა, სხვა შეკვეთილ მკვლელობებზეც გავიდეთ.” თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი ლევან მაისურაძე მისი უწყების ნამუშევრით აღფრთოვანებულია და შეკვეთილი მკვლელობის გახსნის უპრეცედენტო შემთხვევაზე საუბრისას ემოციებს ვერ მალავს.*



*ბაჩუკი ყოლბაია.*



*სერგეი ნიკოლაევი.*

პოლიციელთა მიერ ”ქართული კრიმინალისტიკისთვის უპრეცედენტო შემთხვევად” გამოცხადებული ფაქტი შაბათს, გვიან ღამით, დიღმის მასივში ორი მამაკაცის დასაკავებლად ჩატარებული ოპერაციაა, რომლის დეტალებზე საუბარსაც ლევან მაისურაძემ ამაღლებული პათოსით ჩატარებული პრესკონფერენცია მიუძღვნა. საქმე ისაა, რომ პოლიციამ, თბილისის შერიფის მტკიცებით, პარტიზანული დაჯგუფება "ტყის ძმების" ლიდერის, გალის რაიონის გამგებლის მოადგილის დავით შენგელიას შეკვეთილი მკვლელობის მცდელობა ჩაშალა.

ქილერის დაკავების ოპერაცია ჩაატარა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის №1 განყოფილების ოპერატიულმა ჯგუფმა. 18 იანვარს, საღამოს 8 საათზე, შემოვლაზე გასულმა პოლიციის ინსპექტორებმა სინჯიკაშვილმა, წივწივაძემ და ბუკურმა დიღმის დასახლების მე-5 კვარტლის 1 ა კორპუსთან საეჭვო პირი შენიშნეს, რომელსაც პირადი ჩხრეკისას "ტსმ"-ის სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტი აღმოაჩნდა. პოლიციელებმა იგი დააკავეს, მაგრამ მანქანაში ჩაჯდომისას რუსულ ენაზე მოსაუბრე ახალგაზრდა კაცმა მოულოდნელად ხელყუმბარა გახსნა და პოლიციელთა მიმართულებით ისროლა, რის შედეგადაც დაიჭრნენ პოლიციის ინსპექტორები. საეჭვოდ მიჩნეულმა პირმა ინციდენტის დროს პოლიციელთა განიარაღებაც მოახერხა, კანონდამცველთა იარაღი გაიტაცა და გაიქცა. შს მინისტრის ზედამხედველობით შეიქმნა პოლიციელთა სპეცჯგუფი და “ცხელი კვალის” გეგმა. მოგვიანებით პოლიციამ ჯერ გატაცებულ იარაღს მიაგნო, ხოლო შემდეგ - შემთხვევის ადგილიდან გაქცეულ საეჭვო პირს.

დიღმის მასივში ჩატარებული ოპერაცია რამდენიმე საათში გლდანის მასივის მე-3 მიკრორაიონში გაგრძელდა, სადაც დათო შენგელიაზე თავდასხმის მცდელობაში მეორე ეჭვმიტანილი დააკავეს - გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში მცხოვრები ბაჩუკი ყოლბაია.

დიღმის მასივში დაკავებულ მამაკაცს პირადობის დამადასტურებელი საბუთი არ მოეპოვება. მისი ზეპირი განცხადებით, იგი რუსეთის მოქალაქე სერგეი ნიკოლაევია. ამჟამად კანონდამცველები დაკავებულის ვინაობის იდენტიფიკაციაზე მუშაობენ. თუმცა, მანამდე, სანამ დაზუსტდება ნამდვილად ნიკოლაევია თუ არა დაკავებული, ქართველმა სამართალდამცველებმა ამ გვარის და სახელის მქონე პიროვნების კრიმინალური ბიოგრაფიის დადგენა მოახერხეს. ლევან მაისურაძის ინფორმაციით, დაკავებული (სავარაუდოდ, იგი მაინც სერგეი ნიკოლაევია) ადრე ნასამართლევია და მას მძიმე დანაშაულებები რუსეთშიც აქვს ჩადენილი. **"ეს საშიში, ძალიან საშიში ქილერია, მსგავსი ჩვენ ჯერ არ დაგვიჭერია,"** - პოლიციელთა ამ შეფასების გასამყარებლად ნიკოლაევისა და ყოლბაიას დაკავების ვიდეოჩანაწერის ჩვენებაც შედგა. აღმოჩნდა, რომ საშიშ კრიმინალებს სხეულზე აბსოლუტურად ერთნაირი, დრაკონის გამოსახულებიანი სვირინგები აქვთ. სწორედ ამ სვირინგებზე დაყრდნობით გამოთქვამენ სამართალდამცველები ვარაუდს, რომ ყოლბაია და ნიკოლაევი რომელიღაც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები არიან. ლევან მაისურაძე აცხადებს, რომ გამორიცხული არ არის, ნიკოლაევი-ყოლბაიას დაკავებით სხვა შეკვეთილი მკვლელობებიც გაიხსნასო. **"ნიკოლაევი პროფესიონალი მკვლელია, გვაქვს წინასწარი ინფორმაცია, რომ მათ თბილისშიც აქვთ ჩადენილი მძიმე დანაშაულებები,"** – აცხადებს ლევან მაისურაძე.

სერგეი ნიკოლაევის ჩვენებით, იგი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფილი თანამშრომელია. მას თბილისში დაბინავებაში და დათო შენგელიას მკვლელობისთვის საჭირო სხვადასხვა საკითხების მოგვარებაში ეხმარებოდა ბაჩუკი ყოლბაია. თბილისის პოლიციის უფროსის თქმით, დაკავებულებმა განაცხადეს, რომ დათო შენგელიას მკვლელობისთვის ყოლბაიას 5 ათასი დოლარი, ნიკოლაევს კი ათასი დოლარი გადაუხადეს. თბილისის პირველი პოლიციელის მტკიცებით, დადგენილია შემკვეთის ვინაობაც, რომელსაც პოლიციის სამმართველოს უფროსი, ჯერჯერობით, საიდუმლოდ ინახავს და ზოგადად აცხადებს, რომ შემკვეთი ”საქართველოს მოქალაქედ ითვლება”. **”გამოკვეთილია შესაძლო დანაშაულის მთელი სქემა - შემკვეთი, რომლის ვინაობაც ჯერ არ ხმაურდება, ხელშემწყობი - ყოლბაია, შემსრულებელი ნიკოლაევი და სავარაუდო მსხვერპლი - დავით შენგელია''** – ასეთია პოლიციის მიერ შედგენილი დანაშაულებრივი სქემა. **”რაც შეეხება მოტივებს, თუ რატომ უნდა მოეკლათ შენგელია, ამას გამოძიება დაადგენს”,** - აცხადებენ სამართალდამცავები.

დათო შენგელიას შეკვეთილი მკვლელობის მცდელობის საქმეს დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურა იძიებს. საქმე აღძრულია მკვლელობის მცდელობის, იარაღის ტარებისა და გადაზიდვის, ასევე იარაღის მითვისების და ხელისუფლების წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლებით.

# უბედური შემთხვევა ნადირობის დროს

მაია მოსიაშვილი

19 იანვარს, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ დაღეთის მიდებარე ტყეში უბედური შემთხვევა მოხდა. თბილისის ტელეანძის დირექტორს ნუგზარ ბეკარიშვილს ნადირობის დროს თავისი ბიძაშვილის, თბილისის მერიის კომუნალური სამსახურის თანამშრომლის, ავთანდილ წითლაურის მიერ ნასროლი ტყვია შემთხვევით თავის არეში მოხვდა.

როგორც წითლაურმა სამართალდამცველებს განუცხადა, ბიძაშვილები თეთრიწყაროს რაიონის მაღალმთიან ზონაში მელაზე სანადიროდ იყვნენ წასულნი. ნადირობისას ისინი ერთმანეთს დასცილდნენ. წითლაურს ბუჩქებიდან ხმაური შემოესმა, ნადირის მოლოდინში ისროლა და საკუთარი ბიძაშვილი სასიკვდილოდ დაჭრა. წითლაური მობილური ტელეფონით სასწრაფოდ დაუკავშირდა სათანადო ორგანოებს, თბილისიდან ვერტმფრენით ჩასულ ექიმებს ბეკაშვილი შოკურ მდგომარეობაში დაუხვდათ, თუმცა მისი გადარჩენა ვეღარ შესძლეს და ის ოპერაციის დროს გარდაიცვალა.

გაუფრთხილებლობის მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს თეთრიწყაროს პროკურატურა იძიებს.

# რა მოხდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე - დივერსია თუ ჩვეულებრივი ქურდობა

პირველი გვერდიდან

დივერსიასთან კავშირი და დასძინა, ჩეჩნები საქართველოს მეგობარ ქვეყნად აღიქვამენ და მის წინააღმდეგ ძალისმიერ აქციას არ განახორციელებენო.

ნავთობსადენის დაზიანების მიზეზების დასადგენად მაშინვე შეიქმნა სპეციალური კომისია, სადაც უცხოელი ექსპერტებიც არიან ჩართულები, ხოლო მომხდარი ფაქტისთვის სამართლებრივი შეფასების მიცემა გორის რაიონის საგამოძიებო დეპარტამენტს დაევალა.

ნავთობსადენის დაზიანების მეორე დღესვე მოხდა დაქცეული ნავთის ამოქაჩვა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა დაზიანების მიზეზის დადგენა. გორის რაიონის პროკურორის რომან გვიშიანის ინფორმაციით, დაზიანებულ მილზე იპოვეს კუსტარულად მიმაგრებული ონკანიანი სალტე, რომელიც მილზე გაკეთებულ ნახვრეტზე უნდა ჩამოეცვათ. მაგრამ, როგორც ჩანს, სითხე იმდენად დიდი წნევით წამოვიდა, რომ ნავთის მოპარვის მსურველებმა ნახვრეტზე სპეციალური მოწყობილობის დამაგრება ვეღარ მოახერხეს. ეს კი პროკურორის განცხადებით, მიანიშნებს იმაზე, რომ მილი გახვრეტილია ნავთის მოპარვის მიზნით.

აქედან გამომდინარე, რაიონის საგამოძიებო დეპარტამენტში ნავთობსადენის დაზიანებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეც ამ კუთხით ორი მუხლით აღიძრა - ქურდობა და სხვისი ქონების დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია.

თუმცა, გვიშიანის განცხადებით, შესაძლებელია, მომავალში უფრო მძიმე დანაშაული გამოვლინდეს.

ერთი სიტყვით, დღევანდელი მონაცემებით, არ არის გამორიცხული, რომ, ბაქო-სუფსის ნავთობსადენთან დაკავშირებული საერთაშორისო სკანდალის ნაცვლად, საქმე ჩვეულებრივ ქართული “ნავთობ-ბიზნესთან” გვქონდეს. როგორც ჩვენში ანეკდოტად ამბობენ, კახეთში, იმ ადგილებში, სადაც ნავთობის მილი გადის, თითქმის ყველა ოჯახს თითო ონკანი აქვს დაყენებული. როგორც ჩანს, ამ “ბიზნესის” ათვისების მსურველნი შიდა ქართლშიც გამოჩნდნენ.

# გიორგი სანაიას მკვლელობის გამოძიების ობიექტურობაზე კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლო იმსჯელებს

ცოტა ხანში გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოში გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებული გრიგოლ ხურცილავას საქმის განხილვა დაიწყება. თუმცა, მანამდე სანაიას მეუღლე ხათუნა ჩხაიძე გენერალურ პროკურატურას სასამართლოში უჩივის. **“გიორგის საქმის გამოძიების დროს პროკურატურამ იმდენჯერ დაარღვია კანონი, რომ საქმე ჩიხში შეიყვანა. ამის გამო გიორგის მკვლელობა ვეღარასოდეს გაიხსნება და ნამდვილი დამნაშავეც ვერასოდეს დადგინდება,”** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ხათუნა ჩხაიძემ, რომელიც სამართალდამცავი ორგანოსაგან მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 100 ათას ლარს ითხოვს.

ორი თვის წინ სანაიას მეუღლეს საჩივრის განხილვაზე კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლომ უარი უთხრა, რაც ჩხაიძემ საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. გუშინ საოლქო სასამართლომ სანაიას მეუღლის საჩივარი განიხილა და მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა - გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უკან დაუბრუნა. ამჯერად საქმეს მოსამართლეთა ახალი შემადგენლობა განიხილავს. **“მე რომ გამოძიების მიერ დაშვებული კანონდარღვევები არ გამესაჩივრებინა, ის უკანონობა, რაც პროკურატურამ დაუშვა, არასოდეს გახდებოდა ცნობილი, ამასთან ვერასოდეს დადგებოდა პროკურატურის პასუხისმგებლობის საკითხი,”** – ამბობს ხათუნა ჩხაიძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოში გარკვეული წინააღმდეგობის გადალახვა მაინც მოუწევს, რადგან გენპროკურატურის ყველა შეცდომის აღიარება არც აღნიშნული სასამართლოსთვის იქნება ადვილი.

## მოკლედ

**ზუგდიდი.** ზუგდიდის პოლიციის უფროსი მოსამართლეებს დამნაშავეების მიმართ ლოიალობაში ადანაშაულებს. მამუკა შონიას განცხადებით, "ათეულობით დამნაშავე, რომლებიც ჩვენს მიერ იყვნენ დაკავებულები, ამჟამად გარეთ არიან".

მისივე თქმით, დაკავებულთა 80 პროცენტი სწორედ მოსამართლეების გადაწყვეტილების შედეგად თავისუფლდებიან. შონიას თქმით, თუ ამგვარი ტენდენცია გაგრძელდება, პოლიცია დამნაშავეობის წინააღმდეგ ვერაფერს გახდება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, დილის 4 საათზე გაჩენილმა ხანძარმა 27 წლის კახაბერ გურამის ძე ფოცხვერაშვილი იმსხვერპლა. მარჯანიშვილის ქუჩის N43-ში, იტალიური ტიპის ეზოში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მანსარდა დაიწვა. კახაბერ ფოცხვერაშვილი, რომელიც აღნიშნულ სახლში მდგმურად ცხოვრობდა, ადგილზევე გარდაიცვალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ”2002 წელს გენერალურმა პროკურატურამ 70 პროკურორი და გამომძიებელი დისციპლინარული წესით დასაჯა,” — განაცხადა გენერალური პროკურატურის საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების უფროსმა კოკი ნარმანიამ.

მისი თქმით, შარშან პროკურატურის თანამშრომელთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებისთვის 62 სამსახურებრივი მოკვლევა ჩატარდა და სისხლის სამართლის რვა საქმე აღიძრა. მათგან დისციპლინური სასჯელი 13 მუშაკის მიმართ გატარდა, ხოლო ცხრა სამსახურიდან დაითხოვეს; 20 თანამშრომელს სასტიკი საყვედური გამოეცხადა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხაშურის საკრებულოს დეპუტატის ჯემალ ენჯიბაძის მკვლელობაში ბრალდებულ გოჩა ჭელიძისთვის პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხს უზენაესი სასამართლო დღეს განიხილავს. ჭელიძის ადვოკატის ზურაბ როსტიაშვილის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი 13 იანვრის შემდეგ უკანონო პატიმრობაშია, ხოლო მის მიმართ აღძრული საქმის სამი ტომი თბილისის მე-5 საპყრობილიდან 13 იანვარს გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. ზურაბ როსტიაშვილმა საქმის დაკარგვის შემდეგ მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, რათა ჭელიძე გაეთავისუფლებინათ, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა. შიდა ქართლის სამხარეო პროკურატურა კი მტკიცებულებების ხელახლა შეგროვებაზე მუშაობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის სამმართველოში ნებაყოფლობით გამოცხადდა ბანდიტიზმისთვის, განზრახ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილი, 28 წლის პაატა შატბერაშვილი. იგი 1995 წლის 24 მარტს, დავით ძებნიაურთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღით თავს დაესხა ე.წ. „იოსებიძელების“ საძმოს წევრებს - იუზა თოფურიასა და ანდრია რაზმაძეს, რის შედეგადაც თოფურია საავადმყოფოში გარდაიცვალა, ხოლო რაზმაძემ მიიღო სხეულის დაზიანება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსკოვში ყაჩაღობისათვის ძებნილი, 1974 წელს დაბადებული მერაბ მინაძე დააკავეს, რომელსაც სხვადასხვა წლებში ავტომანქანების ყაჩაღური გზით გატაცება ბრალდება. ტარდება ღონისძიებები მინაძის საქართველოში ექსტრადიციის მიზნით. **კავკას-პრესი**

## მატარებლის ბილეთი გაძვირდა

მატარებლით მგზავრობა საგრძნობლად გაძვირდა. თბილისი-მახინჯაურის საერთაშორისო ვაგონის ბილეთი თუ ღირდა 12 ლარი და 50 თეთრი, გახდა 20 ლარი; კუპირებული ვაგონი კი 18,50 ლარი გახდა, როცა იყო 10 ლარი. მათ ვისაც ოზურგეთში წასვლა ხშირად უწევთ, 10 ლარის ნაცვლად 18,50 ლარის გადახდა მოუწევთ.

თბილისის ვაგზლის უფროსის გივი მაისაშვილის განცხადებით, სამგზავრო ბილეთების ფასების მატება ელექტროენერგიის და მომსახურე პერსონალისთვის ხელფასის მომატებამ გამოიწვია. მართალია, მთელ მსოფლიოში სამგზავრო რკინიგზა არ არის მომგებიანი, მაგრამ ის ,რაც ჩვენთან ხდება, წარმოუდგენელია, – თქვა მაისაშვილმა. საქართველოს სამგზავრო რკინიგზა დღემდე 1976 წლის ტარიფით მოქმედებდა, მაშინ ერთი მგზავრის გადაყვანა 10 კილომეტრზე 27 თეთრი ჯდებოდა, დღეს კი 77 თეთრი ჯდება.

ამ სიახლეს გორში გუშინვე მოჰყვა საპროტესტო აქცია.

*"24 საათი"*

## იუვენალური იუსტიციის პრელუდია

გაერო-ს ბავშვთა ფონდმა და პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელმა საბჭომ, ტრენინგების ჩატარების მიზნით, ერთობლივად მოამზადა საწვრთნელი მოდულები არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაციის შესახებ.

პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭო საკმაოდ დიდი ხანია, გაერო-ს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისის პარტნიორს წარმოადგენს. ამ დროის განმავლობაში საბჭომ მოამზადა დოკუმენტი არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაციის შესახებ, ასევე, ჩაატარა საერთაშორისო სამართლებრივი შედარება საქართველოს კანონმდებლობასთან. მომზადდა 100-ზე მეტი რეკომენდაცია საქართველოს საკანონმდებლო სისტემის გაუმჯობესების მიზნით. იუსტიციის სამინისტრომ მზადყოფნა გამოხატა, მომზადებული რეკომენდაციებით კანონებში ცვლილებები შეიტანოს და პარლამენტს წარუდგინოს.

საწვრთნელი მოდულები ეფუძნება შემდეგ თემებს: არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია; არასრულწლოვანთა დანაშაულის ისტორია და წარმატებული საერთაშორისო სამართლებრივი მოდულები; საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაციის შესახებ; სისხლის სამართლის პასუხისმგებლის ასაკი; არასრულწლოვანი დამნაშავის დაკავება; წინასწარი პატიმრობა და გამოძიების ჩატარება; დასჯის არაფორმალური და ალტერნატიული მეთოდები; დაპატიმრების საერთაშორისო ნორმები.

ტრენინგები დაგეგმილია 2003 წლისთვის, გათვლილია 25 მონაწილეზე, რომლებიც შემდეგში თავად გახდებიან მწვრთნელები და მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას თავიანთი საქმიანობის ადგილზე გამოიყენებენ. ტრენინგი ჩაუტარდებათ როგორც სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებს, ასევე, უმაღლესი განათლების დაწესებულებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

*"24 საათი"*

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს საპატრიარქოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გაიმართა დასავლეთ ევროპის ქართული ეპარქიის პრეზენტაცია. ეპარქია ევროპის 13-მდე ქვეყანას მოიცავს და მის მღვდელმთავრად დაინიშნა მიტროპოლიტი აბრაამი. ეპარქიის დაარსება განაპირობა საზღვარგარეთ ქართული დიასპორის დიდმა რაოდენობამ. ამიერიდან ის ქართველი მღვდელმთავრის აბრაამის მზრუნველობის ქვეშ იქნება. სავარაუდოდ, ეპარქიის კათედრა ბელგიაში, ბრიუსელში დაიდებს ბინას. **მედია ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წლეულს დედაქალაქში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები და მარტოხელა დედები თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე თბილისის მერიისგან ყოველთვიურად, დახმარების სახით, 5 ლარს მიიღებენ. როგორც ჯანდაცვის საქალაქო სამსახურში განაცხადეს, ეს პროექტი შარშან შემუშავდა და წლეულს იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუ თბილისის საკრებულო 2003 წლის ბიუჯეტში ამ პროექტისთვის გათვალისწინებულ თანხებს დაამტკიცებს. ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, დღემდე მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი და უმწეო ოჯახები, მერიის ინიციატივით, წელიწადში ერთხელ, ოჯახის თითოეულ წევრზე, დახმარების სახით, 20 ლარს იღებდნენ. მთლიანი თანხის მოცულობა თითო ოჯახზე 300 ლარს არ აღემატებოდა. გარდა ამისა, დახმარებას, ამ კატეგორიის მიხედვით, იღებდნენ ის ოჯახები, რომლის შემოსავალი თვეში 20 ლარს არ აღემატებოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მალფუჭებადი პროდუქტებით ვაჭრობა მიმდინარე კვირიდან დედაქალაქის გარე ვაჭრობის ტერიტორიებზე მკაცრად გაკონტროლდება. როგორც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ზურაბ ფუტკარაძემ განაცხადა, პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის საფუძველზეც გარე ვაჭრობა ნებადართულია და მოსაკრებელი თანხა თითო მოვაჭრეზე, ყოველდღიურად, 1 ლარს შეადგენს. ფუტკარაძის თქმით, სანიტარიული სამსახური განცხადებებით შევიდა რაიონულ გამგეობებში, რათა გარე ვაჭრობის ტერიტორიაზე პურით და სხვა მალფუჭებადი პროდუქტით ვაჭრობა აიკრძალოს. "ამ მოთხოვნას სანიტარიული სამსახური თვის ბოლოდან მკაცრად გააკონტროლებს", - განაცხადა ფუტკარაძემ და დასძინა, რომ ღონისძიებაში სანიტარიული ექიმები, ეკოპოლიციასთან ერთად, ყოველდღიურად მიიღებენ მონაწილეობას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მთავრობაში არსებული ორმაგ დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურები, უახლოეს მომავალში მხოლოდ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში დარჩებიან. როგორც თბილისის მერიაში განაცხადეს, სანიტარიული ზედამხედველობის, ქონების მართვის, ენერგეტიკის, ვეტერინარიისა და დღემდე ორმაგ დაქვემდებარებაში მყოფი სხვა სამსახურები მხოლოდ ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან და, შესაბამისად, მეორე უწყებას აღარ დაექვემდებარებიან. გარდა ამისა, მთავრობაში მიმდინარე სტრუქტურული გაერთიანების გამო, საბინაო მეურნეობის სამსახური და მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდი გაერთიანდება და 2003 წლის ბიუჯეტიდან საერთო დაფინანსებას მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქალაქის მერმა, ვანო ზოდელავამ, საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო საქმიანობის სრულყოფისკენ მოუწოდა. "წლევანდელ ბიუჯეტში პენსიონერებისთვის 3 ლარის მომატებას ქალაქისთვის დღგ-ს 15 პროცენტის დაბრუნება სჯობდა", - განაცხადა ზოდელავამ. მისი თქმით, თუ ცენტრალური ბიუჯეტიდან დედაქალაქს 15-პროცენტიანი დღგ დაუბრუნდებოდა, თბილისის მთავრობას საშუალება მიეცემოდა, დედაქალაქის პენსიონერებისთვის პენსიები გაეზარდა. "გარდა ამისა, დღგ-ს დაბრუნებით, შესაძლებელი გახდებოდა, თბილისში მაღლივი კორპუსების დაზიანებული სახურავები აღგვედგინა და ლიფტები შეგვეკეთებინა", - აღნიშნა მერმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მთავრობა კუვეიტის ფონდიდან გამოყოფილ 14 მილიონ დოლარს აპრილის ბოლოს მიიღებს. ამის შესახებ "ინტერ-პრესს" თბილისის მერიაში აცნობეს. მათი ინფორმაციით, თანხა დედაქალაქში, ძირითადად, მსხვილი პროექტების განხორციელებას მოხმარდება. უკვე განსაზღვრულია, რომ ამ თანხით აშენდება ესტაკადა ვარაზის ხევიდან ნაძალადევის რაიონის მიმართულებით. მსხვილ პროექტებს კი ააშენებენ ის კომპანიები, რომლებიც თანხის მიღებისთანავე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვებენ. რაც შეეხება მსოფლიო ბანკიდან გამოყოფილ თანხას, ქალაქის მერიაში, ჯერჯერობით, არ აზუსტებენ, წლეულს რა თანხას მიიღებენ. როგორც ცნობილია, მსოფლიო ბანკისა და მერიის თანადაფინანსებით, დედაქალაქში, ძირითადად, დაზიანებულ ქუჩებს აღადგენენ. შარშან მსოფლიო ბანკიდან მერიამ 13 მილიონი დოლარი მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ს მთავრობა და რამდენიმე ინვესტორი საქართველოში ციფრული სეისმური სადგურების ქსელის მოწყობის პროექტს აფინანსებენ. ამ პროექტის ფარგლებში, თბილისში სამი ახალი ციფრული სეისმური სადგური დამონტაჟდება და მათი ქსელი თბილისის მიმდებარე ტერიტორიებსაც მოიცავს. ქსელი აშშ-ს მთავრობის მიერ გამოყოფილი 35 ათასი დოლარით მოეწყობა. გერმანიის მთავრობის 24 ათასი ევროს ოდენობის გრანტით მიღებულია ერთი სადგურის მთლიანი კომპლექტი და კომპიუტერული ტექნიკა. საქართველოში ფირმა „ფილიპ მორისის" წარმომადგენლობამ კიდევ ერთი სადგურის შეძენა დააფინანსა. გეოფიზიკის ინსტიტუტის ცნობით, სადგურების დამონტაჟება, სავარაუდოდ, მარტში დაიწყება. **მედია ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქში დეკემბრის პენსიების გაცემის საქმეში კვლავ პრობლემებია. გლდან-ნაძალადევის რაიონმა საპენსიო თანხებიდან 440 ათასი ლარი მიიღო, მაშინ როცა მოთხოვნა 912 ათას ლარს შეადგენს; მთაწმინდა-კრწანისის რაიონში პენსიონერთა დასაკმაყოფილებლად საჭიროა 243 ათასი ლარი, ხოლო დაფინანსებამ, დაახლოებით, 165 ათასი ლარი შეადგინა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სადაც მოთხოვნილება 471 ათას ლარს შეადგენს, დანაკლისი 195 ათასი ლარია. ისან-სამგორის რაიონის პენსიონერებისადმი დავალიანებამ 389 ათასი ლარი შეადგინა. თბილისში დეკემბრის პენსიების გაცემა, სავარაუდოდ, მომავალი კვირის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან დარჩენილი თანხების მიღებას მერიაში 25 იანვრისთვის ელიან. დღეისთვის მთლიანად მიიღეს პენსიები მხოლოდ ვაკე-საბურთალოსა და წყნეთის პენსიონერებმა. **მედია ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი ავარიის გამო თბილისში გარკვეული პრობლემები გაზზე მომუშავე საქალაქო ტრანსპორტსაც შეექმნა. როგორც თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახურის უფროსმა ოთარ ჭიპაშვილმა თქვა, დედაქალაქში გაზზე სამგზავრო ავტობუსების რამდენიმე მარშრუტი მუშაობს. მათ აირით ტუმბავენ გაზის დასატენ სადგურებზე, რომელთა უმეტესობა, ავარიისა და წნევის ვარდნის გამო, ამჟამად არ მუშაობს. **მედია ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის წყალსადენსა და საკანალიზაციო ქსელში ავარიები კვლავ გახშირდა. სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ინფორმაციით, გასული კვირის განმავლობაში დედაქალაქში დაფიქსირდა წყალსადენის 84 და საკანალიზაციო სისტემის დაზიანების 92 შემთხვევა. შპს „თბილწყალკანალის" ცნობით, დღეისთვის ყველა ავარია ლიკვიდირებულია. შპს „თბილწყალკანალში" გახშირებული ავარიების მიზეზად მოძველებულ და ამორტიზებულ მილსადენებს ასახელებენ. კვირის განმავლობაში სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ სასმელი წყლის 74 სინჯი გამოიკვლია. ხარისხზე დარღვევა არც ერთ შემთხვევაში არ დაფიქსირდა. **მედია ნიუსი**

# რა მოხდება 10 დღეში?!

ზაზა ფაჩუაშვილი

*მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში შარაძე - საკაშვილის პროცესად მონათლული საქმის განხილვა დაიწყო. მოსამართლე ყაჭეიშვილმა ჯერ მხოლოდ მოსამზადებელი სხდომა ჩაატარა, მაგრამ დაპირისპირებულ მხარეთა სიძლიერეში უკვე დარწმუნდა.*



ხუთჯვრიანი დროშის მხარდამჭერები მერიის შენობასთან

მოსარჩელე გურამ შარაძე მერიის შენობიდან ხუთჯვრიანი დროშის ჩამოხსნას ითხოვს. სარჩელის საფუძველზე მოპასუხე მხარეები არიან მერია და საკრებულო. ამ ორი ადრესატის გამო, ერთი გაუგებრობა უკვე მოხდა. როგორც მერია-საკრებულოს შენობაში "გავარკვიეთ," სასამართლოს კურიერს სარჩელი მერიისთვის ჩაუბარებია. მერიაში დოკუმენტი წესისა და რიგის მიხედვით გაუფორმებიათ და შესაბამის სამსახურებშიც გაუტარებიათ, მაგრამ საკრებულოსთვის არ გაუცვნიათ, ამიტომ მოგვიანებით, როცა შეტყობინება სასამართლო განხილვის დანიშვნის შესახებ საკრებულოში გააგზავნეს, აღმოჩნდა, რომ მოპასუხე მხარე სასარჩელო განცხადებას არ იცნობდა. ამის შესახებ "ნაციონალების" წარმომადგენელმა, კობა დავითაშვილმა განცხადება თავიდანვე გააკეთა. გურამ შარაძემ მოსამართლეს მოსთხოვა, მოპასუხე მხარის სიცრუეში და პროცესის გაჭიანურებაში დადანაშაულება, მაგრამ ყაჭეიშვილს თავის გაჭირვება ჰყოფნიდა - იგი მთელი ნახევარსაათიანი პროცესის განმავლობაში ამაოდ, მაგრამ მაინც ცდილობდა დარბაზის დაწყნარებას.

დარბაზი და სასამართლოს მიმდებარე ტერიტორია სავსე იყო "ნაციონალების" მხარდამჭერებითა და ხუთჯვრიანი დროშებით. შარაძის მომხრეები თავიდან დარბაზში არ ჩანდნენ, მაგრამ ერთ მშვენიერ წამს "ნაციონალების" რეპლიკებს ვერ გაუძლეს და ხმა ამოიღეს. ლოგიკურად წარმოიშვა სასამართლო ქაოსის კულმინაცია, რასაც ხელჩართული ბრძოლა მხოლოდ იმიტომ არ მოჰყოლია, რომ ძალთა თანაფარდობა იყო ძალიან განსხვავებული. "ნაციონალებმა" არ იკადრეს ერთი კაცისა და ერთი ქალის ცემა და სიტყვიერი პასუხებით შემოიფარგლნენ.

ამასობაში შარაძის ადვოკატმა განაცხადა, - სასამართლოს დასრულებამდე მერიის თავზე დროშის


სოლქო სასამართლო ხელჩართულ ბრძოლას გადაურჩა


მომავალ სხდომას შარაძის მხარდამჭერებიც დაესწრებიან

ფრიალი უკანონობააო, და მისი ჩამოხსნა მოითხოვა, რაზეც დარბაზიდან უპასუხეს, - უკანონო შენ თვითონ ხარო. ბოლოს დარბაზი ისე აყაყანდა. მოსამართლე ცხვირწინ მჯდომ დაპირისპირებულ მხარეებს ვერაფერს აგებინებდა და იძულებული შეიქნა, დარბაზში ჩამოსულიყო. შარაძესა და დავითაშვილს მან ორიოდე სიტყვალა უთხრა, - ასეთ პირობებში ვერ ვიმუშავებ, მთავარი სხდომის დანიშვნის დღეს კი მოგვიანებით შეგატყობინებთო. სამეულის შეთანხმებით, ეს მოხდება არა უგვიანეს 10 დღისა.

რა მოხდება 10 დღეში? თუ გუშინდელი დაძაბულობითა და გურამ შარაძის პროგნოზით ვიმსჯელებთ, რომ მომავალ სხდომას მისი მრავალრიცხოვანი მხარდამჭერებიც დაესწრებიან - კარგი არაფერი.

# საცდელი პროექტი - სიღარიბის დაძლევისთვის

მაკა ჭაიანი

*"ჩვენი მიზანი იყო, ამ პროგრამის საშუალებით გვეჩვენებინა, რომ ქართველებს შეუძლიათ, საკუთარი ძალებით შექმნან და განახორციელონ სერიოზული პროექტები. სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცა პროგრამაში მონაწილე ყველა რგოლმა - ბანკმა, სადაზღვევო კომპანიამ, საკონსულტაციო ცენტრებმა. საქართველოში დამოუკიდებლად ამუშავდა მოდელი, რომელსაც, მართალია, დასაქმების პრობლემის მთლიანად გადაწყვეტის პრეტენზია ვერ ექნება, მაგრამ, თავისუფლად შეიძლება, სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი გზა გახდეს", - განაცხადა გუშინ "საქართველოს ბანკში" გამართულ პრეზენტაციაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარემ.*


ვლადიმერ პატეიშვილი და რევაზ საყვარელიძე

რევაზ საყვარელიძის ეს შეფასება დასაქმების ახალი სახელმწიფო პროგრამის მისამართით გაკეთდა. საქართველოში პირველად განხორციელებული ამ ტიპის პროექტის მიმართ არც "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტი ვლადიმერ პატეიშვილი და არც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე მალავდნენ კმაყოფილებას. მათი შეფასება ასეთია: პროგრამის ფარგლებში ჩვენი ქვეყნისთვის უმწვავესი პრობლემის მოგვარება იწყება. შესაბამისად, სამადლობელი სიტყვები ითქვა "საქართველოს ბანკის" მიმართ, რომელმაც სამეწარმეო საქმიანობისთვის სესხების გაცემა გარისკა და სადაზღვევო კომპანია "ნაბათის" მიმართ, რომელმაც "საქართველოს ბანკს" ამგვარი სესხის გაცემის რისკი მნიშვნელოვნად შეუმცირა.

უკვე დასრულებული საპილოტო პროგრამის შედეგები კი ასეთია. დამტკიცდა 96 პროექტი, აქედან 50 - უმუშევრების, 46 - მცირე ბიზნესის წარმომადგენლებიდან; აქედან თბილისზე მოდის 29 პროექტი, დანარჩენი კი, რეგიონების მიხედვით, ასე ნაწილდება: იმერეთი - 15, შიდა ქართლი - 12, კახეთი - 10, სამეგრელო - 8, გურია - 6, ქვემო ქართლი - 6, სამცხე-ჯავახეთი - 5, მცხეთა-მთიანეთი - 3, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი - 2 პროექტი. შინაარსის მიხედვით, პროექტების მეტი წილი მომსახურების სფეროზე მოდის, შემდეგ დგას წარმოება, ბოლოს - ვაჭრობა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა, სულ მცირე, 300 ადამიანს მიაღწევს. ყველა მათგანი რეგისტრირებული უმუშევარია.

პროგრამის ავტორი, რევაზ საყვარელიძე, მიიჩნევს, რომ ეჭვი, თითქოს დასაქმების ახალი სახელმწიფო პროგრამა ბაზარზე ბუნებრივი პროცესების განვითარებას ხელს შეუშლის, გადაჭარბებულია. **"ეს არ არის უხეში ჩარევა სამეწარმეო ბაზარზე, რადგან, 30-ათასიანი სესხის აღების პირობებში, მარტო ხელფასებზე მეწარმეს 20 ათასი ლარი ეხარჯება. ეს მდგომარეობას ვერ გააუკუღმართებს",** - ამბობს რევაზ საყვარელიძე. 2003 წლისთვის იგი პროგრამის გაფართოებას, კიდევ ხუთი კონსალტინგ-ცენტრის ამუშავებასა და ბიზნეს-ინკუბატორის ამოქმედებას გვპირდება. ყველაფერმა ამან, თუ მოწინააღმდეგეებმა ისევ არ გამოიღეს ხელი, უმუშევართა რაოდენობა კიდევ უფრო უნდა შეამციროს.

# ვინ დაიცავს მომხმარებლის უფლებას?!

*სემეკის სამოქალაქო უფლებათა დაცვის დეპარტამენტი პარლამენტისგან საკუთარი უფლებამოსილების გაფართოებას და კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას ითხოვს. დეპარტამენტში აცხადებენ, რომ, მათთვის სათანადო ბერკეტების მინიჭების შემთხვევაში, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია მომხმარებელთა უფლებების დაცვას უფრო უკეთესად და ეფექტურად შეძლებს.*

ეთერ მამულაშვილი

ცოტა ხნის წინ სახალხო დამცველის ოფისი მომხმარებელთა უფლებების დამცველი ინსტიტუტის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. მანვე წარმოადგინა საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანას ითვალისწინებს, მათ შორის - მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობის შემოღებას.

ომბუდსმენის ოფისში ფიქრობენ, რომ ერთ-ერთი ასეთი დამოუკიდებელი სამსახური ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაშიც უნდა შეიქმნას, რასაც ეს უკანასკნელი კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, დავით ებრალიძე აცხადებს, რომ მომხმარებლის უფლებების დარღვევის დროს მარეგულირებელ კომისიებში ლიცენზიის მფლობელთან მოდავე მხარე ამ ეტაპზე არ არსებობს. **"დღეს კომისია მსაჯულის და დამცველის როლს ერთდროულად ასრულებს, რაც, გარკვეულწილად, აბსურდია",** - გვითხრა ებრალიძემ.

სემეკის სამოქალაქო უფლებათა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პაატა ვარდოსანიძე ირწმუნება, რომ მისი განყოფილება სწორედ მომხმარებლის უფლებების დაცვას ემსახურება და საჭირო აღარ არის "ველოსიპედის გამოგონება".

გუშინ ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში ამ საკითხებზე საგანგებო პრესკონფერენცია მოეწყო. პაატა ვარდოსანიძე ამტკიცებს, რომ მათი დეპარტამენტისთვის უფლებების გაზრდა ისევ მომხმარებლის წისქვილზე დაასხამს წყალს. კერძოდ, დეპარტამენტის თავმჯდომარე ფიქრობს, რომ **"თუკი მათ სამსახურს ექნება სასამართლოში მხარის სტატუსით მონაწილეობის უფლება, ისინი შეძლებენ, მომხმარებლის სახელით და მის საკეთილდღეოდ დიდი კორპორაციებისთვის სერიოზული პროცესების მოგებას. აქედან შემოსულ ასეულ ათასობით ლარს კი სოციალურად დაუცველ ფენებს მოახმარენ",** - ასეთია ვარდოსანიძის გათვლა.

გარდა ამისა, მომხმარებლის ინტერესების დარღვევის შემთხვევაში, სემეკს არ აქვს ლიცენზიის მფლობელი კომპანიების დაჯარიმების უფლება. მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ კომპანიის დირექტორის ან მომუშავე პერსონალის ხელფასიდან უმნიშვნელო თანხის დაქვითვის საშუალებას იძლევა.

სემეკის სამოქალაქო უფლებათა დაცვის დეპარტამენტი კომპანიებისთვის სოლიდური საჯარიმო თანხების დაწესებასაც მოითხოვს.

საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადებულ კანონპროექტის ავკარგიანობას თვის ბოლოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში განიხილავენ.

ნომრის პერსონა

# დამოუკიდებელი საქართველოს პირველი თაობის ვეტერანები

**კახა გველესიანი: "ექსპოჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში. დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პროფესიით მანქანათმშენებელია. მუშაობდა სამთო მექანიკის ინსტიტუტში, დიდუბის საგამოფენო ცენტრში. 1998 წლიდან არის ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. ძალზე ბევრი კერძო ინიციატივების სათავეში იდგა. მათ შორის – საერთაშორისო გამოფენები, უძრავი ქონების განვითარების პროექტები (სასტუმრო "მერიოტი"-ს ორივე შენობა), სამშენებლო მასალების წარმოება ევროპული ხარისხის ამბიციით; პოლიგრაფია. დღეს ფოთში ნავთობტერმინალის მშენებლობის დასრულებაზე მუშაობს.**

მაია ქალაბანიძე

*მათ ქვეყანას ყველაფერი მისცეს და ალბათ, მოთხოვნის უფლებაც აქვთ... მათ იომეს, მაგრამ ხმამაღლა არც არავის უთქვამს, რომ ეს ომი იყო. შემდეგ ჩამოვიდნენ და აღმოჩნდა, რომ მათი უმეტესობა არავისთვის არის საჭირო... ამ ადამიანებს ომის ვეტერანები ჰქვიათ... არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დღეს იქმნება - საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირია, უფრო მოკლედ კი – "ქართული ლიგა". მათი დამფუძნებლები – "ექსპოჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კახა გველესიანი, საქართველოს პარლამენტის დეპუტატები გია ყარყარაშვილი და ზაზა დვალი, ეკონომიკის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე და დიპლომატი – გიგა მახარაძე შემდეგმა ღირებულებებმა გააერთიანა: მხედრულ სულზე დაფუძნებული მორალური კოდექსის ერთგულება; ზოგადსაკაცობრიო ეროვნული და პიროვნული იდეალების ერთიანობა; ეროვნული და პიროვნული ღირსების თვითშეგნება; ერთგულება და პიროვნული პასუხისმგებლობა... ორგანიზაციაში მზად არიან მიიღონ ნებისმიერი რაოდენობის ადამიანი, ვისაც ამ ღირებულებებითა და პრინციპებით უცხოვრია. სამწუხაროდ, დღეს ამგვარ ადამიანთა რიცხვი ძალზე ცოტაა და ისინი მარადიულ თემებზე საუბარს შინ, სამზარეულოებში არჩევენ, რადგან გადაწურული აქვთ იმედი, რომ მათ გაუგებენ...*

**- თქვენს მიერ პრიორიტეტად აღიარებული ღირებულებები თითქმის აღარ არსებობს. როგორ აპირებთ ამის დანერგვას?**

- ვეტერანების საზოგადოებაში ამ ღირებულებათა მატარებელი ადამიანების ძალზე მაღალი კონცენტრაციაა. ბევრად უფრო მაღალი, ვიდრე ზოგადად ერში.

**- როგორ გგონიათ, რატომ?**

- ეს საკმაოდ მარტივი ასახსნელია. ქვეყანაში შექმნილი ობიექტური პირობებიდან გამომდინარე ადამიანების ბუნებრივი სელექცია მოხდა. ამ ადამიანებმა არსებულ სიტუაციაში სხვა ნებისმიერ მდგომარეობას ჯარში მოხალისედ წასვლა არჩიეს. ეს მოხდა ქვეყანაში, სადაც არ არსებობდა არც იდეოლოგია, არც სავალდებულო ჯარი... მოხალისედ წავიდნენ არა იმიტომ, რომ არ ესმოდათ რას აკეთებდნენ, პირიქით – ძალზე კარგად ესმოდათ... მათი ნაბიჯი ნაკარნახევი იყო იმ ღირებულებების ერთგულებით, რომელიც ძირითადად ღირსეულ წარსულს ეფუძნება. იმ პერიოდის აწმყოში უფრო ფსევდოღირებულებების სპეკულაციით იყო ხალხი დაკავებული.

მინდა ცალკე შევჩერდე ჩვენი ორგანიზაციის მიზნებზე: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის განმტკიცებაში და დემოკრატიული საქართველოს, როგორც დასავლური ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილის აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობა; საქართველოს ომის ვეტერანთა, დაღუპული მებრძოლების ოჯახთა, უმწეოთა და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ფიზიკური და მორალურ-სოციალური რეაბილიტაცია და დასაქმება, მათი უფლებების დაცვა და ქვეყნის აქტიურ სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართვა; სამხედრო მოსამსახურის პიროვნული ღირსების, მისი სოციალური სტატუსის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებისთვის ქართული არმიის აღმშენებლობისთვის სამხედრო-სამოქალაქო ინტეგრაციისთვის საზოგადოებრივი მხრდაჭერა და ხელშეწყობა; საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებისთვის დასავლეთის საერთაშორისო სისტემაში მისი სამხედრო პოლიტიკური ინტეგრირების მორალური მხარდაჭერა და ხელშეწყობა და ბოლოს – დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი მხარდამჭერი და ხელშემწყობი მორალური უმრავლესობის შექმნაზე ზრუნვა მთელს საქართველოში. (მორალური უმრავლესობა თანამოაზრეებს გულისხმობს).

**- როგორ მოახერხებს თქვენი ორგანიზაცია ვეტერანთა სრულფასოვანი ცხოვრების ორგანიზებას? ეს ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გარეშე, ალბათ გაგიჭირდებათ. რამდენად ახლოს მიგიშვებთ მთავრობა ამ პროცესებთან?**

- ეს, ალბათ, ძირითადად ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად არის დღეს მზად საზოგადოება ამ კონტინგენტთან ინტეგრირებისთვის?**

- საზოგადოება ამისთვის მზად დამოუკიდებლად, არასდროს იქნება. ერთ მაგალითს გეტყვით - 1919 წელს, ამერიკაში არასამთავრობო ორგანიზაცია "ამერიკული ლეგიონი" შეიქმნა. (ეს ჩვენი ორგანიზაციის ანალოგიური იყო). მათ უდიდესი როლი შეასრულეს თანამედროვე ამერიკის შექმნაში. ხარისხიანად მოახერხეს სახელმწიფოსა და ვეტერანთა საზოგადოების ინტერესების შერწყმა. დაანახეს ხელისუფლებას, თუ რა ღირებულების მატარებელნი იყვნენ ვეტერანები და რა სარგებლობა შეეძლო ამას მოეტანა ქვეყნისთვის.

**- რა სახის ურთიერთობა ექნება თქვენს ორგანიზაციას მთავრობასთან და რა მოთხოვნები ექნებათ ვეტერანებს ხელისუფლებისადმი?**

- ჩვენი მიზნების განხორციელება მთავრობასთან თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელი იქნება, რადგან მრავალი სოციალური პროგრამის განხორციელებას ვგეგმავთ. რა თქმა უნდა, დაფინანსება ჩვენი ტრანზიტით არ მოხდება. ამ თანხების გამგებლები ჩვენ არ ვიქნებით. არსებობენ სახელმწიფო სტრუქტურები, რომელთაც, სწორედ ამ ფინანსების გამოყენება ევალებათ. ჩვენ მონიტორინგს განვახორციელებთ.

არსებობს გადამზადებისა და დასაქმების საერთაშორისო პროგრამები. ეს საინტერსო თემაა იმდენად, რამდენადაც ეს ადამიანები დამოუკიდებელი საქართველოს პირველი თაობის ვეტერანები არიან. ამ ვეტერანთა ჩამოყალიბება სრულიად განსაკუთრებულ პირობებში მოხდა - ქვეყნის გარდამავალ პერიოდში, რომელიც, პირველ რიგში, ცნობიერების ტრანსფორმირებას ითხოვდა და ამისთვის მზად არავინ იყო. ამას დაემთხვა ომი, განსაკუთრებულად სტრესულ პირობებში ორი წელი ყოფნა და საბოლოოდ მარცხის სიმწარე. გავიდა 10 წელი, მაგრამ დიდი ნაწილი თავისი ცნობიერებით ცხოვრების ახალ პრინციპებს ვერ მოერგო... სწორედ ამ ადაპტაციას გულისხმობს გადამზადებისა და დასაქმების პროგრამა.

**- როგორ აპირებთ თანამშრომლობას მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან, რომელთაგან ზოგიერთმა საკითხისა და სახელის ერთგვარი დისკრედიტაციაც მოახერხა?**


კახა გველესიანი
ლევან ხერხეულიძის ფოტო

- მათ საქმიანობას ახლოს არ ვიცნობთ და დისკრედიტაციაზეც ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ თითქმის ყველა მათგანთან გვქონდა შეხვედრა და რა თქმა უნდა, თანამშრომლობას ვაპირებთ.

**- კაპიტალის რა წყაროები გაგაჩნიათ? არამატერიალურსაც ვგულისხმობ.**

- მცირე თანხა იქნება შემოწირულობები, მაგრამ, ძირითადად კი პროგრამულ დაფინანსებაზე ვიქნებით დამოკიდებული. დიდი ულუფა იქნება საერთაშორისო პროგრამების ფორმატში. არც ბიუჯეტით დაფინანსებულ პროგრამებში მონაწილეობა იქნება მცირე. მათ შორის, ძალზე მნიშვნელოვანი - აღრიცხვიანობის მოწესრიგება და მონიტორინგი, მონაცემთა ბაზების შექმნა, სოციალური ფონისა და სოციოლოგიის შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება რეაბილიტაციაზე ზრუნვა.

რაც შეეხება, არამატერიალურ კაპიტალს - საკმარისად დიდი გვაქვს და სწორედ ამან გაგვიჩინა ამბიცია, რომ პრობლემების მოგვარებას შევძლებთ

**- ფსიქოლოგიურ-მორალური რეაბილიტაცია ადვილი არ იქნება. ვინ იმუშავებს ამაზე?**

- ჩვენი სტრუქტურა ითვალისწინებს სათათბირო ორგანოს - დარბაზს, სადაც ამ საკითხის ექსპტებიც იმუშავებენ.

**- რა თქმა უნდა, ვეტერანებს შორის ბევრია პროფესიონალი. მათი ოპტიმალურად დასაქმების რა საშუალებები გააჩნია თქვენს ორგანიზაციას? სრულფასოვანი ცხოვრება, სამსახური მათსავე რეაბილიტაციას ძალზე წაადგება...**

- ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამისთვის საკმაოდ ბევრი რესურსია. ეს ადამიანები ბევრი განსაკუთრებული თვისების მატარებელნი არიან. მათ აქტიური ასაკი აქვთ. შეჩვეულნი არიან შრომასაც და რთულ, სტრესულ პირობებში ცხოვრებასაც. ჩვენს მიერ პრიორიტეტად აღიარებული ღირებულებების გამოცდა მათ, ასე ვთქვათ, ექსტრემალურ პირობებში გაიარეს.

**- თქვენ კი მზად ხართ სათანამშრომლოდ, მაგრამ მთავრობას დღეს რეალურად შეუძლია თქვენი ტიპის ორგანიზაციების მხარდაჭერა?**

- 70-80 წელი ვიცხოვრეთ საბჭოთა კავშირში და ამ სისტემაში სულ სხვა ტიპის ღირებულებების გენერაცია ხდებოდა, თუმცა, ამან ოჯახების დიდ უმრავლესობაში ვერ შეაღწია. ამ წლებმა ვერ დააზიანა ღირებულებები ისე, როგორც მაშინდელ ხელისუფლებას სურდა. ეს უკვე სერიოზული მინიშნებაა იმისთვის, რომ ღირებულებების სწორი დეკლარირება წარმატებული იქნება.

**- როგორ გეგმავთ სწორ მიწოდებას? თქვენი კეთილშობილური ზრახვები დღეს ყამირ ნიადაგზე უნდა აღმოცენდეს... რა ხერხები გაგაჩნიათ ამისთვის?**

- თქვენ დიდი სფეროს შეეხეთ და ამაზე ცოტა მოგვიანებით მოგვიწევს საუბარი. თურქეთის, ისრაელის ჯარში საზოგადოების ელიტური ნაწილი იყრის თავს. საზოგადოებაში ჯარს ის ადგილი უკავია, რაც საზოგადოების სტაბილურობის და ქვეყნის უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას ქმნის. აი, ეს საქართველოში უკვე საზრუნავია...

**- თქვენი მოსაზრებები სახელმწიფო სამხედრო დოქტრინის ელემენტებსაც შეიცავს...**

- ნატოს-თან ურთიერთობისა და დასავლეთთან სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრირების საზოგადოებრივი მხარდაჭერა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იქნება ჩვენთვის და ამით არანაირად არ გადავკვეთთ ვინმეს კონკრეტულ ინტერესებს. ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვისი მოღვაწეობის ვექტორიც აქეთკენ არის მიმართული.

**- თქვენ ამბობთ, რომ მზად ხართ მთავრობასთან სათანამშრომლოდ. აუცილებლად მოგიხდებათ ყველა იმ სენთან შეხება, რაც დღეს ჩვენს ხელისუფლებას სჭირს - უფულობა, კორუფცია და ა.შ. მზად ხართ საბრძოლველად?**

- რა თქმა უნდა, შეხება მოგვიხდება. მთავრობასთან კონსულტაციის პროცესი დაწყებული გვაქვს. ჩვენს შემთხვევაში, მთავრობასთან თანამშრომლობის გარეშე სრულყოფილ წარმატებებზე საუბარი ზედმეტია.

**- გიფიქრიათ, რომ ვთქვათ, ობიექტური მიზეზების გამო (უფულობა, არასტაბილურობა) მთავრობამ, შეიძლება უარი გითხრათ თანამშრომლობაზე?**

- ჩვენ თანხებს არ ვითხოვთ და ალბათ, მივაღწევთ იმას, რომ სხვა ქვეყნების არსებული პრაქტიკის მიხედვით მოხდეს მიღებული ბიუჯეტის ფარგლებში თანხების მიმართვა ვეტერანებისთვის. ჩვენ, უბრალოდ მოვთხოვთ მათ, ვისაც ბიუჯეტის თანხების რაციონალური განკარგვის უფლება აქვთ.

**- რას იტყვით, დღეს რამდენად შერჩა გაღარიბებულ ქართველ მოსახლეობას გულმოწყალებისა და სხვათა გასაჭირის გათავისების უნარი?**

- მაგის იმედი მაქვს, თუმცა, პირველ რიგში, საზოგადოების სოციალური ფონის შესწავლას ვაპირებთ...

**- რას ელით? როგორი შედეგით დასრულდება შესწავლა?**

- არა მგონია, დიდი სხვაობა იყოს ჩვენს ვარაუდსა და სინამდვილეს შორის. ამის თქმის საფუძველი გვაქვს... ვეტერანების პრობლემის მოგვარება ბევრმა ქვეყანამ შესძლო და ამას ჩვენც შევძლებთ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მხოლოდ შესაძლებლობების გაჩენა შეუძლია. ეს შესაძლებლობები განსაკუთრებით რეგიონებში არ არის და ყველაზე ბევრი საქმე აქ გველის. ჩვენ გვაქვს რამდენიმე პროექტი, რომელიც გარკვეული მიმართულებით რაღაც შესაძლებლობებს გააჩენს.

იმ საზოგადოებაში, რომელთანაც მომავალში სავალდებულო ურთიერთობები გვექნება, ამ ღირებულების მატარებელი ადამიანების განსაკუთრებით მაღალი კონცენტრაციაა. ამიტომ რირებულებების დანერგვას იქ არ ვცდილობთ. ადრე იდეოლოგიასაც ზემოდან გვკარნახობდნენ. ამ შემთხვევაში კი, პირიქით ხდება - ქვემოდან უკარნახებენ და იმედია, ამ ღირებულებებისგან სრულიად დაცლილი ხელისუფლების ნაწილი გაიგებს, რომ მათ გარეშე სახელმწიფო იდეოლოგია ვერ შეიქმნება...

ამ ღირებულებების პირველწყარო ადამიანია. ხარისხიანი ადამიანების გარეშე ხარისხიანი საზოგადოება ვერ შეიქმნება და დღეს რაინდული სულისკვეთების დიდი დეფიციტია.

**- დამფუძნებლები ძალზე დაკავებულები ხართ. თქვენი დროის რა ნაწილს დაუთმობთ ლიგაში მუშაობას?**

- ყოველ ჩვენგანს ასე თუ ისე - მართვის გარკვეული გამოცდილება აქვს. მაგრამ, ეს სერიოზული ტვირთია... ამ ადამიანთა დიდი უმრავლესობა ძალზე ცუდ დღეშია. იდეალები შერყეული აქვთ. მორალური საკვებიც გამოეცალათ... ეს ადამიანები ერთმანეთზე სიცოცხლის ჩუქებას იყვნენ მიჩვეულნი და ეს მათი ცხოვრების წესი იყო. დღეს კი... არაადამიანური, მძიმე ყოფის გამო იკარგებიან.

**- რამდენ ხანში დაინახავთ გაწეული მუშაობის შედეგს?**

- დაახლოებით, ნახევარი წლის განმავლობაში კონკრეტულად გვეცოდინება ყველა პროექტის რეალიზაციის პერსპექტივა

**- როგორ ფიქრობთ, ამდენჯერ მოტყუებული ადამიანებს კიდევ ექნებათ თქვენთვის ნდობის გამოცხადების სურვილი?**

- ჩვენ იმედი გვაქვს. ხომ გახსოვთ, "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა?"... я хоть попробовал... მაგრამ არც ფილმის ამ გმირის მდგომარეობაში ყოფნას ვაპირებთ. ამ საქმეში უკან დასახევი გზა მოვიჭრით...










# პატარა წიგნის პატარა პრეზენტაცია

## მწერლის ანოტაცია და მკითხველის ნოტაცია

თამარ სუხიშვილი

**მწერლის ანოტაცია:** *"ბავშვობიდან დღემდე მაინტერესებდა ექიმთა საზოგადოება. 1937 წლიდან ვცხოვრობდი ქუთაისში, არტისტების ეზოდ ცნობილ, 1905 წლის რევოლუციის ქუჩის N23-ში. ჩვენი ოჯახის და მსახიობთა გარდა ამ ეზოში ცხოვრობდა ორი შესანიშნავი ოჯახი: ექიმ გიორგი ლორთქიფანიძისა და ექიმ გიორგი გელოვანისა, თავისი საქმის დიდი მცოდნეების, სპეტაკი ადამიანების. მე ბევრი რამ მსმენია მათგან მაშინაც კი, როდესაც ბატონი გიორგი ლორთქიფანიძე თბილისში გადმოვიდა.*

*ჩემმა დამაც თითქმის ნახევარი საუკუნე უძღვნა ამ საქმეს.*

*განსაკუთრებით პატივისცემას იწვევდნენ ჩემში ისინი, რომლებსაც ძველად უბნის და სასწრაფო დახმარების ექიმებს უწოდებდნენ.*

*ჩემი ხნის ქუთაისელებს კარგად ახსოვთ ერთი ავადმყოფი, რომელსაც თავი მანქანად მიაჩნდა. გასაგები მიზეზის გამო მისი სახელი გამოგონილით შევცვალე და მოთხრობაში მას ჩიტო ვუწოდე.*

*მინდოდა მომეყოლა ჩემი ბავშვობისდროინდელ ექიმებზე, მათ უანგარო, კეთილშობილურ მოღვაწეობაზე.*

*ეს ამბავი ხდება ქალაქში, რომლის სიყვარულიც მთელი ცხოვრება თან დამყვება. მოქმედებისათვის კი ავირჩიე ყველაზე მშვენიერი დრო – შობის წინა ღამე და შობის დილა.*

*ჩვენი დროის საშინელი სენი – ერთმანეთის უპატივცემულობა, ოჯახებში უთანხმოება და გაყრა-განშორება, ხომ არ იღებს თავის საწყისს იმდროინდელ ურწმუნოებაში?*

*სასაფლაოზე, სადაც ექიმი განვლილი ცხოვრების დღეების თვლას და ანგარიშს იწყებს, მივმართე მოგონილს, გაგონილს თუ წაკითხულს იმ ცნობილი ამბის შესახებ, რომელშიც მოყოლილია, თუ რა მცირე დროს ატარებს ცოლ-ქმარი თანხმობასა და ჰარმონიაში.*

*ნეტავ იმ დროს, როდესაც ჩვენს წინაპრებს წესად ჰქონდათ შობას თუ აღდგომას ერთმანეთისთვის პატიება ეთხოვათ და მიეღოთ იგი მადლიერების გრძნობით.*

*გისურვებთ მრავალ ბედნიერ შობას."*

***რეზო გაბრიაძე,***
***ამ მოთხრობის თაობაზე***


რეზო გაბრიაძე


რეზო გაბრიაძე და ზაზა ბერიშვილი პრეზენტაციაზე

"მეკითხებიან, რისი გადმოცემა გინდოდათ ამ მოთხრობითო, ცუდად ყოფილა საქმე, როცა ამას გეკითხებიან. რისი თქმაც მინდოდა, ის ვთქვი, ალბათ ბევრი ვერ შევძელი, ეს უკვე თქვენ უნდა განსაჯოთ," - რეზო გაბრიაძე ღიზიანდება (და ამას არც მალავს), როდესაც წაუკითხავად აძლევენ შეკითხვებს ნაწარმოების გარშემო. გუშინდელ პრეზენტაციაზე მარიონეტების თეატრის მასპინძელი გადაღლილი ჩანდა და ბევრი ლაპარაკი არ მოისურვა. პრეზენტაციამაც რეკორდულად მცირე დროში – სულ რაღაც ხუთიოდე წუთში ჩაიარა, და, ბუნებრივია, ქართული პუნქტუალურობით გამორჩეულ დაგვიანებულ სტუმრებს ისღა დარჩენოდათ, მწერლისთვის ავტოგრაფი ეთხოვათ, მერე რეზო გაბრიაძის ერთი ციცქნა წიგნი გულის ჯიბეში ჩაედოთ და შინისაკენ აეღოთ გეზი.

"თქვენ გენაცვალეთ რა, დავიღალე და აღარ გვინდა," - მუდარით იგერიებდა მწერალი და რეჟისორი აბეზარ ჟურნალისტებს; ჟურნალისტები კი მაინც არ ცხრებოდნენ და ერთი და იმავე შეკითხვით უტრიალებდნენ გარს მწერალს: თქვენი პერსონაჟები და მოთხრობაში აღწერილი ამბავი მოგონილია თუ სინამდვილიდანაა აღებულიო. "კაცო, ეს არის ერთ-ერთი ფუნდამენტური კითხვა, მე ამისათვის მომზადებული არა ვარ, მომეცით დრო და საშუალება, ეგებ ოდესმე რამეზე გიპასუხოთ..." - რეზო გაბრიაძე მეგობრებს მიუბრუნდა: "პლატონიც კი გაჩერდა და აბუქსავდა ამ კითხვაზე..."

რეზო გაბრიაძის **"ჩიტო ГК-49-54 ანუ ექიმი და ავადმყოფი"** საშობაო მოთხრობაა. ამ მოთხრობის დიალოგებს, ნახატებს, სიუჟეტებს, პერსონაჟებს მწერალი 11 წლის განმავლობაში აგროვებდა, და ბოლოს, შობა-ახალწლის დღეებში ლამაზი და სევდიანი მოთხრობა დაიბადა. ამ მოთხრობის ზოგიერთი პერსონაჟი მკითხველმა მწერლის სხვა ნაწარმოებებიდან ადრევე გაიცნო და მათი შეყვარებაც მოასწრო... "რეზო გაბრიაძის ახალი მოთხრობა ერთ-ერთი საუკეთესო ქართული მოთხრობაა და აუცილებლად დაიდებს ბინას ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოში" – ასეთ პროგნოზს აკეთებს გამომცემლობა "სანის" დირექტორი ზაზა ბერიშვილი.

პრეზენტაციაზე ისეთ სტუმარსაც მივაგენი, ვისაც უკვე მოესწრო და წაეკითხა საშობაო მოთხრობა: მწერალმა ზაალ სამადაშვილმა ახალი წიგნი ნათლისღების ღამეს წაიკითხა, ამ ნაწარმოებმა მასზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მეორე დილას გადაიკითხა კიდეც: "ძალიან კარგი მეხსიერებით არ გამოვირჩევი, მაგრამ შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ნახევარი თუ არა, წიგნის მესამედი ზეპირად მახსოვს, მარტო გამონათქვამები კი არა, მთელი პასაჟებიც. მკითხველს ყოველთვის ხიბლავდა ისეთი პროზა, რომელშიც წაშლილია ზღვარი რეალურსა და წარმოსახვითს, არსებულსა და გამოგონილს შორის... შეუძლებელია, ამ მოთხრობამ ადამიანი გულგრილი დატოვოს და მკითხველს ერთი კურცხალი მაინც არ მოადგეს თვალზე... ეს გრძნობა გამყვება, სანამ სული მიდგას.

გუშინ პრეზენტაციის შემდეგ ბატონი რეზო მოსკოვში გაფრინდა. სამომავლო გეგმებზე ლაპარაკსაც ხუმრობით აარიდა თავი: "ჩემი გეგმები ასეთია, მივემგზავრები, ბილეთი მაქვს, ჩემოდანიც მაქვს, მეგობარი აეროპორტში გამაცილებს, მივალ აეროპორტში, პასპორტის კონტროლს გავივლი..."

**მკითხველის ნოტაცია:** *მკითხველმა მკითხველს ერთი რამ შემიძლია ვურჩიო, შეიძინეთ, წაიკითხეთ და შეიყვარეთ რეზო გაბრიაძე, და დარწმუნებული ვარ, ყველანი უკეთესები გავხდებით...*

### კალენდარი

## 21 იანვარი

"რახან საყვედურს არავინ ამბობს, ეს იმას არ ნიშნავს იმას, რომ ყველა პარაშუტი გამართულია," - იხუმრა ერთხელ პოპულარული ბრიტანული ტელეშოუს ავტორმა ბენი ჰილმა, რომელსაც თავის გადაცემებში ირონიის გარეშე არ დაუტოვებია XX საუკუნის პოლიტიკური ცხოვრების ხარვეზები...

სანამ ალფრედ ჰოუთონ ჰილი თეატრის მენეჯერის ასისტენტად დაიწყებდა მუშაობას, მან სხვა ხელობებშიც სცადა ბედი: ჯერ მერძევე იყო, მერე დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავდა, მძღოლადაც მუშაობდა.

1957 წელს ტელეეკრანებზე გამოჩნდა სასაცილო ტიპი, რომელიც უხვი ჟესტიკულაციით მღეროდა სახუმარო სიმღერებს, ბადალი არ ჰყავდა ცნობილი მსახიობებისა პოლიტიკური მოღვაწეების პაროდირებაში და მუდმივად იცვლიდა ნიღაბს. ბენი ჰილის შოუმ, რომელსაც დღესაც დიდი სიამოვნებით უყურებს ყველა ქვეყნის მაყურებელი, 1966 წლამდე იარსება.

შოუს სცენარისა და მუსიკის ავტორი და მთავარი როლის შემსრულებელი თავად ბენი ჰილი იყო, თითოეული შოუ პატარა ეპიზოდებისაგან შედგებოდა, რომლებიც განსაკუთრებული დინამიზმითა და იუმორით გამოირჩეოდნენ. მსახიობს გარს ეხვივნენ "ჰილის ანგელოზები" – გრძელფეხება ბიკინებიანი გოგონები და კოლორიტული კომიკოსები: ჰენი მაკგი, ბობ ტოდი, ჯეკი რაიტი.

გარდა სატელევიზიო შოუებისა, პოპულარულ მსახიობს რადიოგადაცემებშიც დიდი წარმატებები ჰქონდა. მისი ჰიტი იყო Ernie, რომელიც 1972 წლის ზამთარში გამოვიდა და საშობაოდ 700 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა.

იყო დრო, როცა ბენი ჰილი სამეფო ოჯახისა და ეროვნული სიწმინდეების შეურაცხყოფაში, უხამსობაში, ინგლისელი ერის ღირსების შელახვაში დაადანაშაულეს და მისი შოუების გარკვეული ეპიზოდების ჩვენება აიკრძალა კიდეც. ეს მოხდა მარგარეტ თეტჩერის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში. როცა ქვეყნის სათავეში ტონი ბლერი მოვიდა, მან ბენი ჰილის რეაბილიტაცია სცადა. 1997 წელს ბლერმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ბრიტანული კანონის "ახალი, ღია ეპოქა" იწყებოდა. ამ პრესკონფერენციაზე ბენი ჰილის აკრძალული შოუების საკითხიც განიხილეს.

კომიკოსთა დიდი ნაწილის მსგავსად, ბენი ჰილი ცხოვრებაში სულაც არ ყოფილა ისეთი მხიარული და უდარდელი, როგორც ის ეკრანზე ჩანდა. ერთი პერიოდი ღრმა დეპრესიაშიც კი ჩავარდა: მობეზრდა ყველაფერი: გაუთავებელი ბრალდებები, პოპულარობა, ისიც, მის დანახვაზე ქუჩაში სიცილით რომ კვდებოდნენ...

რაც არ უნდა გააკრიტიკო ბენი ჰილის ცნობილი, ზოგჯერ სკანდალური შინაარსის ტელეგადაცემები, რეალობას მაინც ვერ აუვლი გვერდს: ხალხი დღემდე გულიანად იცინის ბენი ჰილის შოუზე...

ბრიტანელი კომიკოსი **ბენი ჰილი** 1925 წლის 21 იანვარს დაიბადა, გარდაიცვალა 67 წლის ასაკში, 1992 წელს, სწორედ იმ დროს, როცა კომიკოსი ამერიკულ ტურნეს გეგმავდა.



# არ ჩერდება დრო ნოა-ნოაში

## დებიუტანტთა და ვარსკვლავთა დუეტის პრემიერა

ვერა ნეფარიძე

ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, კლუბმა "ნოა-ნოამ" უკვე მოასწრო თბილისელთა ცხოვრებაში დამკვიდრება. გუშინდელი ღამიდან ის კიდევ ორი ახალგაზრდა შემსრულებლისთვის გახდა მნიშვნელოვანი - ირაკლი და თორნიკე გულაშვილებმა ქართულ სცენაზე დასამკვიდრებლად "ნოა-ნოაში" პირველი სერიოზული განაცხადი გააკეთეს.

"ჯაზ-ლენდის" მომღერლებმა დიდ სცენაზე გასასვლელად მაია ბარათაშვილთან თანამშრომლობა არჩიეს, არც დანარჩენ პარტნიორებზე უფიქრიათ ბევრი: კლიპის რეჟისურაც, ტექსტისა და მუსიკის ავტორობაც ქართულ შოუ-ბიზნესში კარგად ნაცნობ ხალხს მიანდეს.

"როდესაც რუსა მორჩილაძემ დაგვიწერა სიმღერა, კარგი გამოვიდა, მოგვეწონა და გადავწყვიტეთ, ვინმე პროფესიონალ მომღერალთან ერთად გვემღერა, რომ ბავშვებიც გამოჩენილიყვნენ. მაიამ როდესაც გაიგო, რომ ბავშვებს კარგი სიმღერა აქვთ, დიდი სიამოვნებით დაგვთანხმდა", - დუეტის პრეისტორიას გვიყვება ნორჩი ჯაზმენების მამა, დათო გულაშვილი, რომელიც, პარალელურად, ბიჭების მენეჯერობასაც ითავსებს. ახლად ჩაწერილი სიმღერის შემოქმედებითი გუნდის შესავსებად სიმღერის ავტორებმა და შემსრულებლებმა კლიპმეიკერადაც ცნობილი რეჟისორი მიიწვიეს და არც უნანიათ – გუშინ ისინი ზაზა ორაშვილის ნამუშევრისადმი კმაყოფილებას ვერ მალავდნენ. სიმღერის არანჟირების ავტორი, ზურა მახნიაშვილია. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ გუშინდელმა საპრემიერო ნამუშევარმა თავიდან, მახნიაშვილისეული არანჟირებით, უცნობისა და "მწვანე ოთახის" დუეტი გამახსენა.

"არ ჩერდება დრო" პირველად რამდენიმე თვის წინათ დატრიალდა რადიოეთერში. თავად სიმღერა კი შესულია ავტორის, რუსუდან მორჩილაძის ბოლო ალბომში. არც ბავშვები - ირაკლი და თორნიკე გულაშვილები, არიან გამოუცდელი შემსრულებლები. ისინი ხუთი წელიწადია, ლალი ბერიძის "ჯაზლენდში" მღერიან; შარშან ზაფხულში ამერიკაში მონაწილეობა მიიღეს შემსრულებელთა ერთ-ერთ დათვალიერებაზე, სადაც თურმე ექსპერტთა საკმაოდ მაღალი შეფასებებიც დაიმსახურეს. აქამდე გულაშვილებს გადაღებული ჰქონდათ ოთხი მუსიკალური ვიდეორგოლი, რომელიც ერთ-ერთი ქართული ტელეარხის ეთერში ერთი წლის განმავლობაში გადიოდა. ასე რომ, ბავშვები პროფესიონალთა გარკვეული წრის ყურადღების ცენტრშიც იყვნენ. გუშინდელი პრეზენტაცია კი მათი დამსახურებაცაა, ვინც გულაშვილების მამასა და მენეჯერს არწმუნებდა, რომ ბავშვების საჯარო გამოჩენის დრო იყო.

"ეს ბავშვები, დაახლოებით, სამიოთხი თვის წინათ ლალი ბერაძემ მომასმენინა. ისინი ინტენსიურად მუშაობენ, რაც დღეს ნაკლებად ხდება. ბავშვები ხომ, ძირითადად, სიმღერებს იწერენ და მერე ხმას აღარ ამუშავებენ. ირაკლიმ და თორნიკემ ამ მხრივაც მომხიბლეს. თანაც ისინი საკმაოდ კარგად მღერიან", - მითხრა ჯაზის ცნობილმა შემსრულებელმა, მაია ბარათაშვილმა. გულაშვილებთან თანამშრომლობით მას მესამე ვიდეოკლიპი შეემატა (პირველი ორი მერაბ სეფაშვილთან და ლელა წურწუმიასთან შესრულებულ დუეტებზეა გადაღებული).

ირაკლი და თორნიკე გულაშვილებმა თავიანთ შესაძლებლობაში გუშინ "ნოა-ნოას" საკმაოდ მრავალრიცხოვანი პუბლიკაც დაარწმუნეს. მსგავსი პრეზენტაციებისგან განსხვავებით, კლუბში ახალმა ტრიომ იგივე სიმღერა ("არ ჩერდება დრო") ცოცხლადაც შეასრულა; ამას ბავშვების მცირე საკონცერტო რეპერტუარი მოჰყვა. სიმღერებს შორის იყო: Rockin' Robin, ჯექსონის ბავშვობისდროინდელი რეპერტუარიდან და დეივ ბრუბეკის Take a five. ამ უკანასკნელზე ისინი ჯაზ-ქორალთან ერთად მუშაობენ და ეს ირაკლი და თორნიკე გულაშვილების მორიგი პროექტია. ასე რომ, ახალგაზრდა მომღერლები კიდევ ერთხელ შეახსენებენ თავს საზოგადოებას.

# თეთრი სახლიდან - თბილისის საოპერო თეატრამდე

## ლევან შენგელიას ქართულ-ამერიკული ბენდი თბილიში გრანდიოზულ შოუს მოაწყობს

მადი სერებრიაკოვა

ამერიკაში ბედის საძიებლად წასულ ქართველებზე ყველას ბევრი გვსმენია, მაგრამ ძიებას რომ შესაბამისი შედეგიც მოჰყოლოდა, ამის მაგალითი ბევრი არ არის. დასავლეთში ფეხმოკიდებულ, იშვიათ ქართველ მუსიკოსებს შორის, შესაძლოა, სამშობლოში ნაკლებად ცნობილი ქართველი კომპოზიტორი და პიანისტი, ლევან შენგელია დავასახელოთ. მისი მესამე ალბომი შემოდგომაზე გამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა საქართველოში დაპირებული რეალიზაცია ჯერაც არ დაწყებულა. მიუხედავად ამისა, ამერიკიდან დაბრუნებული შენგელია თბილისში, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, აპრილის ბოლოს გრანდიოზულ შოუს გეგმავს, რომელშიც, მისი მრავალეროვანი შემადგენლობის ამერიკული ბენდის გარდა, ქართველი კოლეგებიც მიიღებენ მონაწილეობას. ამ დღეებში ლევან შენგელია და მისი ქართველი მენეჯერი, გიორგი ოქრიაშვილი "24 საათის" სტუდიაში გახლდნენ სტუმრად.

შენგელია ა.შ.შ-ში თერთმეტი წლის წინათ გაემგზავრა - თავდაპირველად სწავლის გაგრძელების მიზნით. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საკომპოზიციო ფაკულტეტის (ბიძინა კვერნაძის კლასში) დამთავრების შემდეგ მან ჰარდფორდის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია (PHD), შემდეგ მაიამიში გადავიდა, სადაც მუსიკალური პროექტების განსახორციელებლად კომპანია McInvestment-თან დადო ხელშეკრულება. კონტრაქტის შედეგად შენგელიამ შტატებში ბენდის ჩამოყალიბება და საკუთარი მუსიკის ჩაწერა შეძლო. შედეგად, მისი სამი ალბომი შეიქმნა. შემოდგომაზე ლევან შენგელია კონცერტებს ვაშინგტონშიც მართავდა. აქ მისი ალბომის პრეზენტაციას ლათინურ-ამერიკული მუსიკის ვარსკვლავი, გლორია ესტეფანიც დაესწრო და მას წარმატებაც უწინასწარმეტყველა.

პირველი ალბომი შენგელიამ ძალზედ მცირე ტირაჟით დაბეჭდა. ეს ალბომი, ფაქტობრივად, არ გასცილებია მისი პირადი ინიცატივის ფარგლებს და გაყიდვაშიც არ გამოსულა. სამაგიეროდ, მეორე ალბომი, რომელსაც მისმა მექსიკელმა პროდიუსერმა, მიგელ ჩაბრამ, კეთილხმოვანებიდან გამომდინარე, ავტორისავე სახელი "ლევან" დაარქვა, 2-მილიონიანი ტირაჟით გამოიცა და, ძირითადად, ა.შ.შ.-ში, კანადაში და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში გაიყიდა. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა შენგელიას ჯგუფის საბოლოო სახე, სადაც, ქართველისა და ამერიკელის გარდა, იაპონელი, კოლუმბიელი, იტალიელი, ვენესუელელი, პუერტორიკოელი და არგენტილი მუსიკოსები უკრავენ. სხვათა შორის, ბოლო ალბომში ცნობილი, ქართული ფოლკლორული ანსამბლის, "გეორგიკას" წევრებიც იღებენ მონაწილეობას. ამავე დროს, განისაზღვრა ჯგუფის სტილისტიკაც: ქართულ და ლათინურ-ამერიკულ ეთნო-მუსიკის ელემენტებზე დაყრდნობით, მათ ნიუ-ეიჯის საინტერესო, მსუბუქი და დინამიური სახე შემოგვთავაზეს.

მიუხედავად ამერიკაში საკმაოდ წარმატებული მუშაობისა, ლევან შენგელია ასეთ ორიგინალურ შემადგენლობაზე გაჩერებას არ აპირებს. ამჟამად, თბილისური შოუს მოსამზადებლად ჩამოსული მუსიკოსი საქმეში ქართული ძალების ჩართვაზე ზრუნავს. როგორც გაირკვა, იგი არც ცნობილ სახელებსა და ქართველ ვარსკვლავთა კონტიგენტზე აპირებს აქცენტის გაკეთებას. ამერიკიდან დაბრუნებულს ქართული ესტრადის უხარისხობა და უგემოვნობა განსაკუთრებით თვალშისაცემი ეჩვენა. ასეთი პოპულარული პლაგიატიზმი კი (ქართული ესტრადა ხომ, ძირითადად, ევროპული და ამერიკული ჰიტების ქართული თარგმანებით საზრდოობს), უბრალოდ, კრიმინალად მიაჩნია. თავად შენგელია თბილისში მხოლოდ ორიგინალური პროგრამით ჩამოვა. კონცერტი მისი მესამე ალბომის In the Presence of Love-ის ქართული პრეზენტაციაც იქნება.


ლევან შენგელია

ქართული შოუს იდეა შენგელიას დიდი ხანია აწუხებდა, თუმცა ამისთვის შესაფერისი თანხების მოპოვება პრობლემასთან იყო დაკავშირებული: **"ამერიკაში საქართველო ტერორისტების ქვეყანად ითვლება. როგორც კი ლაპარაკი ჩამოვარდებოდა საქართველოში ჩამოსვლაზე, ჩემი პროდიუსერი გადაშლიდა გაზეთებს და საშინელი მაგალითები მოჰყავდა საქართველოს შესახებ. ფინანსურად ხელსაყრელ პროექტზე ხომ ლაპარაკიც არ იყო. ფინანსები, ცხადია, ახლაც არაფერ შუაშია. ოპერაში დაგეგმილი კონცერტი, შეიძლება, სულაც საქველმოქმედო იყოს"**.

ქართული შოუს განხორციელებას პოლიტიკურ და სახელოვნებო წრეებში დიდი გავლენის მქონე ბიზნესმენთან, ბეატრის ბრუდისთან შეხვედრაზე ჩაეყარა საფუძველი. ბრუდის მიწვევით, ლევან შენგელიამ ამერიკის პოლიტიკურ წრეებში გამართა სოლო-კონცერტები, მათ შორის ერთ-ერთს პრეზიდენტი ბუშიც დაესწრო. ეს ყოველივე ქართული ეთნო-მუსიკის პოპულარიზაციისკენ იყო მიმართული. საბოლოოდ, პროდიუსერიც დათანხმდა საქართველოში შოუს მომზადება გაერისკა.

ამრიგად, აპრილში დაგეგმილი პროექტის განხორციელება სულ მალე დაიწყება.

მართალია, ლევან შენგელია მომავალი ღონისძიების საიდუმლოს ბოლომდე არ ამხელს, მაგრამ პირობას იძლევა, რომ, გრანდიოზული შოუს მოწყობის გარდა, თბილისში ისეთი რანგის სტუმრებსაც დაპატიჟებს, როგორებიც დიდი ხანია, საქართველოს არ სწვევიან.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# ფერგიუსონი იერიშისთვის ემზადება


მარსელო სალასი

*ჩილელი ფორვარდის გადაბირების მსურველი ალექს ფერგიუსონი საწადელის ასასრულებლად გადამწყვეტი იერიშისთვის ემზადება. "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცს სურს, საქმე ახლავე მოაკვარახჭინოს, რათა გულშემატკივრებმა თებერვლიდან "მანჩესტერისთვის" მოთამაშე სალასი იხილონ.*

პაატა თოთაძე

ფერგიუსონის სურვილი, რუუდ ვან ნისტელროის თავდასხმაში მარსელო სალასი შეუწყვილოს, დიდი ხანია, ცნობილია საზოგადოებისთვის. "მანჩესტერის" თავკაცის მთავარი საზრუნავი ბოლო დროს საკმაოდ გაძლიერებული ლონდონის "არსენალის" დამარცხებაა. შარშან სწორედ ლონდონელებმა წაართვეს პირველობა "იუნაიტედს" და წლევანდელ სეზონშიც უკეთ ასპარეზობენ. მეტოქის დასამარცხებლად, უპირველესად, გოლების გატანაა საჭირო. ამ მხრივ კი უკეთეს მდგომარეობაშია "არსენალი", რომელსაც დღევანდლამდე გამართულ მატჩებში მეტოქეზე 24 გოლით მეტი აქვს გატანილი. სწორედ ეს აშფოთებს ალექს ფერგიუსონს და მარსელო სალასის შეძენაც ამიტომ სურს.

"მარსელო ჩინებული ფეხბურთელია. რაც მთავარია, გოლის გატანა ეხერხება, ანუ, ისეთი ფეხბურთელია, რომელიც ჩვენ კლუბს ახლა სჭირდება", - განაცხადა ფერგიუსონმა. 18 თვის წინ "ლაციოდან" "იუვენტუსში" 8,3 მილიონ გირვანქად გადასულმა სალასმა ვერაფრით მოიპოვა ტურინული კლუბის ხელმძღვანელობის ნდობა. მართალია, ამაში უმძიმესმა ტრავმამაც შეუშალა ხელი, მაგრამ ლიპის კეთილგანწყობა ჩილელმა ფორვარდმა ვერც გამოჯანმრთელების შემდეგ დაიმსახურა.

სალასის საქმეში სანახავად და მისი ამჟამინდელი ფორმის გასარკვევად ალექს ფერგიუსონმა თავისი ძმა, "იუნაიტედის" მთავარი სკაუტი მარტინი გაგზავნა ვერონაში, სადაც, იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში, "კიევომ" ტურინის "იუვენტუსს" უმასპინძლა. სტუმრებმა კი გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით, მაგრამ მარტინი ტყუილად ჩავიდა ვერონაში, რადგან სალასი, როგორც ხშირად ხდება, სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

მიუხედავად ამისა, ფერგიუსონი ფორვარდის შესაძლებლობაში დარწმუნებულია და გადამწყვეტი მოქმედებებისთვის ემზადება, რათა ჩილელი "ოლდ ტრაფორდზე" იხილოს. ფორვარდის გაყიდვის წინააღმდეგი არც ტურინული კლუბია, რომელიც, ახლად გამოჯანმრთელებული სალასის სანაცვლოდ, 3 მილიონ გირვანქას ითხოვს.

## ისტორიული ფოტო

## ეს იყო 37 წლის წინათ...


1966 წლის 21 მარტი. ლონდონი.
FIFA-ს პრეზიდენტი, სერ სტენლი როუზი
"ჟიულ რიმეს" თასით ხელში.

# რა აკლია რონალდოს იმისთვის, რომ პელე გახდეს?

### კარლოს ალბერტო პარალელებს ავლებს პელესა და რონალდოს შორის

*რონალდოზე ჯერ კიდევ 10 წლის წინათ ალაპარაკდნენ, როგორც მომავალ პელეზე. მაშინ ის ჯერ კიდევ ბრაზილიის "კრუზეიროში" თამაშობდა. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ის ნაკრების შემადგენლობაში იყო, მაგრამ არც ერთი წუთი არ უთამაშია. მიუხედავად ამისა, ყველა ამბობდა, რომ საქმე ფენომენთან გვქონდა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. რონალდომ უკვე მსოფლიოს სამ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა, უდიდეს წარმატებებს მიაღწია და უამრავი სიძნელეც გადალახა. გასული წლის ბოლოს, 17 დეკემბერს, ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი რონალდო მესამედ დაასახელეს პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად. მიუხედავად იმისა, რომ რონალდომ ყველა მოლოდინი გაამართლა, ფეხბურთის მეფე, პელე, კვლავინდებურად, თავის ტახტზეა. მაინც რა აკლია რონალდოს იმისთვის, რომ პელეს გაუტოლდეს? გაზეთი "24 საათი" გთავაზობთ ცნობილი ბრაზილიელი მცველის, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონის, კარლოს ალბერტოს მოსაზრებას ამ თემაზე. პელეს თანაგუნდელი და მეგობარი პელეს და რონალდოს ერთმანეთს ადარებს.*


*კარლოს ალბერტო მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონის, ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი იყო. ის 13 წლის განმავლობაში თამაშობდა პელეს გვერდით. მასზე უკეთ, ალბათ, არავის შეუძლია პელესა და რონალდოს შორის პარალელების გავლება.*

"ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ მქონდა საშუალება, მრავალი წლის მანძილზე პელეს გვერდით მეთამაშა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ არც ერთი სხვა ფეხბურთელი არ იცნობს მას ისე კარგად, როგორც მე", - ამბობს კარლოს ალბერტო.

**თავით ამაში:** "ამ კომპონენტში პელეს აშკარა უპირატესობას ვხედავ. მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლით არ გამოირჩეოდა (172 სმ.), ბევრი გოლი გაჰქონდა თავით. მას შეეძლო, ძალიან მაღლა ამხტარიყო, თანაც, ამას ყოველთვის დროულად აკეთებდა. ამ მხრივ რონალდომ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს".


რონალდო და პელე

**დარტყმა:** "პელე ორივე ფეხით თანაბრად კარგად თამაშობდა. მარცხენა ფეხით ის ისევე ზუსტად და ძლიერად ურტყამდა, როგორც მარჯვენით. რონალდოც კარგად თამაშობს ორივე ფეხით, თუმცა, მარჯვენას მაინც უკეთ აკონტროლებს".

**სისწრაფე:** "სისწრაფე რონალდოს უდიდესი კოზირია. ის უსწრაფესია როგორც უბურთოდ, ისე ბურთით თამაშისას. პელეც სწრაფი იყო, მაგრამ, ალბათ, არა ისეთი ფეთქებადი, როგორიც რონალდოა".

**დრიბლინგი:** "რონალდოს შესანიშნავი დრიბლინგი და სოლო-გარღვევები აქვს, მაგრამ ამ დროს ის ხშირად იყენებს თავის სისწრაფეს. პელეს კი დიდი სიჩქარის გარეშეც შეეძლო მოწინააღმდეგის ჩამოშორება. ის უფრო არაპროგნოზირებადი იყო".

**თამაშის მანერა:** "პელე არ იყო საჯარიმო მოედნის მოთამაშე - ხშირად იხევდა უკან და შეტევებს მოედნის სიღრმიდან იწყებდა. ეს განუმეორებელი იყო. პელე კარგი დირიჟორიც გახლდათ. მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რომელ ჩვენგანს გაჰქონდა გოლი. პელეს ყველა მათგანში მიუძღოდა თავისი წვლილი. რონალდო კი უშუალოდ გოლის გატანაზეა კონცენტრირებული".

**დატვირთვა:** "რონალდო, მთელი მატჩის განმავლობაში, 3-4 მომენტს ელოდება, პელე კი, პირიქით, – ეს იყო ფეხბურთი მთელი 90 წუთის მანძილზე. ის ბევრს მოძრაობდა და სულ ჩართული იყო თამაშში".

**აქტიურობა:** "რონალდო ზედმეტად არასოდეს აქტიურობს. ის მხოლოდ მაშინ იწყებს ბრძოლას, როდესაც თანაგუნდელები საკმარისი რაოდენობის პასებით ვერ ამარაგებენ. მისი სტილი უფრო პრაგმატულია, ვიდრე პელეს მანერა".

**ლიდერის მონაცემები:** "პელე ავტორიტეტად არის დაბადებული. მოედანზე ის ბევრს საუბრობდა, თამაშის დირიჟორი იყო, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ყოფილა ჩვენი ნაკრების კაპიტანი. რონალდო არ არის ლიდერი".

**ტაქტიკა:** "ამ კომპონენტში ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ. ასეთი დონის ფეხბურთელებს ტაქტიკურ სქემებს ვერ მოარგებ, რადგან ეს სქემები სწორედ მათ თამაშზეა მორგებული".

**პოპულარობა:** "ამ ასპექტში რონალდოს აშკარა უპირატესობა აქვს. ის ადრეულ ასაკში გადავიდა ევროპაში. იქ კი უფრო პროფესიულად უდგებიან საქმეს. ფეხბურთელის შედეგები და მიღწევები ევროპაში ყველაზე კარგად შუქდება, რაც მის პოპულარობასაც ზრდის. სწორედ ამიტომაა, რომ რონალდო უკვე სამჯერ აირჩიეს პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად. ის რომ ბრაზილიაში დარჩენილიყო, ამ ტიტულს ვერასოდეს მოიპოვებდა. ჩვენ ყოველთვის მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელები გვყავდა, მაგრამ პლანეტის უძლიერესი მოთამაშის წოდება მხოლოდ რომარიოს და რონალდოს ხვდათ წილად, სწორედ იმიტომ, რომ ისინი ევროპაში თამაშობდნენ.

პელეს უპირატესობა კი ის არის, რომ ის მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი ფეხბურთელია, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს უთამაშია ევროპულ კლუბში. ეს რომ გაეკეთებინა, მას, ალბათ, ღმერთადაც მონათლავდნენ".

**ხასიათი:** "მის გარშემო ატეხილი უზარმაზარი აჟიოტაჟის მიუხედავად, პელე ნორმალურ, მეგობრულ ადამიანად დარჩა. ისევე როგორც რონალდოს, პელესაც ჰქონდა უნიკალური თვისება, გულშემატკივართა მოლოდინსა და გაუსაძლის ზეწოლას მასზე არ ემოქმედა. რონალდომაც შეინარჩუნა თავისი პირვანდელი სახე და ადამიანობა".

### კარლოს ალბერტოს დასკვნა:

"რონალდოს კოზირები, პირველ რიგში, მისი სისწრაფე და, ნაწილობრივ, გრანდიოზული ტექნიკაა. მაგრამ პელე უფრო სრულყოფილი ფეხბურთელი იყო. მას უკეთესი დარტყმა, ძალა, თავით თამაშის უნარი ჰქონდა. მას, უბრალოდ, ყველაფერი შეეძლო. არასოდეს მინახავს, პელეს რაიმე არასწორად გეკეთებინა. რონალდო ექსტრაკლასის მოთამაშეა, მე ის ძალიან მომწონს. მაგრამ მაინც ვერ შევიყვან იმ "უცხოპლანეტელთა" სიაში, რომელშიც პელე, გარინჩა, კრუიფი, მარადონა და ბეკენბაუერი შევიყვანე. წარმოიდგინეთ, რა გამოვიდოდა პელესგან, დღევანდელ პირობებში რომ ევარჯიშა! "სანტოსის" შემადგენლობაში თამაშისას, ბევრს ვმოგზაურობდით, კვირაში, დიდიდიდი, ოთხჯერ ვვარჯიშობდით.

არა, იმას, რაც პელემ გააკეთა, ველარავინ გაიმეორებს. ასეა სხვა სფეროებშიც. კიდევ უამრავი მომღერალი გაჩნდება, რომელთაც არაჩვეულებრივი ხმა ექნებათ, გაყიდიან მილიონობით ალბომს, მაგრამ მეორე ფრენკ სინატრა აღარ დაიბადება – ის ერთადერთი და განუმეორებელი იყო.

არ შეიძლება, რონალდო ფეხბურთის მეფესთან შევადაროთ. პელე განსაკუთრებული და განუმეორებელი ბიჭია - ფეხბურთელის, ადამიანის, ლეგენდისა და საუკეთესო მეგობრის უნიკალური სინთეზი".

*ჟურნალი* **Sport Bild** *(გერმანია)*

# ხიზანიშვილისთვის ბრძოლაში „სანდერლენდი" აქტიურობს

*არა და არ წყდება საუბარი იმაზე, თუ სად გააგრძელებს კარიერას საქართველოს ნაკრებისა და შოტლანდიის "დანდის" მცველი ზურაბ ხიზანიშვილი. ქართველი ფეხბურთელის მიმართ დაინტერესებას არაერთი ევროპული კლუბი იჩენს. საბოლოოდ ყველაფერი, სავარაუდოდ, ამ კვირას უნდა გაირკვეს.*

პაატა თოთაძე

შოტლანდიური კლუბი ამჟამად ტრინიდადშია შეკრებაზე და ხიზანიშვილიც, ბუნებრივია, კლუბთან ერთადაა. "დანდის" ხელმძღვანელობა არაფერს იშურებს, რომ ქართველ მცველთან ახალი, სულ მცირე, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმოს, მაგრამ საწადელს ვერაფრით აღწევს. "კლუბში დარჩენა აღარ მსურს. არა იმიტომ, რომ ვინმესთან კონფლიქტი მაქვს ან თავს ცუდად ვგრძნობ, უბრალოდ, უფრო მაღალი კლასის გუნდში მინდა გადასვლა", - არცთუ დიდი ხნის წინ განაცხადა ხიზანიშვილმა.

ერთხანს მის მიმართ დაინტერესებას იჩენდა მილანის "ინტერიც". იჩენდაო, ვთქვით, რადგან ბოლო დროს იტალიელები ძველებურად აღარ აქტიურობენ. ინტერესი სულ გაუქრათო, ვერც იმას ვიტყვით, მაგრამ, ჩანს, მილანელებს მისი უფულოდ გადაბირება სურთ და ზაფხულს უცდიან, როცა ზურაბს "დანდისთან" კონტრაქტის ვადა გასდის. დაახლოებით იგივე სიტუაციაა "რეინჯერსთან" დაკავშირებითაც. შოტლანდიურ გრანდს ქართველის უფულოდ გადაბირება სურს და ისიც, იტალიელებისა არ იყოს, ზაფხულის მოლოდინშია. "ინტერში" გადასვლა ხიზანიშვილისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნება, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამჟამად ყველაზე მეტად ინგლისური "სანდერლენდი" აქტიურობს და მზადაა, ქართველი მცველის სანაცვლოდ, გარკვეული თანხაც გაიღოს. ასეთ შემთხვევაში "დანდის", ხიზანიშვილის სანაცვლოდ, რაღაც თანხა მაინც შეხვდება და, ალბათ, დათანხმდება კიდეც მის ინგლისში გაშვებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, "დანდი", ქართველი მცველის სანაცვლოდ, ვერაფერს მიიღებს.

ამ გაურკვევლობას კვირის ბოლოს დაესმება წერტილი. შოტლანდიელები ხვალ დაბრუნდებიან ტრინიდადიდან და ფეხბურთელსა და კლუბს შორის მოლაპარაკება განახლდება.

# საქართველოს ჩემპიონი თანამეგობრობის თასს უმიზნებს

მიხეილ აბაიშვილი

თანამეგობრობის თასზე მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება, რაც დაძაბული სპორტული ბატალიებისა და მოულოდნელი, ამოუცნობსიუჟეტიანი მატჩების დამსახურება კი არ არის, არამედ... უფულობის. დიახ, სწორედ ამ მიზეზით, იმის გამო, რომ ტურნირმა გენერალური სპონსორი დაკარგა (რომელსაც, იმის გარდა, რომ გუნდების მასპინძლობის ხარჯები უნდა გაეღო, 100 ათასი დოლარის საპრიზო ფონდსაც აწესებდა), ტურნირი შემჭიდროებულ ვადებში მიმდინარეობს. ორგანიზატორებმა - რუსეთის საფეხბურთო კავშირმა და რუსეთის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა - "იტერას" შემცვლელი ვერ გამონახეს. ამიტომაც, საორგანიზაციო ხარჯების გაღება თავად უწევთ, თუ არ ჩავთვლით მოსკოვის მერიის მცირე ფინანსურ მხარდაჭერას. ეს უწყებები კი "იტერას" მსგავსი ფინანსური წელგამართულობით ვერ დაიკვეხნიან. ამიტომაც, მონაწილეებსაც და ტურნირის ვადებსაც ქამარი მჭიდროდ შემოუჭირეს. ყველა სტუმარი გუნდი ერთ სასტუმროში – "კოსმოსშია" განთავსებული. გუნდებს ქვეჯგუფის მატჩების ჩატარება საჩოგბურთო გრაფიკით, ზედიზედ ორი დღის განმავლობაში მოუწიათ და დასკვნითი ტურის წინ მხოლოდ ერთდღიანი დასვენება აქვთ.

მეორე ტურის შეხვედრებმა უკვე გამოავლინა რამდენიმე მეოთხედფინალისტი. ჯერჯერობით, მათ რიცხვში ვერ მოხვდა საქართველოს ჩემპიონი, ქუთაისის "ტორპედო", თუმცა, მათ ამის ბრწყინვალე შანსი აქვთ. ამიტომაც, ტურის მიმოხილვას სწორედ ჩვენი თანამემამულეების მიერ ჩატარებული მატჩით დავიწყებთ, მით უმეტეს, რომ მოწინააღმდეგედ "ტორპედოს" რუსეთის ჩემპიონი, "ლოკომოტივი" ჰყავდა. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი ევროპის ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ტურნირისთვის ემზადება და, ამის გამო, ძირითადი შემადგენლობა საფრანგეთში გადის საწვრთნელ შეკრებას. შესაბამისად, ქუთაისელებს "ლოკომოტივის" დუბლშემადგენლობა დაუპირისპირდა.

თამაში სტუმართა აქტიურობით დაიწყო და უკვე მეცამეტე წუთზე იონანიძემ ტურნირში თავისი მეორე, მატჩში კი პირველი გოლი გაიტანა. გოლის შემდეგ მასპინძლები დაეუფლნენ უპირატესობას და რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს. რომ არა გია ჭანტურიას კარგი თამაში, რომელმაც ორჯერ ურთულესი დარტყმის მოგერიება შეძლო, "ლოკომოტივი" სწრაფადვე შეძლებდა ანგარიშში წონასწორობის აღდგენას. თუმცა, რუსებმა საწადელს მაინც მიაღწიეს: 41-ე წუთზე მათმა იუგოსლაველმა ლეგიონერმა, ვუჩიჩევიჩმა, ლამაზად და ფილიგრანულად დაარტყა - ბურთი ჭანტურიას კარის მარცხენა "ცხრიანის" გავლით ბადეში გაეხვია.

მეორე ნახევარში ისევ სტუმრებმა იძალეს და 70-ე წუთზე, კუთხურიდან ჩამოწოდების შემდეგ, მალხაზ ასათიანმა კვლავ "ტორპედო" დააწინაურა. საკვანძო მომენტი 10 წუთში დადგა: მასპინძელთა საჯარიმოში შეჭრილი პოროშინი უხეშად მოცელეს, მაგრამ მსაჯმა მასპინძლები არ გაწირა და პენალტი არ დანიშნა, რასაც მაშინვე "ლოკომოტივის" საგოლე შეტევა მოჰყვა: მიკუცკისმა თავური დარტყმით კიდევ ერთხელ აღადგინა სტატუს კვო. დარჩენილ დროში გოლი აღარ გასულა.

ქვეჯგუფის მეორე მატჩში ყაზახეთის "ირტიშმა" მეზობელი - ყირგიზეთის ჩემპიონი, "სკა" დაამარცხა (2:1) და მეოთხედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნა. გადამწყვეტ ტურში "ტორპედოს" სწორედ "ირტიშთან" უწევს დაპირისპირება და მიზნის მისაღწევად ფრეც ხელს აძლევს, შუააზიელებს კი მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროება.

სენსაცია მეორე ტურშიც შედგა: ფავორიტმა, დონეცკის "შახტარმა", ვერც მეორე მატჩში შეძლო გამარჯვება. ის კი არა, წაგებას ბოლო წუთებზე ძლივს გადაურჩა: ლიტვის "კაუნასთან" შეხვედრაში სწორედ ბალტიისპირელებმა გახსნეს ანგარიში. საპასუხო გოლი მეშახტეებმა მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე გაიტანეს. ამ ქვეჯგუფში "კაუნასმა" და "ფახთაქორმა" 4-4 ქულა დააგროვეს და მეოთხედფინალში გასასვლელად ბოლო ტურში ფრეც აძლევთ ხელს. თუ იმასაც ვიტყვით, რომ ბოლო ტურში სწორედ "კაუნასი" და "ფახთაქორი" ხვდებიან ერთმანეთს, გასაგები გახდება: ერთქულიან "შახტარს" მეოთხედფინალის საგზურის მოპოვების მხოლოდ თეორიული შანსი დარჩა. მეორე ტურის შედეგ მოსკოვში ტურნირზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა ქუთაისის "ტორპედო" ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად აღიარეს. კარგი იქნება, თუ ქუთაისელები გაამართლებენ ამ პროგნოზს.

გადამწყვეტი მატჩები დღეს გაიმართება.

რაგბი

# ქართველები HEINECKEN-ის გარეშე დარჩნენ

პაატა თოთაძე

შაბათ-კვირას გამართული მატჩებით დასრულდა Heinecken-ის თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი. რაგბის ქართველ გულშემატკივართათვის სამწუხაროდ, ის კლუბები, რომლებშიც ქართველი ლეგიონერები თამაშობენ, შემდგომ ეტაპზე ვერ გავიდნენ. ერთადერთი გუნდი, რომელშიც ქართველი მორაგბე თამაშობს და რომელმაც წარმატებას მიაღწია, ფრანგული "ბიარიცია". მის ღირსებას საფრანგეთის ნაკრების წევრი დიმიტრი იაშვილი იცავს.

მიუხედავად ამისა, მეოთხედფინალებში საფრანგეთი ყველაზე მეტი გუნდითაა წარმოდგენილი. ოთხგუნდიანი ექვსი ჯგუფიდან შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლებას იღებდნენ ჯგუფების გამარჯვებულები და კიდევ მეორე ადგილზე გასული ექვსი გუნდიდან ორი საუკეთესო. "ქართულმა" კლუბებმა ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ წინა ტურში დაკარგეს, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მაინც გასაკვირი იყო "ბეზიეს" საშინაო მარცხი იტალიურ "კალვიზანოსთან". მასპინძლებს ვერც ვანო ნადირაძის ლელომ და ვერც გონსალო კესადას სამმა საჯარიმო დარტყმამ უშველა. მატჩის განმავლობაში იტალიელები 6:13-ს აგებდნენ, მაგრამ სტუმართა დამრტყმელის, ჯერარდ ფრასერის წყალობით, გაიმარჯვეს.

მოგების მიუხედავად, ჯგუფიდან ვერ გავიდა ლევან ცაბაძისა და დათო აშვეთიას "მონფერანი". ფრანგებმა ჯერ კიდევ წინა ტურში დაკარგეს ჯგუფიდან გასვლის შანსი, როდესაც საკუთარ მოედანზე წააგეს "ბრისტოლთან". ასე რომ, "სუონსთან" გამარჯვება ერთგვარი ნუგეში თუ იქნება ფრანგებისთვის.

"ბიარიცმა" კი, როგორც იქნა, გააღწია მომდევნო ეტაპზე. საფრანგეთის ჩემპიონმა "კარდიფი" გაანადგურა საკუთარ მოედანზე (75:25) და ბურთების უკეთესი სხვაობით გაასწრო "ალსტერს".

*12 აპრილს, მეოთხედფინალურ მატჩებში, ერთმანეთს შეხვდებიან:*

**ტულუზი – ნორსჰემპტონი**
**ლესტერი – მანსტერი**
**ლეინსტერი – ბიარიცი**
**ლანელი – პერპინიანი**

ჩოგბურთი

# მთავარი სენსაცია: ჰიუიტი ტურნირს დაემშვიდობა!

***მელბურნი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი - "დიდი სლემის" ტურნირი. საპრიზო ფონდი 12 004 900 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონები: ვაჟებში - ტომას იუჰანსონი (შვედეთი), ქალებში - ჯენიფერ კაპრიატი (აშშ). მეოთხე წრე.***

**ვაჟები**

იუნეს ელ აინაუი (მაროკო, 18) - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 1) 6:7 (4:7), 7:6 (7:4), 7:6 (7:5), 6:4

რაინერ შუტლერი (გერმანია, 31) - ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 23) 6:3, 6:4, 1:6, 6:3

ენდი როდიკი (აშშ, 9) - მიხაილ იუჟნი (რუსეთი, 25) 6:7 (4:7), 3:6, 7:5, 6:3, 6:2

დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 10) - როჟე ფედერერი (შვეიცარია, 6) 6:4, 3:6, 6:1, 1:6, 6:3

**ქალები**

სერენა უილიამსი (აშშ, 1) - ელენი დანილიდუ (საბერძნეთი, 18) 6:1, 6:4

კიმ კლიისტერსი (ბელგია, 4) - ამანდა კეტცერი (სარ, 19) 6:3, 6:1

ანასტასია მისკინა (რუსეთი) - ჩანდა რუბინი (აშშ) 4:6, 6:4, 6:1

მეგან შონესი (აშშ, 25) - ელენა ბოვინა (რუსეთი, 20) 5:7, 6:2, 6:4


REUTERS
*ლეიტონ ჰიუიტი*

მწვანე კონტინენტზე ძალიან ცხელა. არავინ იცის, იქნებ ამ აუტანელი სიცხის შედეგია ის, რომ წლევანდელი ტურნირი სიურპრიზების სიუხვით გამოირჩევა. ყოველ შემთხვევაში, ჩოგბურთის სპეციალისტები საპირისპიროს არ ამტკიცებენ. ჩოგბურთელები კი სიცხეს ხშირად ახსენებენ და თავიანთ წარუმატებლობას სწორედ მას აბრალებენ. ასე, მაგალითად, მიხაილ იუჟნის მარცხი რუსმა ჟურნალისტებმა აუტანელი სიცხით ახსნეს. არადა, ავსტრალიაში მანამდეც ცხელოდა, მაგრამ იუჟნიმ სამი წრე უაღრესად დამაჯერებლად განვლო. ენდი როდიკის წინააღმდეგ კი, გადამწყვეტი მეოთხე და მეხუთე სეტებისთვის, უბრალოდ, ძალა არ ეყო.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ როდიკი მეოთხედფინალში დაუპირისპირდება მაროკოელ იუნეს ელ აინაუის, რომელიც სენსაციებით აღსავსე ტურნირზე კულმინაციის ავტორი გახდა. მან სამი წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორა და ასპარეზობას გამოთიშა მასპინძელთა ერთადერთი იმედი, მსოფლიოს პირველი ჩოგანი ლეიტონ ჰიუიტი. ეს იყო წლევანდელი ტურნირის ყველაზე დრამატული მატჩი, რომელშიც გამარჯვებულის გამოსავლენად სამი ტაი-ბრეიკი გათამაშდა.

პირველი სეტი ავსტრალიელისთვის საგანგაშოს არაფერს მოასწავებდა. პირიქით, დაძაბულ პაექრობაში ჰიუიტმა მოახერხა კონცენტრირება და ტაი-ბრეიკზე მოიგო კიდეც. თუმცა, ამან უიმბლდონისა (2002) და აშშ-ის (2001) ტურნირების გამარჯვებულს ვერ უშველა. აინაუი ფსიქოლოგიურად კარგად მომზადებული აღმოჩნდა და ტურნირის პირველ ნომერს მეორე სეტშიც ისეთივე თავგანწირვით ებრძოლა, როგორც პირველში. ამჯერად ტაი-ბრეიკი მაროკოელის იყო. ჰიუიტმა შეცდომებს უმატა, რაც მესამე ტაი-ბრეიკზე წაგების ფასად დაუჯდა. ეს მაროკოელის მხრიდან სერიოზული განაცხადი იყო. მას, თითქოს, მეორე სუნთქვა გაეხსნა. ასეთ პირობებში ავსტრალიელს გამარჯვების შანსი არ ჰქონდა. საბოლოოდ იუნეს ელ აინაუიმ მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

გერმანელმა რაინერ შუტლერმა დამაჯერებლად მოუგო ამერიკელ ჯეიმს ბლეიკს და მეოთხედფინალში შეხვდება სომხური წარმოშობის არგენტინელ დავიდ ნალბანდიანს, რომელმაც 5-სეტიან ბრძოლაში აჯობა ტურნირის მეექვსე ნომერს, შვეიცარიელ როჟე ფედერერს. ეს შეხვედრა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. არგენტინელმა ორჯერ სცადა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება, მაგრამ ფედერერმა ორჯერვე გაათანაბრა ანგარიში. გადამწყვეტი შეტევისთვის კი შვეიცარიელი მზად არ აღმოჩნდა და მეხუთე სეტი არგენტინელს იოლად დაუთმო.

ქალთა თანრიგში სერიოზული დისბალანსი არ დაფიქსირებულა. მეოთხედფინალში გავიდა ტურნირის ყველა სავარაუდო ფავორიტი. ტურნირის პირველმა ჩოგანმა, სერენა უილიამსმა, მორიგი "გასეირნება" მოაწყო და ბერძენ ელენი დანილიდუსთან ორ სეტში გაარკვია ურთიერთობა. ასევე ორ სეტში "მოურიგდა" მეტოქეს ბელგიელი კიმ კლიისტერსი (4), რომელიც ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე უაღრესად შთამბეჭდავად გამოიყურება.

რუს ანასტასია მისკინასა და ამერიკელ მეგან შონესს კი გვარიანი ოფლისღვრა მოუხდათ. თუმცა, რვა უძლიერესს შორის მაინც გავიდნენ. მეოთხედფინალში ჩოგბურთელები ასე დაწყვილდნენ: სერენა უილიამსი - მეგან შონესი, კიმ კლიისტერსი - ანასტასია მისკინა, ჟიუსტინ ენინ-არდენი - ვირხინია რუანო-პასკუალი, დანიელა ჰანტუხოვა - ვინუს უილიამსი.

რალი

# დაკარის ეპოპეას ყავლი გაუვიდა

გიგა გურასაშვილი

*"ტელეფონიკა დაკარი-2003"-ის 18-დღიანი ეპოპეა დასრულდა. ფორმალობად ქცეულ დასკვნით, მეჩვიდმეტე ეტაპზე, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ამის საშუალებას არც მონაკვეთის სიგრძე იძლეოდა და არც საასპარეზო არენა. გამარჯვებულთა შორის არიან ისინი, ვისაც ადრეც უსახელებია თავი.*


*ჰიროში მასუოკა*


*რიშარ საინცი*

1 იანვარს საფრანგეთის საპორტო ქალაქ მარსელიდან გასულმა ეკიპაჟებმა, როგორც იქნა, დანიშნულების ადგილს - ეგვიპტეში, წითელი ზღვის სანაპიროზე, შარმ ელ-შეიხს მიაღწიეს. 25-ე რალის 17-ეტაპიანი ასპარეზობისას ავტო-მოტოქარავანმა 8,552 კილომეტრი გადალახა. ეკიპაჟებს ბევრი ფათერაკი შეემთხვათ. ხშირი იყო ტრავმები, დაჟეჟილობები, მოტეხილობები... დაკარის მარათონულ რეიდს არც ტრაგედიის გარეშე ჩაუვლია. ერთ-ერთი ფავორიტი, იაპონელი კენჯირო შინოზუკა, მძიმე ავარიის შედეგად, სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. შინოზუკას დამსხვრეული Nissan-ი თითქოს გაფრთხილება უნდა ყოფილიყო დანარჩენი ეკიპაჟებისთვის, რადგან მოხდა ის, რამაც დაკარის 2003 წლის გათამაშება შავ საბურველში გაახვია. მეათე ეტაპზე Toyota-ს ფრანგულ ეკიპაჟს, ჩრდილო აფრიკის ქვიშის დიუნებში, მანქანა გადაუბრუნდა. ეკიპაჟის შტურმანი, ბრუნო კაუვი, ადგილზევე გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, ასპარეზობა ჩვეული რიტმით მიმდინარეობდა.

საფრანგეთის, ესპანეთის, ტუნისის, ლიბიისა და ეგვიპტის ავტო-მოტოქარავნისთვის განკუთვნილ ტრასებზე თვრამეტი დღის შემდეგ მტვერი ჩადგა. ასპარეზობის ბოლო დღემ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბსოლუტური ჩათვლა ძირეული ძვრების გარეშე დაასრულა. მეჩვიდმეტე ეტაპი, ადრეულებისგან განსხვავებით, ერთგვარი საგამოფენო ხასიათის იყო. მაყურებელს საშუალება მიეცა, 56-კილომეტრიან მონაკვეთზე განვითარებული მოვლენები საკუთარი თვალით ეხილა. გზის პირზე გამოფენილ ადგილობრივ ცნობისმოყვარეებთან ერთად, ავტო-მოტოკავალკადას სასტუმროებიდან გამოფენილი ტურისტებიც გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს. ის, რომ შეჯიბრება სიურპრიზების გარეშე დასრულდა, ამაში გარკვეული როლი შეასრულა საპაექრო სივრცემაც. ეკიპაჟებს შორის პაექრობა ყველაზე ფეშენებელური სასტუმროების ირგვლივ გაიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ სამივე კატეგორიის (მოტოციკლი, ავტომანქანა, სატვირთო) ლიდერები ჩრდილში მოექცნენ, მათმა მდევრებმა მაინც ვერაფერი მოახერხეს.

თუ მოტოციკლისტთა დავაში "მფრინავი სკანდინაველები" - შვედი პერ-გუნარ ლუნდმარკი და ნორვეგიელი პალ ანდერს ულევალსეტერი პირველ-მეორე ადგილს ეცილებოდნენ ერთმანეთს, საერთო ჩათვლის მოწინავე ტრიომ, ფრანგებმა რიშარდ საინტმა და კირილ დესპრესმა და იტალიელმა ფაბრიციო მეონიმ, ბოლო რამდენიმე კილომეტრზე ერთგვარი ტესტ-პაექრობა გააჩაღეს. არცაა გასაკვირი, რომ მათ საკუთარ თავს ამის უფლება მისცეს. რაც უნდა მომხდარიყო, დაკარის ტრიუმფატორებს ზესამეულში ადგილს ვერავინ შეეცილებოდა. მეჩვიდმეტე ეტაპი კი ლუნდმარკმა მოიგო. მეორე ადგილზე გავიდა ულევალსეტერი, ხოლო საერთო ჩათვლის ზესამეულმა, შესაბამისად, მეექვსე, მეოთხე და მესამე ადგილები დაიკავა. "პარიზი-დაკარის" 1999 და 2000 წლის ტრიუმფატორმა საინტმა აღნიშნა: "ახლაც ისეთივე გრძნობა დამეუფლა, როგორც პირველად. ამჯერად უფრო კმაყოფილი ვარ. რამდენიმე დღე მჭირდება იმისთვის, რომ საბოლოოდ გავაანალიზო ახლანდელი დღესასწაული".

ავტომობილების კლასში ბოლო ეტაპის მომთვინიერებელი გამოდგა ფინელი არი ვატანენის Nissan-ი. მეორე ადგილზე გასული ფრანგი ლიუკ ალფანის BMW მას წუთითა და 16 წამით ჩამორჩა. როგორც იქნა, სამეულში შეაღწია შარშანდელმა გამარჯვებულმა ქალმა, გერმანელმა იუტა კლაინშმიდტმა (VW). თუმცა, არც ერთ მათგანს საერთო ჩათვლის საუკეთესო სამეულში მოხვედრის პატივი არ ერგო. ზესამეული Mitsubishi-ის ეკიპაჟებმა დაისაკუთრეს.

წინა დღის ყველაზე უიღბლო მრბოლი, ფრანგი სტეფან პეტერჰანსელი, რომელიც მანამდე აბსოლუტურ ჩათვლას ლიდერობდა და, მანქანის დაზიანების გამო, ასპარეზობას გამოეთიშა, აბსოლუტური ჩათვლის მიღმა მაინც არ დარჩენილა. პეტერჰანსელმა და მისმა შტურმანმა ჟან-პოლ კოტრემ მესამე ადგილი დაიკავეს. გამარჯვება კი, ზედიზედ მეორედ, გერმანელ თანამძღოლ ანდრეას შულცთან ერთად, პეტერჰანსელის თანაგუნდელმა, იაპონელმა ჰიროში მასუოკამ მოიპოვა. რომ არა ფრანგი მრბოლის წარუმატებლობა, იაპონელი მეორე იქნებოდა. იმავე ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა ჟან-პიერ ფონტანისა და ჟილეს პიკარდის ასევე ფრანგულმა ეკიპაჟმა.

სატვირთოების კლასში, შეიძლება ითქვას, რუსულმა ეკიპაჟებმა ფურორი მოახდინეს. საერთო ჩათვლის პირველი და მესამე ადგილები Камаз-ის ეკიპაჟებმა გაიყვეს. მათ შორის ერთადერთი "უცხოტომელი" Tatra-ს ბრაზილიურ-ჩეხური ეკიპაჟია.

კალათბურთი

# "დალასმა" ზედიზედ მესამედ წააგო


REUTERS
*მაიკლ ჯორდანი*

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი. შაბათი:** *ატლანტა - ნიუ-იორკი 92:95, ვაშინგტონი - ფილადელფია 80:88, ინდიანა - დეტროიტი 88:86, მაიამი - ჩიკაგო 102:101, მილუოკი - ბოსტონი 95:97, იუტა - კლივლენდი 95:78, პორტლენდი - მინესოტა 98:104, კლიპერსი - საკრამენტო 112:107.* **კვირა:** *ტორონტო - ორლანდო 93:101, სიეტლი - დალასი 85:81.*

რეგულარული ჩემპიონატის ლიდერმა, "დალას მავერიქსმა", ზედიზედ მესამე მარცხი განიცადა. კვირას დირკ ნოვიცკის გუნდი სიეტლს ესტუმრა. პარასკევს, სიეტლში ჩასვლამდე, "დალასმა" საფრანგეთის ნაკრებისა და ბოლონიის "კინდერის" შემტევი მცველი, 31 წლის ანტუან რიგოდო შეიძინა. ფრანგმა ევროლიგის თამაშებში მიიპყრო "დალასის" ყურადღება. ის, ბოლონიურ კლუბთან ერთად, ევროლიგის გამარჯვებული და 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორია.

რიგოდო ერთ თამაშში, საშუალოდ, 13,9 ქულას აგროვებდა და ევროპაში სამქულიანი ტყორცნების ოსტატად იყო მიჩნეული. მისი სიზუსტის პროცენტი 43-ს უდრიდა. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა საფრანგეთის ნაკრების ლიდერი ამერიკელთა ყურადღების ცენტრში, მაგრამ "დალასში" მისი დებიუტი წარუმატებელი აღმოჩნდა. ფრანგმა მხოლოდ 5 წუთი დაყო მოედანზე და, ამ ხნის განმავლობაში, ერთადერთი ჩაჭრა განახორციელა.

ლიდერის ტვირთი კი ისევ გერმანელმა დირკ ნოვიცკიმ იკისრა (15 ქულა, 14 მოხსნა, 6 გადაცემა), მაგრამ მისი გარჯა არ დაფასდა. მასპინძელთა რიგებში შეუდარებელი იყო რაშიდ ლუისი. ბოლო წუთზე მან ოთხი ქულა აიღო, რაც გამარჯვებისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

კვირას კიდევ ერთი მატჩი გაიმართა. "ტორონტომ" ორლანდოელ "ჯადოქრებს" უმასპინძლა. კანადელები მთელი მატჩის განმავლობაში უსტვენდნენ "მოღალატე" ტრეისი მაკგრეიდის, რომელიც წელიწადნახევრის წინათ სწორედ "ტორონტოს" ღირსებას იცავდა. ბოლოს ისე მოხდა, რომ მასპინძელთა მთავარი პრობლემა სწორედ მათი ყოფილი ლიდერი აღმოჩნდა. მას ტორონტოელებმა ვერაფერი მოუხერხეს (35 ქულა, 11 მოხსნა, 8 გადაცემა).

ვლადიმერ სტეფანიას "მაიამი ჰიტმა" შაბათს ჩიკაგოელ "ხარებს" უმასპინძლა. მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა და გამარჯვებულის გამოსავლენად ორი ოვერ-ტაიმი გახდა საჭირო. მასპინძელთა გამარჯვებაში ქართველმა ლეგიონერმაც შეიტანა თავისი წვლილი. ის თავის გუნდს 6 ქულით, 7 მოხსნით, 1 დაფარებითა და 1 ჩაჭრით დაეხმარა. ყველაზე შედეგიანი კი, 23 ქულით, ალენი იყო.

მაიკლ ჯორდანის მცდელობის მიუხედავად (25 ქულა), მორიგი მარცხი განიცადა "ვაშინგტონ უიზარდსმა". ჯორდანის გუნდი ფილადელფიელთა ლიდერების - აივერსონისა (26 ქულა) და ვან ჰორნის (17 ქულა, 11 მოხსნა) წინაშე უძლური აღმოჩნდა. იგივე დაემართა "პორტლენდს". ლიტველმა არვიდას საბონისმა ბევრი იბრძოლა - 11 ქულა, 7 მოხსნა და 4 გადაცემაც განახორციელა, მაგრამ კევინ გარნეტის შეჩერება ვერ შეძლო (31 ქულა, 20 მოხსნა).

კალენდარი

## 21 იანვარი

ჯონ მაკინროი



1901 - დაიბადა რიკარდო ზამორა, ესპანელი ფეხბურთელი. პირველი მეკარე, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად იქნა დასახელებული.

1911 - მონტე-კარლოში გაიმართა პირველი ავტორალი.

1963 - დაიბადა ჰაკიმ ოლაჯუვონი, ნიგერიული წარმოშობის ამერიკელი კალათბურთელი. "ჰიუსტონ როკეტსის" შემადგენლობაში ორჯერ გახდა NBA-ს გამარჯვებული.

1990 - ამერიკელი ჩოგბურთელი ჯონ მაკინროი (ფოტო) გახდა პირველი, რომელიც "დიდი სლემის" ტურნირიდან იქნა გაძევებული. ის მსაჯის შეურაცხყოფის გამო დასაჯეს.

გაზეთი 24 საათი
21.01.03 N-19




## ბინები

### იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება გარემონტებული 2-ოთახიანი ავეჯით, მიშენებით 6(8) სანზონაში. 61 47 33

იყიდება წერეთელზე 4-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა მაღალ ბელეტაჟზე. ფასი 25 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

იყიდება საკუთარი სახლი ნუცუბიძეზე საბაგიროსთან, ბელეტაჟზე, ხეხილის ბაღით, ავტოფარეხით. ტ: 39-87-19.

## მიწის ნაკეთი

იყიდება 1200 კვ.მ.-ზე მეტი მიწის ნაკვეთი ქვემო წყნეთში. 69 99 00, 66 09 32

იყიდება 2500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ალმაშენებლის ხეივნიდან 400 მ-ში, რესტორან „ფორტუნასთან“. 53 07 48

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## ბინები

### ქირა, გირაო

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში დღიურად. ფასი მოლაპარაკებით. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

**ქირავდება!**
სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## მანქანები

სასწრაფოდ! იყიდება მაღალი კლასის ავტომანქანა "ჰუნდაი სონატა" სრული ელპაკეტით (ტყავის სალონით) 1995წ. 877 44 45 13

## სწავლება

მოვამზადებმათემატიკაში, ირმა ნიორაძის საბალეტო სტუდია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 5 წლის ასაკიდან. ფალიაშვილის ქ. N34. ტელ: 22-47-29

**შეგასწავლით!**
კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.
ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

BRITISH HOUSE -ინგლისური სამ თვეში მოსწავლეთათვის 6 თვეში. ტ: 23-31-45 (საღამოს) 899 554469

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრში ვმკურნალობთ კანის დაავადებებს: ფსორიოზს, ნეიროდერმიტს, სებორეას, ეგზემას, სოკოს (ლიც. № 0002440). მიცკევიჩის 29 ა. 39 18 24 (10-დან 15 სთ-მდე), 39 80 50 (18 სთ-დან)

საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები. მოხრილობის, დისკოზის და ფეხის ასადგმელი ქამრები, ბრტყელტერფიანების სუპინატორები, ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

იყიდება ინგლისური ჯიშის გოჭები. 8(99) 93 93 85

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

იყიდება ამერიკული თოჯინა „კარმენი“ - ორიგინალი. 75 15 04

გუდრონის დასხმა. 96 31 83

იყიდება ტუტის ახალი აკუმულატორი („სჩელაჩნო“). 70 ამპერი/სთ. ფასი 90 $. 39 36 15

იყიდება ბილიარდები: რუსული, კარამბოლი და პული. 34 84 85, 8(77) 42 50 82

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

# აფიშა

## საკონცერტო დარბაზები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
კვინტეტი "ურმული", საუკუნეების ქართული მუსიკა
დას: 19:00 სთ

თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჯუზეპე ვერდი "მაკბეტი", რეჟ. გურამ მელივა
დას: 12:00 სთ

**თეატრალური სარდაფი**
ნანა ჭანელიძე "ანტიგონე", რეჟ. ნანა ჭანელიძე, მთავარ როლებში ნანა ხუსკივაძე, კახა აბუაშვილი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"კონტრასტები", რეჟ. გოგა ოსეფაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
პატრიკ ზიუსკინდი "კონტრაბასი", რეჟ. ნინო ახვლედიანი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**„ძველი სახლი - მეტეხის თეატრი„**
დავით კლდიაშვილი, რეზო კლდიაშვილი "როსტომ მანველიძე", რეჟ. სანდრო მრევლიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი(მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის 2 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
11 ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**
"დაჯექი", ლია შველიძის გამოფენა-აქცია

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**
თინა კობიაშვილის სახელოსნოს და მისი ნამუშევრების გამოფენა

## კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ჰარი პოტერი", რეჟ. კრის კოლუმბი
დას: 11:00; 14:00; 17:00 სთ; ფასი 5-8 ლარი
"გაფარჩაკებულები", რეჟ. გევინ ბრაზერი
დას: 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი„**
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 16:30; 19:00; 21:30 სთ; ფასი 5,7,10 ლარი

**„ელისო„**
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 18:00; 21:00 სთ; ფასი 7 ლარი

**ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი**

**ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში**

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.
მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ $15^{00}$ საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.
განცხადებები მიიღება ყოველდღე $9^{30}$ -დან $15^{00}$ -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.

# TV პროგრამა 21 იანვარი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
10.40 სერიალი „ალფი“
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
13.30 მხ. ფილმი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული“
15.20 მხ. თილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
18.45 ჰერაკლე
19.05 სერიალი „მედისონის სკოლა“
19.30 პერეკროსტოკი
20.05 სერიალი „მაცდური სიყვარული“
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა“ მთ. როლში სანდრა ბალოკი
02.30 კლასიკა

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „თოვლის პაპა“
10.10 მხ. ფილმი „გულის საიდუმლოებანი“
11.45 ზოოპარკი
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.05 დოკ. სერიალი „ყველაზე, ყველაზე საკვირველი“
14.00 „ლერერის შოუ“
15.15 მხ. ფილმი „შუაღამის კაცი“
16.50 უკრავს ელისო ვირსალაძე
17.30 შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო“
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ყველანი ორბიტაზე“
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „და არს მუსიკა“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.50 დოკ. სერიალი „მოდა ყველასათვის“
22.15 „შეხვედრა რეზო ამაშუკელთან“
23.00 დღის ბოლოს
00.00 მხ. ფილმი „შეხვედრების ადგილი უცვლელია“

## პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით უცხოური მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „სამუდამოდ!“
18.00 რუსული მუსათეული
19.00 ინფორმატორი
19.30 ქართული მუსიკა
20.00 ვიდეორადიო
22.00 ინფორმატორი
22.30 მოკლე სეანსი
23.00 სველი ხაზი
00.00 ფილმი ბრავო „გვამის თავგადასავალი“
01.45 ფილმი ღამურა „ქალაქური ლეგენდები 2“
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 ამბები ჩვენზე
21.00 ასპარეზი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ბრიყვები“

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.20, 10.50, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები

09.30 „ბურთი და მოედანი“
09.50 მხ. ფილმი „ცისფერთვალება მიკი“
10.30 დოკ. ფილმი
11.00 მხ.ფ. „ჰარტის ომი“
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. „ბედის ბორბალი“
22.30 ძველი კინო - მხ. ფილმი „გამხდარი ნათლია“
00.50 ღამის ფილმი

## კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ფლაბერი“
13.30 მხ. ფილმი „დრაკონის კოცნა“
15.00 მხ. ფილმი „პონეტი“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „უკანასკნელი მოჰიკანი“
19.20 საეტრი
21.00 მხ. ფილმი „ტიტანიკი“

## მეცხრე არხი

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
10.05 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
10.50 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი“
11.10 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 მხ. სერიალი „ადვოკატი პორტა“
12.50 მხ. ფილმი „მგზნებარე გონება“
14.45 მხ. ფილმი „ლაბირინთი“
16.30 დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 83-ე სერია
17.45 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“ 54-ე სერია
18.30 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი“ მე-2 სერია
18.50, 19.50, 23.40, 01.35 მუსიკა
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“ 97-ე სერია
20.00 დოკ. ფილმი „მსოფლიო ფერწერის ისტორია“ „დროის საფარველს მიღმა“
21.00 მხ. სერიალი „ადვოკატი პორტა“
21.50 გადაცემა „ჩემი ქვეყანა“
22.05 მხ. ფილმი „ტარაკანი“
00.05 მხ. ფილმი „მაილო“

## აჭარა

08.00 კონცერტი
09.00, 19.00, 22.00, 00.00 „დღეს“
09.30 სათავგადასავლო ფილმი „მელი“
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
12.10 კომედია „ორნი: მე და ჩემი ჩრდილი“
13.45 მხატვრული ფილმი „შირი“
16.10, 19.40, 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.15 მულტფილმი „მეფე ლომი“
17.35 კომედია „ლიფტიდან მარცხნივ“
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი“
19.30 Пресс-папье
19.50 მხატვრული ფილმი „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“
22.50 Пресс-папье
23.10, 00.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.15, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.20 „რა არ ხდება“
01.10 მელოდრამა „წითელი და შავი“ 2 სერია
03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
03.30 ისტორიული ფილმი „ატილა დამპყრობელი“

## VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა“
09.50 „ბედნიერი ერი“
09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.20 მელოდია
10.50 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“
11.25 მობილურები
12.05 „ბიორითმი“ - ალსუ.
12.25 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.15 დისნეი და მისი მეგობრები
13.35 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა“
19.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.05 პორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“
20.45 „ღამის კაპრიზი“ - თემა: მე რომ რეჟისორი ვიყო.
21.50 მობილურები
22.30 „კინოკლუბი“ - „ტიტანიკი“ მე-2 სერია
23.55 სპორტი
00.00 აუდიო-ვიდეო-ტელე
00.35 „ბიორითმი“ - ალსუ.

## ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.05 Боевик „Русский транзит“, 1 с.
12.05 „Шутка за шуткой“
12.35 Дисней-клуб: „Переменка“
13.15 Детектив „Сценарий убийства“
15.00 „Новый день“. Чаплин и Гитлер
16.15 Сериал „Любовь и предательство“, 1 с.
17.00 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов“
18.00 „Большая стирка“
19.30 „Наши в Голливуде“. Спецрепортаж
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
21.00 „Слабое звено“
22.00, 00.30 Время
22.40 Сериал „Русские в Городе Ангелов“
23.45 „Живой Высоцкий“, 2 с.
00.50 „Новый день. „Подводный мир Андрея Макаревича“
01.20 „Новый день“. „Формула власти“. Премьер-министр Индии
01.50 „Апология“
02.55 Боевик „Неудержимый“. „Инициатива наказуема“

## РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал „Леди Бомж“
10.40 Сериал „Дневник убийцы“
11.30 Экспертиза
11.40, 18.45, 20.45 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Двадцать четыре черных дрозда“
13.10 Телефильм „Черный треугольник“
14.30 Колоссальное хозяйство
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Комиссар Рекс“
17.15 Сериал „Простые истины“
17.45 Экспертиза
18.20 Дорожный патруль
18.35 Вести-спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Трое против всех“
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди Бомж“
22.50 Сериал „Дневник убийцы“
23.50 „Вести +“
00.20 Вести-спорт
00.30 Детектив „Место встречи изменить нельзя“
01.55 Фигурное катание. Чемпионат Европы. Женщины. Короткая программа
03.15 Дорожный патруль НТВ
09.35 Утро на

## НТВ

10.05 Сериал „Скорая помощь 6“
11.00 Сегодня утром
11.25 „Национальная безопасность: жертвоприношение“. Расследование НТВ
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Кулинарный поединок“: Россия-Франция
13.05 Сериал „Досье детектива Дубровского“
15.05 Криминал
15.25 Детектив „Она написала убийство“
16.25 „Чего хочет женщина?“ Ток-шоу „Принцип „Домино“
18.05 Сериал „Улицы разбитых фонарей“
19.20 Док. драма „Преступление и наказание“
20.35 Сериал „Право на защиту“
21.45 Сериал „Улицы разбитых фонарей“. „Петербургский презент“
23.00 Сегодня вечером
23.35 Сериал „Секс в большом городе“
00.15 Детектив „Право на защиту“
01.20 Гордон
02.15 Сериал „Солдаты удачи“















# "ამ ფილმში მონაწილეობა არც მინდოდა"

## ყველაფერი "ოქროს გლობუსის" შესახებ

*1973 წელს ერთი უჩვეულო ფაქტი მოხდა - მარლონ ბრანდომ უარი თქვა "ოქროს გლობუსზე", რომელიც მას "ნათლიაში" შესრულებული როლისთვის მიანიჭეს. იმავე წელს ბრანდომ კინო-აკადემიას "ოსკარიც" უკან დაუბრუნა. ორივე კატეგორიულ უარს ერთი მიზეზი ჰქონდა – მსახიობი აშშ-ს "იმპერიალიზმსა და რასიზმს" აპროტესტებდა. წელს პოლიტიკურ კალენდარზე ნომერ პირველ თემად ერაყი წერია. ლოზუნგს - "უარი ომს ნავთობისთვის," რიგით ამერიკელებთან ერთად მრავალი ვარსკვლავიც იზიარებს. უდავოა, 19 იანვარს სასტუმრო "ჰილტონში" მოწყობილ "ოქროს გლობუსის" ცერემონიალს ბევრი მათგანი ესწრებოდა. თუმცა, იმ ღამეს ბრანდოს პრეცედენტი არ გამეორებულა. არც ერთ ვარსკვლავს მიღებული ჯილდო უკან არ დაუბრუნებია...*

თუ დღეს "ოქროს გლობუსს" მილიონობით მაყურებელი, ვარსკვლავი სტუმრები და 30-მდე ტელე და კინო ნომინაცია აქვს, იყო დრო, ის მხოლოდ ხუთი კატეგორიით შემოიფარგლებოდა. ღონისძიების ორგანიზატორმა – რვა უცხოელი ჟურნალისტის მიერ დაარსებული ასოციაციის პრეზიდენტმა, მხოლოდ სამიოდე წლის შემდეგ, 1946 წელს მოიფიქრა, რომ ჯილდოდ გამარჯვებული მსახიობებისთვის ოქროსგან დამზადებული გლობუსი გადაეცა. მეტიც, შესაძლოა, 19 იანვრის მდიდრული შოუს შემდეგ ოდნავ დაუჯერებელადაც გვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია: წლების წინ, "ოქროს გლობუსის" ულიმღამო ცერემონიალზე პრიზებს თავად ჟურნალისტები არიგებდნენ. სცენა შოუბიზნესის გამოჩენილმა სახეებმა მხოლოდ 1958 წელს დაიპყრეს – მაშინ, სრულიად მოულოდნელად, სიგარებითა და ვისკით "შეიარაღებული" ფრენკ სინატრა, დინ მარტინი და სემი დევისი სცენაზე საკუთარი ინიციატივით ავიდნენ და საზოგადოება გვარიანად გაართეს. მათი სპონტანური შოუ შემდეგ წელს უკვე თავად ასოციაციის მოთხოვნით განმეორდა. ასე იქცა "ოქროს გლობუსის" ცერემონიალის აუცილებლობად ჯილდოების გამცემთა ვარსკვლავური "წარმოშობა".

მიუხედავად იმისა, რომ 60-იანი წლებიდან ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის ეს ღონისძიება სულ უფრო ინტენსიურად ხდებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საგანი, კინოსამყაროში მას მაინც არასერიოზულად აღიქვამდნენ. "ოსკართან" შედარებით "ოქროს გლობუსი" ბავშვური გართობა იყო და სხვა არაფერი. მით უფრო, რომ ყველამ იცოდა – ასოციაცია გამარჯვებას მათ აკუთვნებდა, ვისგანაც მდიდრულ საჩუქრებს, უფასო მოგზაურობებსა და წვეულებებს მოელოდა. სიტუაცია მხოლოდ ბოლო წლებში შეიცვალა. მაღალი სატელევიზიო რეიტინგების გამო, იმატა სატელევიზიო ქსელებთან დადებული კონტრაქტების რიცხვმა, ასოციაციის მოგებაც მილიარდობით დოლარით გაიზარდა და მანაც იმიჯისა და რეპუტაციის ამაღლებაზე იზრუნა. ასე იქცა "ოქროს გლობუსი" შოუ-ბიზნესის წლის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ღონისძიებად, რომლის შედეგებსაც ხშირად "ოსკაროსანების" სიის გამოსაცნობადაც იყენებენ.

თუმცა, ბუნებრივია, ტრადიციულად "ოქროს გლობუსის" რჩეულები ის ფილმები, ტელე-შოუები, რეჟისორები და მსახიობები ხდებიან, რომლებმაც კრიტიკოსები აალაპარაკეს. საუკეთესო ფილმების ხუთეული – "დოქტორი ჟივაგო", "სიყვარულის ისტორია", "ნათლია", "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" და "ვარსკვლავი დაიბადა" – ეს ის ფილმებია, რომლებიც ყველაზე მეტ "ოქროს გლობუსს" ფლობენ.

ღონისძიების ორგანიზატორს გულდაწყვეტილი წელსაც არავინ დაუტოვებია: "ოქროს გლობუსი" შინ წაიღო თითქმის ყველამ, ვინც საღამოს გამართვამდე კრიტიკოსთა აღნიშვნის ღირსი გახდა.

■ ■ ■

**"ასე არ ჯობს? ნიკოლს თავისი ცხვირი უფრო არ უხდება?"** - ამ სიტყვებით ავიდა ჯეკ ნიკოლსონი სცენაზე "ოქროს გლობუსის" მისაღებად და ივ სენ ლორანის კაბაში გამოწყობილ ნიკოლ კიდმანსაც ორიგინალურად მიესალმა. ამ უკანასკნელს ხომ ვირჯინია ვულფის როლისთვის სახეზე ყალბი ცხვირის მორგება მოუხდა. თუმცა, ექსპერიმენტმა გაამართლა – არა დაგრძელებული ცხვირის, არამედ მშვენიერი თამაშის გამო, კიდმანმა დრამატული ფილმების კატეგორიაში საუკეთესო მსახიობი ქალის ტიტული მოიპოვა. თავად სურათმა კი საუკეთესო დრამატული ფილმის ნომინაციაში გაიმარჯვა.

ჯეკ ნიკოლსონმა თავისი მეექვსე "ოქროს გლობუსი" საუკეთესო დრამატული როლისთვის მიიღო, ფილმში "შმიდტის შესახებ". საზოგადოების გაცინება მან ჯილდოს მიღების დროსაც მოახერხა: **"ახლა უკვე აღარ ვიცი, შემრცხვეს თუ გამეხარდეს – მე ხომ დღემდე მეგონა, რომ ფილმი "შმიდტის შესახებ" კომედია იყო",** - დაბნეული კაცის როლი იქვე, სპონტანურად მშვენივრად გაითამაშა მსახიობმა.

**"არასდროს არაფერს ვიგებ. არაფერში ვიმარჯვებ",** - გაოცებას ვერ მალავდა რიჩარდ გირი, რომელიც კომედიისა და მიუზიკლის კატეგორიაში, ფილმისთვის "ჩიკაგო," საუკეთესო მამაკაცი მსახიობი გახდა. **"თანაც, ამ ფილმში მონაწილეობა ხომ არც მინდოდა"**, - განაგრძობდა დაბნეული მსახიობი, რომელსაც მაჯას ნამდვილი ტიბეტური სამაჯური უმშვენებდა და თან მხურვალე ამბორით გამარჯვებას ულოცავდა პარტნიორს "ჩიკაგოდან", როქსი ჰარტის როლის შემსრულებელს, რენე ზელვეგერს – ის იმავე კატეგორიაში საუკეთესო მსახიობი ქალი გახდა. თავად "ჩიკაგომ" კი, როგორც მოსალოდნელი იყო, საუკეთესო კომედია/მიუზიკლის ნომინაციაში გაიმარჯვა.

**"მეგონა, ფილმს ამერიკაში სკანდალით შეხვდებოდნენ და ის მძაფრ პოლემიკას გამოიწვევდა. თუმცა, მგონი, შევცდი. საზოგადოებამ სურათი ძალიან თავისუფლად მიიღო"**, - განაცხადა პედრო ალმოდოვარმა, რომლის ბოლო ნამუშევარიც - "ესაუბრე მას," საუკეთესო უცხოური ფილმი გახდა. ალდმოვარს ჯილდო მსახიობმა კეიტ ბლანშეტმა გადასცა.

უპრიზოდ შინ არც მერილ სტრიპი გაუშვიათ. ფილმში "ადაპტაცია" შესრულებული როლისთვის ის საუკეთესო მეორეხარისხოვანი მსახიობი ქალი გახდა. **"ღმერთო, "ოქროს გლობუსზე," მგონი, 789-ჯერ წარმადგინეს. არადა, ეს-ეს არის მოდუნებას და ზამთრის ძილით დაძინებას ვაპირებდი",** - განაცხდა ჯორჯო არმანის კოსტიუმში გამოწყობილმა სტრიპმა, რომელიც სინამდვილეში "გლობუსზე" 18-ჯერ გახლავთ წარდგენილი და ოთხ პრიზს ფლობს. ბოლოს ის უცხოური პრესის ასოციაციამ 1983 წელს "სოფის არჩევანისთვის" დააჯილდოვა. როდესაც კულისებში მერილ სტრიპს ჰკითხეს, ამ გადასახედიდან, როგორ აფასებს "ოსკარსა" თუ "ოქროს გლობუსს", მან ხუმრობით უპასუხა: **"ხარბი ვარ, ხარბი, ხარბი!"**

მან მოდის ჟურნალისტებიც დიდ ხანს აცინა: ტრადიციული კითხვა სამოსის შესახებ რეპორტიორებს მოულოდნელი შეძახილით შეაწყვეტინა: **"არ მომეკაროთ, აქლემივით ვყარვარ".**

**"ნიუ იორკის ბანდების" თემატიკაზე მგონი, ჯერ კიდევ 7 წლიდან ვფიქრობდი",** - აღიარა მარტინ სკორსეზემ, რომელიც საუკეთესო რეჟისორი გახდა. ფილმში ლეონარდო დიკაპრიო მონაწილეობს, მაგრამ ის "ოქროს გლობუსზე" სხვა ნამუშევრისთვის, სტივენ სპილბერგის ფილმისთვის - "დამიჭირე, თუ შეგიძლია," იყო წარდგენილი. თუმცა, დიკაპრიო საერთოდ უგლობუსოდ დარჩა – ის თვითონ ვერ დაეწია ჯეკ ნიკოლსონს და საუკეთესო დრამატული მსახიობის ტიტულიც ამ უკანასკნელმა მოირგო.

ჯილდოები განაწილდა ტელევიზიის განხრითაც. უმა თურმანი სერიალში "ისტერიული სიბრმავე" განსახიერებული როლისთვის სატელევიზიო მინი-სერიების საუკეთესო მსახიობი ქალი გახდა, ჯენიფერ ანისტონი კი – სატელევიზიო კომედია/მიუზიკლის საუკეთესო მსახიობი ქალი.

**"არც კი იცით, ამ ჯილდოს მოსაპოვებლად რამდენ მამაკაცთან მომიხდა დაწოლა",** - ასე ორიგინალურად მოიხადა მადლობა კიმ კატრალმა, რომელმაც ტელე-სერიალებში საუკეთესო მეორეხარისხოვანი მსახიობის ჯილდო მოიპოვა.

"ოქროს გლობუსი" ერგო ბონოსაც. U2-სა და ეჯის სიმღერას Hands that Build America, ფილმიდან "ნიუ იორკის ბანდები" მხატვრული ფილმის საუკეთესო ორიგინალი სიმღერა გახდა.

■ ■ ■

ერთი სიტყვით, 19 იანვრის საღამო "ოსკარის" საზეიმო ცერემონიალისთვის მშვენიერი რეპეტიცია გამოდგა. თუმცა, ამავე დროს კრიტიკოსთა ორი ბანაკი გამოიკვეთა. ნაწილი ამტკიცებს, რომ "გლობუსი" სრულიად დამოუკიდებელი მოვლენაა და რომ ის "ოსკართან" არაფერ შუაშია. ამ თეზისის დასადასტურებლად ისინი რამდენიმე ისტორიულ ფაქტს იხსენებენ:

1955 წელს საუკეთესო დრამატულ ფილმად "ოქროს გლობუსზე" სურათი "სამოთხის აღმოსავლეთით" დაასახელეს, რომელშიც მთავარ როლს ჯეიმს დინი ასრულებდა. "ოსკარი" კი იმავე წელს მცირებიუჯეტიან, შავ-თეთრ ფილმს "მარტის" ერგო. 1970 წელს "გლობუსი" ხვდა წილად "სიყვარულის ისტორიას", "ოსკარი" კი – ფილმს Patton. პრეცედენტი გამეორდა 1991 წელსაც – მაშინ "ოქროს გლობუსით" აღინიშნა "ბაგსი" და "მზეთუნახავი და ურჩხული", "ოსკარით" კი – "კრავთა დუმილი".

ფაქტები მეორე ბანაკის წარმომადგენლებსაც უხვად აქვთ. ისინი "შეყვარებული შექსპირის" მაგალითს იხსენებენ, რომელიც ერთდროულად იქცა "ოქროს გლობუსისა" და "ოსკარის" ფავორიტად. თუ ამ ბანაკის წევრთა აზრს გავითვალისწინებთ, მაშინ წლევანდელი "ოსკარის" ცერემონიალისთვის რამდენიმე სახელი: **"ჩიკაგო"**, **გირი**, **ზელვეგერი**, **ნიკოლსონი** და **კიდმანი** უნდა დავიმახსოვროთ.

ასე რომ, სანახაობა, რომელსაც ჰოლივუდი მსოფლიოს თავშესაქცევად აწყობს, სულ რამდენიმე კვირაში კვლავაც შედგება: მსახიობები იგივე გაბრწყინებული სახეებით, ტრაფარეტული სამადლობელი ტექსტებითა, თუ ორიგინალური ხუმრობებით საზოგადოების გართობას 23 მარტს, "ოსკარის" ცერემონიალზეც განაგრძობენ... და სულ ასე იქნება მანამ, სანამ მსოფლიოს ჰოლივუდის ფენომენი არ მობეზრდება.



ნიკოლ კიდმანი და ჯეკ ნიკოლსონი



რიჩარდ გირი და რენე ზელვეგერი



პედრო ალმოდოვარი და კეიტ ბლანშეტი



ეჯი და ბონო



უმა თურმანი


კამერონ დიასი

REUTERS

— კალეიდოსკოპი —

## პარიზში მაღალი მოდის კვირეული დაიწყო

ორშაბათს, პარიზში, თერთმეტმა მოდის სახლმა თავისი საგაზაფხულო და საზაფხულო ტანსაცმლის კოლექციების დემონსტრაცია დაიწყო. ოთხი დღის განმავლობაში მომავალი სეზონის სიახლეების 26 ჩვენება შედგება, მაღალი მოდის კვირეულის ბოლო კი საქველმოქმედო ღონისძიებებს, საპატიო სტუმრების "საჩუქრებს", ახალგაზრდა ტალანტების კონკურსგარეშე ჩვენებებს და პრეზენტაციებს დაეთმობა.

ამ კვირეულზე რამდენიმე ნაცნობი სახელი არ გაიჟღერებს, მაგალითად, ფეროს სახლი, რადგან ის ჯერაც რესტრუქტურიზაციით არის დაკავებული. მაგრამ დანარჩენი ოსტატები – დიორითა და შანელით დაწყებული და გოტიეთი და ლაკრუათი დამთავრებული – მოდის თაყვანისმცემლებს დიდ სიამოვნებას უქადიან.

ბოლო დროს მოდის სამყაროში მრავალი ახალი სახელი გაჩნდა. პარიზის ჩვენებებში ისინი დიდოსტატებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას. ესენი არიან ფრანგი დომინიკ სიროპი, ჰოლანდიელ დიზაინერთა დუეტი – ვიქტორ ჰოსტინგი და როლფ სპორენი, რომლებიც მაღალი მოდის უკანასკნელ კვირეულებზე "ვიქტორისა და როლფის" სამარკო ნიშნით გამოდიოდნენ. ეგზოტიკური ლივიელი მოდელიორებიდან ყველაზე დიდი აღიარება, სავსებით დამსახურებულად, ელი სააბმა მოიპოვა. თავის ახალ კოლექციას წარმოადგენს ბრიტანელი თავსაბურავების დიზაინერი ფილიპ ტრეისი.

პრესტიჟულ ვალენტინოსა და ვერსაჩეს მოდის სახლებს ახალგაზრდა კონკურენტები გამოუჩნდნენ – ამერიკელი რალფ რუჩი და იტალიელი მაურიციო გალანტი. მოდის დღესასწაულს ვარსკვლავებიც ეწვევიან – იოში იამამოტო და აზედინ ალაია.

იტალიელი კუტურიე, ჯანფრანკო ფერე, პარიზელებს თავისი ახალი ბუტიკის გახსნით გაახარებს, რომელიც, მისი თქმით, "ახალი კონცეფციის პრემიერა იქნება".

22 იანვარს კი მთელი ეს საზოგადოება შიდსთან ბრძოლის მხარდაჭერისთვის გამართულ საქველმოქმედო საღამოზე შეიკრიბება.

## კვლავ Jackson Five?

პირველად 1984 წლის შემდეგ მაიკლ ჯექსონი სცენაზე ძმებთან – მარლონთან, ჯეკისთან, ტიტოსა და ჟერმენთან ერთად გამოვა. სწორედ ჟერმენი გახდა სენსაციური ინფორმაციის წყარო – ჯექსონების დიდი გეგმების შესახებ ძალიან პოპულარული სატელევიზიო გადაცემის, "ლარი კინგის შოუს" მაყურებელს უამბო. "ხუთი ჯექსონი გაერთიანდება და მსოფლიოს მოივლის. წელს არა, მაგრამ უახლოეს მომავალში ეს აუცილებლად მოხდება."

აქამდე ეს მხოლოდ იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ მაიკლი უარზე იყოო. ისე, ძმის სიტყვებთან დაკავშირებით კომენტარი მას არც ამჯერად გაუკეთებია.

## სტალონეს ვინ მოერევა!

ბრიტანული Sun-ის ცნობით, ჰოლივუდში რემბოს შესახებ ახალი სერიის გადაღება დაიწყეს. გმირს კვლავ სილვესტერ სტალონე თამაშობს. ამჯერად მისი მოწინააღმდეგე ამერიკის ყველაზე საშინელი და მუხანათი მტერი – უსამა ბენ ლადენი იქნება. სტალონე მას, ცხადია, მოერევა – საერთაშორისო ტერორისტის მოსასპობად დაგეგმილი ოპერაციის შტაბს ჩაუდგება სათავეში და მუშტების ქნევისა და დანების სროლის გარეშეც შესანიშნავად შეასრულებს თავის მისიას.

ჭორებს თუ დავუჯერებთ, ფილმის სცენარი სტალონეს თვითონ დაუწერია.



# ოლივერ სტოუნი მოგვითხრობს იასირ



ალ პაჩინო და კამერონ დიასი სტოუნის ფილმში "ნებისმიერი კვირა დღე"

ოლივერ სტოუნმა 1991 წელს ფილმი გადაიღო ლეგენდარულ "დორსზე" და საკუთარი ნამუშევრების გმირებად დიდი პოლიტიკოსები აირჩია. მალე ეკრანებზე გამოვა მისი "კომანდანტე", ფილმი კუბის სახელგანთქმულ ლიდერ ფიდელ კასტროზე; პარალელურად კი, სტოუნი ამონტაჟებს "პერსონა ნონ გრანტას", რომელიც პალესტინელთა ლიდერს, იასირ არაფატს ეძღვნება.

პირველი ფილმი რეჟისორისა და კუბის ლიდერის სამდღიანი საუბრების ნაწყვეტებითაა აკინძული. ყველა, ვინც კი ფილმი ნახა, აღიარებს, რომ სურათის ავტორი კასტროს საერთაშორისო და კულტურულ გმირად წარმოაჩენს. რაც შეეხება "პერსონა ნონ გრატას", მასში თავმოყრილია ინტერვიუები ჩვენი დროის ცნობილ პოლიტიკოსებთან: შიმონ პერესთან, არიელ შარონთან, ეჰუდ ბარაკთან, ბენიამინ ნეთანიაჰუსთან და იასირ არაფატთან. ეს მასალები (სავარაუდოდ, ჯამში 80 საათს შეადგენს) სტოუნმა 2002 წელს ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობისას შეაგროვა.

როგორც 56 წლის რეჟისორმა აღნიშნა, ფილმის მიზანია კონფლიქტის სრულფასოვანი გაშუქება. Jerusalem Post-ის ჟურნალისტმა კი "პერსონა ნონ გრატაზე" საუბრისას თქვა: "თუკი ეს ფილმი იასირ არაფატზე, სიმართლესთან ისევე ახლოსაა, როგორც ოლივერ სტოუნის ნამუშევარი ჯონ კენედიზე, მაშინ ისრაელს ნამდვილად აქვს შეშფოთების საფუძველი". თავად რეჟისორი კი ასეთ კომენტარს აკეთებს ახალ პროექტზე: "ყოველთვის წინააღმდეგი ვარ ძალადობის. ასევე, ვეწინააღმდეგები ტერორისტებსა და თვითმკვლელებს, მაგრამ ვაღიარებ: ებრაელებს ნამდვილად არაფერი ესაქმებათ დასავლეთ სანაპიროზე".

## სკანდინავიური კროსვორდი



ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიის პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

მიკროკრისტალურ დერმობრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაიწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

DERTOUR-ი გთავაზობთ

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიურო გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, სამთო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ევრო ვიზები.

DERTOUR

მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge

# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის
ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

